ცაგერი	19	21.7	26.5	33	38	40.2	41	42	36.5	32	26.1	19	42
წალკა	13.5	16.1	23	25.9	27.1	29	32.5	34.6	30.1	27	21.3	16.4	34.6
წიფა	16.8	21.6	28.1	33	30.6	37.1	40	39.2	33.4	28.9	24.7	21.3	40
ხაშური	15.5	20.8	24.5	29.9	31.4	34.8	38.6	37.6	34.8	27.6	24	19.6	38.6
ხულო	17.4	20.8	24.7	32.2	35.5	38	40.8	39.5	35.8	33.6	26.5	21.6	40.8

ატმოსფერული ნალექები

ატმოსფერული ნალექები კლიმატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობისას და ასევე ღია ადგილზე სამუშაოების ორგანიზაციისას.

საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის მთელი წლის განმავლობაში ატმოსფერული ნალექების მოსვლა უმთავრესად ციკლონური ზემოქმედებით არის განპირობებული [3]. თუმცა საკმაოდ ხშირად დაიკვირვება ნალექები, რომლებიც შიდამასიურ პროცესებთან და ელ-ჭექების მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მხოლოდ წლის თბილ პერიოდში – აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოში – მთელი წლის მანძილზე. ატმოსფერული ნალექები ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ნალექების რაოდენობა, ნალექების ხანგრძლივობა, ნალექების ინტენსივობა, დღეთა რიცხვი სხვადასხვა სიდიდის ნალექებით, ნალექების სახე (თოვლი, წვიმა, შერეული ნალექები).

ნალექების საშუალო რაოდენობა მიყვანილი ნალექსაზომის დაკვირვებათა ჩვენებებთან

წყლის ფენის სიმაღლით, ხასიათდება ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მყარი, თხევადი და შერეული), რომელიც წარმოიქმნება ჰორიზონტალურ ზედაპირზე (წვიმის, ჭირხლის, ნისლის, გამდნარი თოვლის, სეტყვისა და ხორხომელას მოსვლის შედეგად ჩამონადენის გაჟონვისა და აორთქლების არარსებობის შემთხვევაში).

მთელი რიგი გამოკვლევებით დადგინდა [19], რომ ნალექების დაკვირვების რიგი უნდა იყოს უფრო გრძელი, ვიდრე ტემპერატურისა, რაც განპირობებულია იმით, რომ ნალექებისათვის დამახასიათებელია წლიდან წლამდე უფრო დიდი ცვალებადობა. მრავალწლიური ნორმების მნიშვნელობაზე მოქმედებს ანომალიების არსებობა, როგორცაა (ძალიან მშრალი ან ნოტიო წლები). დაკვირვებათა სხვადასხვა რიგის პერიოდების ნალექები შედარებულ იქნა ერთმანეთთან იმისათვის, რომ დადგენილ იქნეს ნალექების ცვალებადობა. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნალექების საშუალო ოცდაათწლიურების რიგი უფრო მდგრადია, ვიდრე ათწლიურებისა. ნალექების ჯამი ყველაზე უფრო ნალექიან ათწლეულში ნორმისაგან განსხვავდება 32%-ით, ყველაზე მდგრად თვეში – იანვარში, ხოლო ყველაზე უფრო მშრალ წელიწადს – 51%-ით. ყველაზე ნალექიან წელს ნალექების ჯამის ნორმიდან გადახრა შეადგენს მხოლოდ 4% ოცდაათწლიურების მიხედვით, ხოლო ყველაზე მშრალ წელს – 37%-ს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა რაიონში ნალექების ცვლილება არ არის ერთგვაროვანი. წლიური

მსვლელობის ნორმასთან 10 და 30-წლიანი ნორმების შედარების მრუდი გვიჩვენებს, რომ მეტეოსადგურ ქუთაისის ოცდაათწლიურებიც კი არ არის საკმარისად მდგრადი, არათუ ათწლიურები.

ნალექების როგორც 30-წლიური, ასევე, 10-წლიური საშუალოების მნიშვნელოვანი მდგრადობა, აღმოსავლეთ საქართველოში აღინიშნება, რაც ჩანს ქ. თბილისის მეტეომონაცემების მიხედვით.

ცხრილი 2.10. ნალექების თვის საშუალო ჯამები, გამოთვლილი ცალკეული 10- და 30-წლიურებისთვის, პროცენტებში 1961-1990 წ.წ. პერიოდის საშუალოსთან შედარებით, თბილისი

Table 2.10. Average monthly precipitation totals, calculated for individual 10- and 30-year periods, in percentages compared to the average for the period 1961-1990, Tbilisi

პერიოდი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ცალკეული ათწლიურების მიხედვით												
1851-1860	82	73	98	97	82	94	112	64	128	83	85	108
1861-1870	65	80	106	109	92	86	132	95	161	112	67	94
1871-1880	108	76	85	96	82	108	100	74	157	87	99	143
1881-1890	73	88	82	118	107	90	104	63	140	89	124	87
1891-1900	63	85	104	125	109	93	70	90	126	113	94	140
1901-1910	84	80	101	81	110	106	131	82	143	102	155	146
1911-1920	55	74	100	130	130	115	78	53	155	137	96	58
1921-1930	49	110	78	115	95	113	135	80	75	88	99	120
1931-1940	132	96	84	90	144	92	174	63	102	88	153	81
1941-1950	96	73	152	62	98	104	74	78	115	151	107	119
1951-1960	84	83	135	90	100	97	93	92	127	123	94	105
1961-1970	98	68	93	99	85	72	106	108	112	81	79	100
1971-1980	123	120	105	104	121	125	96	83	129	113	92	110
1981-1990	79	112	101	96	94	103	98	110	59	105	129	90
1991-2000	80	75	99	121	78	110	57	99	99	110	112	144
2001-2010	88	73	109	138	103	116	137	81	118	174	98	86
ცალკეული ოცდაათწლიურების მიხედვით												
1851_1880	85	76	96	101	85	96	115	77	148	94	84	115
1861_1890	82	81	91	108	94	95	112	77	152	96	97	108
1871_1900	81	83	90	113	99	97	91	76	141	96	106	123
1881_1910	73	84	95	108	109	96	102	78	136	101	124	124
1891_1920	67	80	102	112	116	105	93	75	141	117	115	115
1901_1930	63	88	93	109	111	111	115	71	124	109	117	108
1911_1940	79	93	88	112	123	107	129	65	111	104	116	86
1921_1950	92	93	105	89	112	103	128	74	97	109	120	106
1931_1960	104	84	124	81	114	98	114	78	115	121	118	102
1941_1970	93	75	127	84	94	91	91	93	118	118	93	108
1951-1980	102	90	111	98	102	98	98	94	123	106	89	105
1961_1990	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
1971_2000	94	103	102	107	98	113	84	97	96	109	111	115
1981_2010	82	87	103	119	92	110	97	96	92	130	113	106

სხვადასხვა უზრუნველყოფის ნაღვეების თვითური და წლიური რაოდენობა

წლიდან წლამდე ნაღვეები ხასიათდება დიდი ცვალებადობით და მისი საშუალოები ვერ ახასიათებს ამ ელემენტს სრულად, ამიტომ განისაზღვრება საშუალო მონაცემების პარალელურად სხვადასხვა უზრუნველყოფის ნაღვეების რაოდენობები. განსაზღვრულია ნაღვეების თვისა და წლის ჯამების ფაქტიურად დაკვირვებული მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობები, შესაბამისი წლების მითითებით. თუ ნაღვეების მაქსიმუმი ან მინიმუმი დაიკვირვებოდა ორი ან რამდენიმე წლის მანძილზე, მაშინ მითითებულია ყველა ის წლები, როდესაც ეს სიდიდე დაიკვირვებოდა. ნაღვეების რაოდენობის მონაცემების მიხედვით აიგება უზრუნველყოფის მრუდები. მათ ასაგებად გამოყენებულ იქნა მიახლოების სხვადასხვა მეთოდი. ამასთან, თითოეული შემთხვევისთვის შემონშებულ იქნა აპროქსიმაციის საიმედოობა, ე.წ. დეტერმინისტული კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც აღმოჩნდა არანაკლები 0.90-ისა, რაც ადასტურებს ხსენებული მიახლოების გამოყენების მიზანშეწონილობას, ამავე დროს, მონაცემთა უზრუნველყოფის მრუდების გაგლუვება იძლევა მონაცემთა ექსტრაპოლირების საშუალებას ფაქტიურ დაკვირვებათა რიგზე მეტი პერიოდისათვის [19].

ყველაზე მნიშვნელოვანია, განსაზღვრულ იქნეს ნაღვეების რაოდენობის სხვადასხვა უზრუნველყოფის უდიდესი (80, 90, 95%) და უმცირესი (2, 5, 10%) მნიშვნელობები ნაღვეები რეჟიმის დახასიათებისას. უდიდესი რაოდენობის ნაღვეების მოსვლის ალბათობა ნიშნავს, რომ წელიწადში ერთხელ შეიძლება მოვიდეს აღნიშნულზე მეტი რაოდენობის ნაღვეები, ხოლო ნაღვეების უმცირესი რაოდენობისათვის – აღნიშნულზე ნაკლები ან ტოლი რაოდენობის ნაღვეების ჯამი. ნაღვეების ჯამი და განსაკუთრებით მათი ექსტრემალური მნიშვნელობები არის ცვალებადი და მათი საშუალო მნიშვნელობები ვერ ახასიათებს ამ ელემენტს სრულად. ამიტომ ამ მონაცემების გარდა (თვის, სეზონის და წლის საშუალო ჯამები), განისაზღვრება სხვადასხვა უზრუნველყოფის ნაღვეების რაოდენობები. ნაღვეების რაოდენობრივი მახასიათებლების ალბათობები გაანგარიშებულია ჯამური ალბათობების ან უზრუნველყოფების მრუდების მიხედვით. მაგალითად, თუ ნაღვეების წლიური ჯამის 10%-იანი უზრუნველყოფა შეადგენს 2000 მმ-ს, ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ 10 წელიწადში ერთხელ მოდის 2000 მმ და მეტი ნაღვეი, თუ ნაღვეების წლიური ჯამის 95%-იანი უზრუნველყოფა შეადგენს 800 მმ-ს, მაშინ საშუალოდ 20 წელიწადში ერთხელ წლის მანძილზე მოდის 800 მმ-ზე ნაკლები ნაღვეი.

სხვადასხვა უზრუნველყოფის ნაღვეების დღელამური მაქსიმუმი

ნაღვეების უდიდეს რაოდენობას, რომელიც მოდის მეტეოროლოგიური დღე-ღამის განმავლობაში, ეწოდება ნაღვეების დღელამური მაქსიმუმი. ეს მონაცემი ძალიან არის დამოკიდებული იმ პერიოდის აბსოლუტურ ხანგრძლივობაზე, როდესაც ის დაიკვირვებოდა. სხვადასხვა უზრუნველყოფის ნაღვეების დღელამური მაქსიმუმი ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა სამშენებლო და ჰიდროლოგიური ანგარიშისას, ღია ცის ქვეშ მომუშავე ხელსაწყოებისა და ნაგებობების დაპროექტებისას.

ნაღვეების დღელამური მაქსიმუმი [17] წარმოდგენილია მისი საშუალო მნიშვნელობით და განსაზღვრული უზრუნველყოფის მნიშვნელობებით. უზრუნველყოფა წარმოადგენს განსაზღვრულზე მაღალი ნაღვეების დღელამური მაქსიმუმების ალბათობას. განმეორებადი დღელამური მაქსიმუმები 2 და 1%-იანი უზრუნველყოფებით (50 და 100 წელიწადში ერთხელ) დაკვირვებათა რიგის არასაკმარისი სიგრძის გამო ნაკლებად საიმედოა და ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც საორიენტაციო [18].

ექსტრემალური მნიშვნელობების თეორიის გამოყენებით ჩატარდა სხვადასხვა უზრუნველყოფის ნაღვეების დღელამური მაქსიმუმის გაანგარიშებები [17]. ნაღვეების ექსტრემალურ მნიშვნელობათა ალბათობების დასადგენად გამოყენებულ იქნა R დაფუძნებული პროგრამული პაკეტი ExtRemes Toolkit, რომელიც შექმნილია ამერიკის ატმოსფეროს კვლევის ცენტრის (NCAR) მიერ. ანალიზი შესრულდა ყოველ სადგურზე განსაზღვრული წლიურ ექსტრემუმების რიგების მორგებით GEV განაწილების მრუდებზე მაქსიმალური ალბათობის შეფასების მეთოდის გამოყენებით (MLE). P-ური უზრუნველყოფის დონე განისაზღვრება, როგორც მნიშვნელობა, რომელიც აღემატება წლიურ ექსტრემუმს ერთხელ მაინც P წლების განმავლობაში. ყოველ სადგურზე გამოთვლილი იქნა ნაღვეების წლიური ექსტრემუმების 1.5, 5, 10, 20, 50 და 100 წლიანი უზრუნველყოფები. წლიური ექსტრემუმების ემპირიულ განაწილებათა GEV განაწილებასთან თავსებადობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა თავსებადობის (GOF) სხვადასხვა ტესტები (მაგ., PP და QQ გრაფიკები) [5,10].

სიმაღლის მიხედვით იზრდება ნაღვეების დღელამური მაქსიმუმები, ხოლო მათი შემცირება აღინიშნება შიდა მთის ხეობებში. როგორც წესი, ნაღვეების დღელამური მაქსიმუმები არის თავსხმა წვიმების შედეგი. თავსხმა ნაღვეები ზოგიერთ წლებში მოდის თბილი ნოტიო ჰაერის მასების გადაადგილებისას. ყველაზე დიდი რაოდენობის ნაღვეების მაქსიმუმები საქართველოში დაიკვირვება ძირითადად წელიწადის თბილ პერიოდში და მათ განაწილებას არ გააჩნია არანაირი კანონ-ზომიერება დროისა და სივრცის მიხედვით. ისევე როგორც დაკვირვებული აბსოლუტური მნიშვნელობები, იშვიათად განმეორებადი ნაღვეები, რომლებიც დაიკვირვება 100 წელიწადში ერთხელ (1%-იანი

უმრუნველყოფა) და 50 წელიწადში ერთხელ (2%-იანი უმრუნველყოფა), ნაკლებად საიმედოა და მათი ანგარიშებში გამოყენება არ არის დაშვებული.

დღეთა რიცხვი სხვადასხვა ნალექებით

შვიდი გრადაციის მიხედვით განსაზღვრულია ნალექიან დღეთა მრავალწლიური საშუალო რიცხვი, რომელიც მიღებულია უშუალოდ გაანგარიშებების საფუძველზე. ისეთი დღე-ღამე, როდესაც დღე-ღამის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობა აღემატება 0.1 მმ-ს, მიღებულია ნალექიან დღე-ღამედ. მიღებული მონაცემები შენახულია სათანადო ცხრილების სახით გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში.

ცხრილის გამოყენებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პირველ გრადაციაში შედის ყველა დღე, ნალექების სიდიდის მიუხედავად; მეორე ჯგუფში – დღეთა რიცხვი 0.5 მმ- ზე ნაკლები ნალექით, მესამე ჯგუფში – ყველა დღე, გარდა იმ დღეებისა, როდესაც ნალექების რაოდენობა ნაკლებია 1.0 მმ-ზე და ა.შ. 1-ზე ნაკლები შემთხვევათა რაოდენობა გვიჩვენებს, რომ შესაბამისი გრადაციის ნალექები არ დაიკვირვება ყოველწლიურად. ინფორმაცია ნალექიან დღეთა შესახებ მეტად საინტერესოა ტერიტორიის დატენიანების რეჟიმის შესწავლისას.

ცხრილი. 2.11. დღეთა რიცხვი სხვადასხვა სიდიდის ნალექებით

Table. 2.11. Number of days with different amounts of precipitation

თვე	≥0.1	≥0.5	≥1.0	≥5.0	≥10.0	≥20.0	≥30.0	≥50.0
2. ამბროლაური								
1	13.5	12.5	11.1	5.6	2.8	0.8	0.3	0.1
2	11.4	10.6	9.3	4.5	2.0	0.7	0.2	0.1
3	12.4	11.4	10.0	4.8	2.1	0.6	0.3	0.0
4	13.5	12.5	11.2	5.8	2.9	0.6	0.3	0.0
5	14.4	13.4	11.8	5.7	3.2	0.9	0.2	0.0
6	13.1	12.0	11.0	6.0	3.3	1.3	0.5	0.1
7	10.1	9.2	7.9	4.1	2.3	1.2	0.6	0.2
8	9.5	8.6	7.7	4.2	2.5	1.1	0.5	0.1
9	10.1	9.4	8.4	4.9	2.9	1.2	0.4	0.1
10	11.8	11.1	10.0	6.2	4.0	1.9	0.7	0.1
11	12.0	11.2	10.2	6.2	3.7	1.1	0.2	0.1
12	13.1	12.5	11.4	6.3	3.6	1.4	0.6	0.1
წელი	144.9	134.3	120.1	64.5	35.3	12.6	4.6	1.1
4. ახალციხე								
1	8.2	6.5	5.3	1.4	0.3	0.0	0.0	0.0
2	8.1	6.6	5.5	1.6	0.4	0.1	0.0	0.0

3	9.5	7.9	6.5	2.4	0.9	0.1	0.0	0.0
4	12.0	10.1	8.8	3.4	1.2	0.2	0.1	0.0
5	15.9	13.9	11.9	4.9	1.7	0.3	0.1	0.0
6	14.7	13.1	11.5	5.5	2.4	0.5	0.1	0.0
7	11.7	10.1	8.5	3.6	1.7	0.5	0.1	0.0
8	10.5	9.1	7.5	3.7	1.6	0.4	0.1	0.0
9	8.9	7.2	6.1	2.2	0.9	0.1	0.0	0.0
10	9.8	8.4	7.1	2.5	1.1	0.2	0.1	0.0
11	8.6	7.2	6.0	2.3	0.9	0.2	0.1	0.0
12	9.4	7.3	6.1	1.9	0.6	0.1	0.0	0.0
წელი	127.3	107.5	90.7	35.4	13.8	2.8	0.7	0.1

ქარი. ქარის სიჩქარე და მიმართულება.

ქარი, როგორც ვექტორული სიდიდე, ხასიათდება მოდულით (სიჩქარით) და ორიენტაციით. ამიტომ მისი კლიმატური დამუშავება მიმდინარეობს ორი მიმართულებით; განსაზღვრულია ცალ-ცალკე ქარის სიჩქარე და მიმართულება. დიდი ყურადღება დაეთმო პირველადი (ამოსავალი) რიგების ხარისხის შეფასებას. საქმე ისაა, რომ მეტეოინფორმაცია ქარის შესახებ მიიღება ორი ძირითადი ქარმზომი ხელსაწყოს: ფლუგერის და ანემორუმბომეტრის მიხედვით. ფლუგერის მიხედვით მიღებულ დაკვირვებათა მეთოდის თანახმად, ქარის სიჩქარე განისაზღვრება 2-ნთ-იანი ინტერვალით. ამასთანავე ფლუგერის ტექნიკური თავისებურებების გამო 10მ/ წმ-მდე ქარის სიჩქარის დროს ათვლის სიზუსტეა 1 მ/წმ, 11-დან 20 მ/წმ-მდე – 2მ/წმ, 20-დან 31 მ/წმ-მდე 4 მ/წმ და 32-დან 40 მ/ წმ-მდე – 6 მ/წმ.

ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები გამოთვლილია ქარის საშუალო თვიური სიჩქარის მნიშვნელობების მიხედვით ყოველწლიური რიგებიდან 1961-1990 და 1961-2010 წ.წ. პერიოდებისთვის 10-წუთიანი გასაშუალებით. ქარის სიჩქარის მნიშვნელობები საკვლევი პერიოდების მიხედვით და მათი დამუშავების შედეგები, შესაბამისი ცხრილების სახით, ინახება გარემოს ეროვნული სააგენტოს სერვერზე ელექტრონულ არქივში [17,18]. როგორც მოყვანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ქარის სიჩქარე დამოკიდებულია მეტეოსადგურის მდებარეობაზე, რელიეფსა და ადგილის სიმაღლეზე, ღია ადგილზე ქარის სიჩქარე სიმაღლის მიხედვით იზრდება, ხოლო დიდ ქალაქებში, ტყიან რაიონებში, ღრმა ხეობებში, ქვაბულებსა და დაცულ ადგილებში ქარის სიჩქარე მცირდება.

წლიდან წლამდე უმნიშვნელოდ იცვლება ქარის სიჩქარის საშუალო წლიური მნიშვნელობები. ყველაზე დიდი გადახრები ქარის საშუალოდან ტერიტორიის უდიდეს ნაწილში აღინიშნება რიგ წლებში და აღწევს 25-35%-ს, ზოგიერთ რეგიონში კი – 50-70%-ს. ქარის სიჩქარის წლიურ სვლაში საქართვე-

ლოს მთელ ტერიტორიაზე შენარჩუნებულია გარკვეული კანონზომიერება. ზოგიერთი ადგილის გამოკლებით ძლიერი ქარები დაიკვირვება, უპირატესად, ზამთარ-გაზაფხულის, ხოლო სუსტი – ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში. ამის მიზეზია ის, რომ ქარის სიჩქარე შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან პუნქტის დაცულობის ხარისხის მიხედვით. საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მეტეოსადგურის განლაგების თავისებურებანი ქარის სიჩქარის შეფასებისას იმ ადგილებში, სადაც ქარზე მიმდინარეობს დაკვირვებები.

ქარის საშუალო თვიური სიჩქარე იცვლება განსახილველ ტერიტორიაზე უფრო დიდ საზღვრებში, ვიდრე საშუალო წლიური სიჩქარე. საქართველოში საშუალო წლიური სიჩქარე იცვლება 0.6 მ/წმ-დან (აბასთუმანი) 9,2 მ/წმ-მდე (მთა-საბუეთი). უმცირესი ქარის სიჩქარე დაიკვირვება უფრო მეტად დაცულ რაიონებში, ღრმა ხეობებსა, დიდი ვაკვასიონის და სამხრეთ-მთიანეთის, ქვემო ქართლის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ვახეთის მთათაშორის დაბლობზე. საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე მერყეობს 2.1 მ/წმ-დან 4.0 მ/წმ-მდე. ქარის საშუალო სიჩქარე დიდი ვაკვასიონის მაღალმთიან ღია ადგილებში იზრდება და აღწევს 9,2 მ/წმ-ს. საქართველოს ღია მთიან ადგილზე მდებარე სადგურზე მთა-საბუეთი, რომელიც განიცდის ძლიერ აღმოსავლეთ და დასავლეთის შემოჭრებს, დაიკვირვება ქარის უდიდესი საშუალო სიჩქარე. ხოლო ღრმა ხეობებში აღინიშნება უმცირესი საშუალო თვიური სიჩქარე და აღწევს 0,2-0,4 მ/წმ-ს.

ქარის მაქსიმალური საშუალო სიჩქარე დაიკვირვება ზამთარ-შემოდგომის პერიოდში, უმეტესად იანვრიდან მარტის ჩათვლით, ხოლო მინიმალური – ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში (ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით). როგორც მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, კოლხეთის დაბლობზე [17,18], ზღვის სანაპირო ზოლის ჩათვლით, აჭარა-იმერეთის და თრიალეთის ქედებზე, ახალქალაქის მთიანეთში და დიდი ვაკვასიონის მთიან რაიონებში. დიდი ვაკვასიონის საშუალო მთიანი ზოლის, აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორის დაბლობებზე და ჩაკეტილ ხეობებში მაქსიმალური საშუალო სიჩქარეები დაიკვირვება გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში (აპრილი-ივლისი), ხოლო მინიმალური – შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (ოქტომბერ-დეკემბერი), რაც აიხსნება მთა-ხეობის ცირკულაციის გაძლიერებით მითითებულ რეგიონებში წლის თბილ პერიოდში.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უდიდესი საშუალო თვიური ქარის სიჩქარე მერყეობს 0.8 მ/წმ-დან დახურულ (დაცულ) ადგილზე (აბასთუმანი) 10.6 მ/წმ-მდე გახსნილ (ღია) მთიან ადგილზე (მთა-საბუეთი). ქარის საშუალო თვიური სიჩქარის უდიდეს და უმცირეს მნიშვნელობათა განაწილების თავისებურებანი, როგორც მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, ქარის საშუალო წლიური სიჩქარის განაწილების ანალოგიურია.

ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორადობა

დაკვირვების საერთო რიცხვიდან თვეების მიხედვით განსაზღვრულია ქარის მიმართულების განმეორადობა, გამოხატული პროცენტებში, ასევე საშუალოდ წლისათვის, შტილის აღრიცხვის გარეშე, ყველა დაკვირვების საერთო რიცხვიდან. შტილის განმეორადობა მოცემულია პროცენტებში. გაანგარიშებისათვის გამოყენებულია დაკვირვებათა რიგები საკვლევი პერიოდისათვის.

არსებული კლასიფიკაციის შესაბამისად, ქარის მიმართულებაზე რელიეფის ფორმის ზემოქმედების დადგენის მიზნით მოყვანილია ორიენტაციის მიხედვით მეტეოსადგურის დაცულობის შეფასება. ქარის მიმართულების განმეორადობის გაანგარშების ცდომილება შეადგენს 0.5-0.9%-ს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სერვერზე ელექტრონულ არქივში ინახება ქარის სიჩქარის მნიშვნელობები საკვლევი პერიოდების მიხედვით და მათი დამუშავების შედეგები.


ცხრილში 2.12. მოცემულია ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორადობა (%), ხოლო ნახაზზე 7-10 ქარის ვარდულები პუნქტების მიხედვით

ცხრილი 2.12. ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორადობა (%)


Table 2.12. Repetition of wind direction and wind direction (%)

№-№	პუნქტი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სა	ა	ჩა	შტილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ამბროლაური	1.3	2.2	43.0	0.6	1.3	1.5	49.9	0.2	52.5
2	ახალქალაქი	22.6	0.7	9.9	18.8	19.4	5.8	8.7	14.0	45.5
3	ახალციხე	7.0	6.7	22.3	8.4	10.8	8.1	25.9	10.8	63.9
4	ბათუმი აერ.	4.3	2.1	15.0	37.7	6.8	15.3	12.8	5.9	8.9
5	ბოლნისი	6.0	3.5	24.0	12.5	19.3	7.9	23.9	2.9	59.4
6	ბორჯომი	1.2	1.6	20.1	15.3	27.0	9.5	22.0	3.4	74.8
7	გორი	2.6	1.0	15.3	31.3	5.8	4.8	23.3	15.8	41.7
8	დედოფლისწყარო	11.3	10.4	14.9	13.8	9.9	4.1	20.1	15.4	67.5
9	ზესტაფონი	1.4	1.7	48.8	2.6	1.3	0.5	42.3	1.5	77.2
10	ზუგდიდი	9.2	9.9	26.2	10.1	9.3	10.5	20.0	4.7	28.2
11	თბილისი	25.7	9.5	10.2	7.0	10.5	7.6	14.1	15.5	59.0
12	თელავი	5.8	3.9	22.0	6.7	15.3	12.1	21.2	13.0	27.7
13	თიანეთი	3.8	2.1	9.9	26.7	3.7	7.4	40.9	5.4	52.4
14	ლაგოდეხი	32.3	17.2	10.4	9.7	12.8	9.6	4.9	3.2	80.5
15	მთა-საბუეთი	0.3	0.1	51.2	0.0	0.1	0.1	47.7	0.4	5.2
16	საგარეჯო	16.0	2.3	4.9	13.2	6.5	2.9	10.2	26.1	17.9
17	საჩხერე	0.3	0.2	6.6	2.3	0.9	1.4	13.1	0.1	75.1
18	ფასანაური	10.5	7.9	28.5	21.7	5.2	4.6	8.0	13.4	52.4
19	ფოთი	1.4	3.9	32.9	7.3	6.0	21.1	22.1	5.2	41.9
20	ქობულეთი	0.8	5.8	41.9	2.7	2.4	27.6	10.7	8.1	0.1
21	ქუთაისი	1.4	1.7	51.9	0.6	1.8	1.5	40.2	0.9	15.1

22	ყვარელი	15.9	13.9	10.7	13.3	16.8	12.9	9.6	7.0	61.0
23	ცაგერი	22.5	21.0	2.4	2.9	17.1	21.0	10.2	2.9	95.3
24	წალკა	2.2	4.9	14.9	11.6	7.5	8.8	31.7	18.4	53.2
25	ხაშური	0.3	0.2	35.6	0.1	0.1	0.3	63.1	0.3	48.9
26	ხულო	37.9	5.7	3.0	8.2	31.1	4.7	2.5	6.7	23.1




ნახ. 2.1




ნახ. 2.2

ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა (%) -ში ფოთსა და ქობულეთში

Fig. 2.1-2 Repetition of wind direction and still in (%) in Poti and Kobuleti



ნახ.2.3



ნახ.2.4

ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა (%) -ში ახალციხესა და თელავში [17,18]

Fig. 2. 3-4 Repetition of wind direction and still (%) in Akhaltsikhe and Telavi

ჰაერის ტენიანობა

ეკონომიკის მთელი რიგი დარგების სწორი დაპროექტებისა და დაგეგმარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის ტენიანობას, რომელიც კლიმატის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და საკმაოდ მგრძობიარეა ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექებისა და ღრუბლიანობის ცვლილების მიმართ. ატმოსფეროს შემადგენლობის არამდგრადი ნაწილის, წყლის

ორთქლის შემცველობა მკვეთრად იცვლება ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების, წლის სეზონების, ატმოსფეროს ცირკულაციის თავისებურებებისა და ქვეფენილი ზედაპირის ხასიათის მიხედვით. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის საშუალო მრავალწლიური მონაცემები გამოთვლილია მათივე საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობების მიხედვით ორი საანგარიშო პერიოდისათვის.

წყლის ორთქლის შემცველობა ჰაერში (პარციალური წნევა) ახასიათებს ჰაერის ტენის შემცველობას, ფარდობითი ტენიანობა კი წარმოადგენს ჰაერში შემავალი წყლის ორთქლის პარციალური წნევის შეფარდებას გაჯერებული წყლის ორთქლის პარციალურ წნევასთან იმავე ტემპერატურაზე, გამოსახულს პროცენტში [17,18].

ჰაერში არსებული წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ისევე როგორც ჰაერის ტემპერატურა წლის განმავლობაში, უმცირეს მნიშვნელობას აღწევს ზამთარში (იანვარი-თებერვალი). ეს დაკავშირებულია ჰაერის ტემპერატურის წლიურ მსვლელობასთან და განპირობებულია ცირკულაციური პროცესებით. გაანგარიშებულია წყლის ორთქლის საშუალო თვიური და წლიური პარციალური წნევა (ჰპა) საქართველოსთვის. როგორც მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, წყლის ორთქლის სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილის მდებარეობა ზღვის დონიდან. სიმაღლის გაზრდასთან და ზღვის ნაპირის დაშორებასთან ერთად წყლის ორთქლის პარციალური წნევა კლებულობს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. ამ პარამეტრის წლიური მსვლელობა შეესაბამება ტემპერატურის მსვლელობას. მინიმუმს ადგილი აქვს იანვარში და დასავლეთ საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე იგი აღწევს 4.2-4.5 ჰპა-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 3.1-3.9 ჰპა-ს. მაქსიმუმს ადგილი აქვს ივლის-აგვისტოში 23.2-23.9 ჰპა დასავლეთ საქართველოში და 18.1-18.7 ჰპა-ს აღმოსავლეთში. ამასთან დასავლეთ საქართველოში წყლის ორთქლის პარციალური წნევის დღელამური მერყეობა უმნიშვნელოა. მისი დღელამური ამპლიტუდის საშუალო სიდიდე უმნიშვნელოა. როდესაც დასავლეთის ნოტიო ქარს ცვლის აღმოსავლეთის მშრალი ქარი, წყლის ორთქლის პარციალური წნევა მკვეთრად იცვლება.

მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების, ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვალებადობის შესწავლა ბოლო 60-წლიანი პერიოდის (1956-2015 წ.წ.) დაკვირვებათა მონაცემების განზოგადების საფუძველზე

საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურის უკანასკნელი 60-წლიანი პერიოდის (1956-2015 წ.წ.) მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვლილების ხასიათი. აღნიშნული 39 სადგური შერჩეული იქნა საქართველოს ტერიტორიის კლიმატური

თავისებურებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით, ასევე ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე [5,10].

- აჭარა: ბათუმი, ქობულეთი, ხულო, გოდერძის უღელტეხილი
- გურია: ბახმარო, ჩოხატაური
- სამეგრელო-ზემო სვანეთი: ფოთი, ზუგდიდი, მესტია, ხაიში
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: ამბროლაური, შოვი, ლენტეხი
- იმერეთი: მთა-საბუეთი, ქუთაისი, ზესტაფონი, საჩხერე, სამტრედია
- სამცხე-ჯავახეთი: ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ბაკურიანი, ფარავანი
- შიდა ქართლი: გორი, ხაშური
- ქვემო ქართლი: თბილისი, ბოლნისი, წალკა, გარდაბანი
- მცხეთა-მთიანეთი: ფასანაური, თიანეთი, სტეფანწმინდა, გუდაური
- კახეთი: თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, ყვარელი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო

შეფასებულ იქნა, როგორც ტემპერატურისა და ნალექების, ასევე ქარის სიჩქარისა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ცვლილების ტენდენციები. გამოყენებული მონაცემების ბაზა შეიქმნა ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის დაკვირვებათა მასალის დამუშავების შედეგად. ბაზის შექმნის პროცესში განხორციელდა მონაცემთა ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის პროცედურა. გარდა ამისა, მონაცემთა რიგებში ხელოვნური ცვლილებების გამორიცხვის მიზნით, მონაცემთა რიგები შემოწმებულ იქნა სტატისტიკურ ერთგვაროვნებაზე.

რამდენადაც კლიმატური პარამეტრების ექსტრემალური მნიშვნელობები უფრო მეტად მგრძობიარეა კლიმატის ცვლილების მიმართ, ვიდრე მათი საშუალო სიდიდეები, ამასთან, საშუალო სიდიდეებით ხშირად შეუძლებელია კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სექტორზე სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება, გარდა კლიმატური პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებისა, კლიმატის ცვლილების შესაფასებლად გამოითვლება სხვადასხვა სახის კლიმატური მახასიათებლები/ინდექსები (როგორცაა თბური ტალღები, ექსტრემალურად ნალექიანი/უნალექო პერიოდები და სხვ.), რომელთა გამოთვლის მეთოდოლოგია შემუშავებულია IPCC-ს რეკომენდაციებით და რომელთა საშუალებითაც დგინდება კლიმატური პარამეტრების ექსტრემალური მნიშვნელობების სიდიდის, სიხშირისა და ინტენსივობის ცვლილების კანონზომიერებები.

როგორც საშუალო პარამეტრებისათვის (4 პარამეტრი – ტემპერატურა, ნალექები, ტენიანობა, ქარი), ისე ექსტრემალური კლიმატური ინდექსებისთვის (35 ინდექსი) შესწავლილ იქნა ცვლილების ტენდენციები საშუალო წლიური მნიშვნელობისა და წლის სეზონების მიხედვით ზემოთ მოყვანილი 39 პუნქტისთვის [5,10].

მიღებული შედეგების საიმედოობის გაზრდის მიზნით, აღნიშნული პარამეტრები შეფასდა ორი მეთოდით: თითოეული პარამეტრისათვის 1956-2015 წლებში ცვლილების ტრენდების გამოვლენა და ამ ტრენდების სტატისტიკური საიმედოობის შეფასება (მენ-კენდელის მეთოდით) და ორი 30-წლიანი პერიოდის (1956-1985 და 1986-2015) საშუალო/ექსტრემალური მნიშვნელობების შედარება.

სექტორული კლიმატური ინდექსების გაანგარიშებისთვის გამოყენებულ იქნა R-დაფუძნებული პროგრამული პაკეტი ClimPact2, რომელიც შექმნილია მმო-ს კლიმატის კომისიის სექტორული კლიმატური ინდექსების ექსპერტთა ჯგუფის მიერ (<https://github.com/ARCCSS-extremes/climpact2>).

განსახილველი დროითი სერიების ჰომოგენურობის შემოწმების მიზნით გამოყენებულ იქნა R-დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფები RHtestV4 და RHtests_dlyPrpc4 (<http://etccdi.pacificclimate.org/software.shtml>).

დახასიათება პარამეტრების მიხედვით (ცვლილებები ტერიტორიულ განაწილებაში, ცვლილებები შიდაწლიურ განაწილებაში)

- საშუალო ტემპერატურა
- საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა
- ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი
- საშუალო მინიმალური ტემპერატურა
- ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი
- ნალექების რაოდენობა
- ნალექების დღეღამური მაქსიმუმები
- ქარის საშუალო სიჩქარე
- ქარის მაქსიმალური სიჩქარე (ძლიერქარიანი დღეები, მაქსიმალური ქარების ალბათობა)
- საშუალო ფარდობითი ტენიანობა
- ტენიანობის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო/ჩახუთული და მშრალი დღეები)

სეზონების დახასიათება (გამოყენებული იქნება როგორც საშუალო პარამეტრების, ისე სექტორული კლიმატური ინდექსების ანალიზი)

- ზამთარი
- გაზაფხული
- ზაფხული
- შემოდგომა
-

ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა, საშუალო ტემპერატურა

ორ განხილულ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015) შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მინისპირა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა

მომატებულია თითქმის ყველგან, 1 გრადუსამდე ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.5°C -ს შეადგენს.

დათბობის პროცესი შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში. ყველაზე ნიშნავი დათბობა გამოვლინდა დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც მაქსიმალურია ორ პერიოდს შორის ნაზრდი ($+0.73^{\circ}\text{C}$, წლიური), ხოლო ტრენდის დახრის კუთხე და საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე უდიდესია ბორჯომში და შეადგენს $+0.28^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში (რაც ნიშნავს, რომ მაგ., ყოველ წელს ტემპერატურა იზრდება 0.028°C -ით, 100 წელიწადში -2.8°C -ით და ა.შ.). ტემპერატურის არასაკმარისად საიმედო ცვლილებები აღინიშნა, ძირითადად, აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში.

ცალკეული თვეების ანალიზმა აჩვენა, რომ დათბობა მიმდინარეობს ზაფხული-შემოდგომის (ივნისი-ოქტომბერი) ტემპერატურების მატების ხარჯზე, როდესაც ყველა განხილულ პუნქტზე აღინიშნა დადებითი ნაზრდები საშუალოდ $0.7-1.3^{\circ}\text{C}$ ფარგლებში. ტემპერატურის ზრდის გამოვლენილი ტენდენციები მდგრადია და ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ტრენდებით დასტურდება წლის სწორედ აღნიშნულ (ივნისი-ოქტომბერი) პერიოდში, ასევე საშუალო წლიური მნიშვნელობების მიხედვით. გამონაკლისია მხოლოდ აჭარა-გურიის მაღალმთიანი მხარე [5,10].

სეზონების მიხედვით ტემპერატურის ცვლილებას შემდეგი ხასიათი აქვს: როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თითქმის ყველგან დამთბარია შემოდგომა და ზაფხული, ზაფხულის ტემპერატურის უფრო საიმედო მატების ფონზე. სეზონურ ტემპერატურებში უდიდესი ნაზრდი აღინიშნა დედოფლისწყაროში ($+1.28^{\circ}\text{C}$, ზაფხული), ხოლო ზაფხულის საშუალო ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე მაქსიმალურია ბორჯომში ($+0.38^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში).

წლის განმავლობაში ყველაზე გამოკვეთილია აგვისტოს დათბობა ($0.9-1.8^{\circ}\text{C}$), როდესაც ტემპერატურის მდგრადი ზრდა ფიქსირდება უკლებლივ მთელ ტერიტორიაზე. ამავე დროს, თითქმის ყველა განხილულ სადგურზე აგვისტოს ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე უდიდესია წლის განმავლობაში. აღმავალი ტრენდის მაქსიმალური დახრა ($0.51^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში) გამოვლინდა ზუგდიდში.

ზამთარსა და გაზაფხულზე საშუალო ტემპერატურა მომატებულია, თუმცა ცვლილებებს უმეტესად არამდგრადი ხასიათი აქვს. მხოლოდ მარტში, ძირითადად, კახეთში და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, ასევე, შავი ზღვის სანაპირო ზოლში გამოვლინდა საიმედო დათბობა ორ პერიოდს შორის ნაზრდით $0.4-1.1^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში და ტემპერატურის ცვლილების სიჩქარით $0.3-0.410$ წელიწადში. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონებზე ცალკეულ თვეებში (მაისი, ნოემბერ-დეკემბერი) უპირატესია აგრილების ტენდენციებიც. ყველაზე დიდი უარყოფითი გადახრები აღინიშნა ნოემბერში მაღალმთიან აჭარაში (-0.8°C).

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა

საშუალო მაქსიმუმების წლიური მნიშვნელობა საიმედოდ იზრდება თითქმის მთელ ტერიტორიაზე. გამოწვევისა, ძირითადად, მთიანი რაიონები აჭარა-გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული (სტეპების) ჰავა.

საშუალო მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა დასავლეთ საქართველოში – შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში (ფოთი, $0.31^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში), აღმოსავლეთში – დედოფლისწყაროში ($0.41^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში) და ასევე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე.

საშუალო მაქსიმუმებისთვის ორ 30-წლიან პერიოდს შორის ნაზრდი 1.5 გრადუსამდე აღწევს. დღის ტემპერატურების მიხედვით დათბობა შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. როგორც საშუალო წლიური, ისე სეზონური და თვის ტემპერატურების მიხედვით, ნაზრდები და ტემპერატურის მატების ტენდენციები ყველაზე ნიშნავია სამცხე-ჯავახეთში (ბაკურიანი, $+1.3^{\circ}\text{C}$ – წლიური, $+2.4^{\circ}\text{C}$ – ზაფხული, $+2.8^{\circ}\text{C}$ – აგვისტო).

ისევე, როგორც საშუალო ტემპერატურის, საშუალო მაქსიმუმების ზრდაც, ძირითადად, განპირობებულია ზაფხული-შემოდგომის მაქსიმუმების აწევით. წლის განმავლობაში მაქსიმალური დადებითი ნაზრდები აღინიშნა ივნისი-ოქტომბრის განმავლობაში. ყველაზე მეტად დღის ტემპერატურების მატება კი კვლავ აგვისტოში ფიქსირდება.

ამ პარამეტრის მიხედვით ზაფხულის დათბობის საიმედო ტენდენციები საქართველოს თითქმის ყველა განხილულ სადგურზე გამოვლინდა, ხოლო შემოდგომაზე ტენდენციები შედარებით შერბილებულია, როგორც ჩანს, ნოემბრის აგრილების გამო და საქართველოს დაბლობ და ვაკე ტერიტორიის ნაწილში (მაგ., ქუთაისი, ზესტაფონი, თბილისი, საგარეჯო) ტრენდებით აღარ დასტურდება, თუმცა ორ 30-წლიან პერიოდს შორის ნაზრდი აქაც დადებითია [5,10].

გაზაფხულზე დღის ტემპერატურების ნიშნავი მატება მიმდინარეობს მხოლოდ მარტში, აპრილ-მაისში კი ტენდენციები არასაიმედოა და აპრილში, ძირითადად, აქვს დადებითი, ხოლო მაისში – უარყოფითი ნიშანი.

ზამთრის მაქსიმუმებში საიმედო ცვლილება არ გამოვლინდა თითქმის არც ერთ განხილულ პუნქტში. ამ სეზონზე თებერვლის დათბობის ტენდენციები კომპენსირდება იანვრის და, განსაკუთრებით, დეკემბრის აგრილებით. ზამთარში დღის ტემპერატურების შემცირება ($0.7-0.9^{\circ}\text{C}$ -მდე) უფრო გამოკვეთილია დასავლეთ საქართველოში. ყველაზე დიდი უარყოფითი გადახრები აღინიშნა იანვარში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მხარეში, ხოლო დეკემბერში – აჭარა-გურიის მხარეში, ასევე იმერეთშიც.

საშუალო მინიმალური ტემპერატურა

საშუალო მინიმუმების წლიური მნიშვნელობები გაზრდილია ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა ამ პარამეტრის მიხედვით დათბობის ტენდენციები საიმედოა მხოლოდ ტერიტორიის ნაწილში. ღამის ტემპერატურების ნაზრდები 1956-1985 წ.წ. პერიოდთან მიმართებაში 1 გრადუსამდე ფარგლებშია. მაქსიმალური დათბობა გამოვლინდა ვახეთში, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს რაიონებში ($+0.9^{\circ}\text{C}$), აქვე ფიქსირდება საშუალო მინიმუმების ცვლილების მაქსიმალური სიჩქარეც ($+0.31^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში).

დასავლეთ საქართველოში აღმავალი ტრენდები აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე და ლიხის ქედის მიმდებარე რაიონებში, ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში (ამბროლაური, შოვი) ორი 30-წლიანი პერიოდის შედარებით გამოვლენილი ცვლილებები ტრენდებით არ დასტურდება. აღმოსავლეთ საქართველოს სადგურებზე საშუალო მინიმუმებისთვის დათბობის მდგრადი ტენდენციები გამოვლინდა ვაკე ტერიტორიასა და საშუალომთიან რაიონებში, ხოლო შედარებით მაღალმთიან ნაწილში (ახალქალაქი, ყაზბეგი, გუდაური) მინიმუმების ცვლილების ტენდენციები არ აღმოჩნდა ნიშნადი.

ისევე, როგორც საშუალო და საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების, საშუალო მინიმუმების ზრდა, ძირითადად, განპირობებულია ზაფხული-შემოდგომის (ივნისი-ოქტომბერი) მინიმუმების აწევით. მთელ ტერიტორიაზე საიმედო ზრდადი ტრენდების უმრავლესობა გამოვლინდა ზაფხულში, ხოლო შემოდგომაზე ღამის ტემპერატურების ნიშნადი ზრდა აღინიშნება, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. შიდაწლიურ ციკლში, აგვისტოსთან ერთად, გამოკვეთილია ოქტომბრის დათბობა. ამასთან, აგვისტოს ღამეების დათბობა უფრო ინტენსიურია აღმოსავლეთში, მაქსიმუმით – ვახეთში ($+1.8^{\circ}\text{C}$, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო), ხოლო ოქტომბრის – დასავლეთში, მაქსიმუმით – იმერეთში ($+1.74^{\circ}\text{C}$, ზესტაფონი, საჩხერე) [5,10].

როგორც მაქსიმუმების შემთხვევაში, მინიმალური ტემპერატურების დათბობის საიმედო ტენდენცია გაზაფხულზე გამოვლინდა, ძირითადად, მარტის თვეში, ხოლო მაისში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესია ღამის ტემპერატურის კლების ტენდენციები. ღამეების აგრილება კიდევ უფრო ინტენსიურია ნოემბერ-დეკემბერში, როდესაც ტემპერატურის შემცირების სიდიდე 0.7-0.9 გრადუსს აღწევს. ამ მხრივ, აღსანიშნავია საშუალო მინიმალური ტემპერატურის ცვლილების შედარებით განსხვავებული ხასიათი გორსა და ახალქალაქში, სადაც ზამთრისა და გაზაფხულის აგრილების მაგნიტუდა ზაფხული-შემოდგომის დათბობის რიგისაა, თუმცა აქ მინიმუმების ცვლილების რაიმი მდგრადი ტენდენცია არც ერთ თვეში არ აღინიშნება.

როგორც ჩანს, დათბობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განპირობებულია წლის თბილ პერიოდში დღის ტემპერატურების ზრდით. ღამეების დათბობა

უფრო ინტენსიურია დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, შემოდგომაზე. წლის განმავლობაში აგრილების ტენდენციები უპირატესია ნოემბერ-დეკემბერსა და ასევე მაისში. ტემპერატურების შემცირება აღმოსავლეთში მეტწილად განპირობებულია ღამის, ხოლო დასავლეთში – დღის ტემპერატურების კლებით, მაშინ როცა დათბობა აღმოსავლეთში ხდება უპირატესად მაქსიმუმების, ხოლო დასავლეთში – მინიმუმების აწევის ხაზზე.

წლიურ ციკლში ტერიტორიის ნაწილში მოხდა მაქსიმუმის წანაცვლება ივლისიდან აგვისტოში. თუ პირველ პერიოდში ყველაზე თბილი თვე როგორც საშუალო, ისე მაქსიმალური ტემპერატურის მიხედვით დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში იყო აგვისტო, ხოლო აღმოსავლეთში – ივლისი, მეორე პერიოდში წლის მაქსიმუმმა აგვისტოში წანაცვლა სამცხე-ჯავახეთის, შიდა და ქვემო ქართლის მხარეებში. რაც შეეხება მინიმუმებს, პირველ პერიოდში წლის განმავლობაში მთელ ტერიტორიაზე ყველაზე თბილი თვე იყო ივლისი, მეორე პერიოდში კი დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა, ყველაზე თბილი ღამეები აგვისტოში აღინიშნება.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები

წლიური აბსოლუტური მაქსიმუმის დადებითი ტრენდები, ძირითადად, გამოვლინდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დასავლეთში ეს პარამეტრი საიმედო დათბობას აჩვენებს მხოლოდ რამდენიმე მაღალმთიან რაიონში (შოვი, მთა-საბუეთი). როგორც სხვა ტემპერატურული მახასიათებლები, ეს პარამეტრიც დამთბარია ბათუმული-შემოდგომის, განსაკუთრებით, ივლისი-ოქტომბრის თვეების აბსოლუტური მაქსიმუმების აწევის ხარჯზე. თუმცა აღმავალი ტრენდები გამოვლინდა თებერვალ-მარტშიც. სხვა პარამეტრების მსგავსად, აბსოლუტური მაქსიმუმებისთვის კლება დამახასიათებელია წლის ცივი პერიოდისთვის ნოემბრიდან იანვრამდე. წლიური აბს. მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა: დასავლეთში $0.42^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში (შოვი), აღმოსავლეთში $0.74^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში (დედოფლისწყარო). წლის განმავლობაში მთელ ტერიტორიაზე დადებითი ტენდენციების ნიშნადობა ყველაზე მაღალია აგვისტოში. კლების ტენდენციები უმეტესად არასაიმედოა, თუმცა აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში გამოვლენილი უარყოფითი ტრენდები. მათ შორის აბს. მაქსიმუმების ყველაზე ინტენსიური კლება აღინიშნა ბორჯომში ნოემბერში ($-0.52^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში) [5,10].

ორ 30-წლიან პერიოდს შორის მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები თითქმის ყველა განხილულ პუნქტში აღინიშნა სექტემბერ-ოქტომბერში, ასევე უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა მაქსიმუმების გადაფარვა აპრილ-მაისსა და ივლის-აგვისტოში. გადაჭარბების სიდიდეები 4-6 გრადუსს აღწევს, ხოლო მაღალმთიან ზონაში 10 გრადუსამდეც ფიქსირდება. ამასთან, ბოლო პერიოდ-

ში ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე დაფიქსირებული მაქსიმუმები 40°C -ს აჭარბებს. ყველაზე მაღალი ტემპერატურა მთელი დაკვირვების პერიოდში კი ფოთში დაფიქსირდა (45.2°C , დაკვირვების თარიღი – 31/07/2000). მეორე პერიოდში წლიურ ციკლში აბს. მაქსიმუმები უმეტესად აგვისტოში დაიკვირვება.

ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები

ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები საიმედოდ იზრდება მხოლოდ რიგ სადგურებზე: დასავლეთში – ზუგდიდში ($0.58^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში) და საჩხერეში ($1.11^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში), აღმოსავლეთში – დედოფლისწყაროში ($0.63^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში). სეზონების მიხედვით აბსოლუტური მინიმუმების მდგრადი დატობა რაიმე კანონზომიერებას არ ავლენს და გაზაფხულის გარდა ცვლილების თითქმის თანაბარ ტენდენციებს აჩვენებს. წლის განმავლობაში ყველაზე ინტენსიურია აბს. მინიმუმების ზრდა ოქტომბერში, ხოლო შემცირება – აპრილ-მაისში. თბილი პერიოდის აბს. მინიმუმების მატების ტემპი მაქსიმალურია შავი ზღვის სანაპირო რაიონებსა და კოლხეთის დაბლობზე, აღმოსავლეთში კი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ვახეთში. აბს. მინიმუმების აგრილების ტენდენციები გამოვლინდა აპრილ-მაისში, უმეტესად სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ამასთან, შიდა ქართლში (გორი), იანვარი-თებერვლის გარდა, ადგილი აქვს მინიმუმების დაწევას მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით შემცირებულია ღამის ტემპერატურები გაზაფხულის დასაწყისში (მარტი, $-0.36^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში) [5,10].

ორ 30-წლიან პერიოდს შორის მინიმუმების გადაფარვა (აგრილების მიმართულებით) დასავლეთ საქართველოში უმეტესად აღინიშნა დეკემბერში, ხოლო აღმოსავლეთში – მაისში. გადაჭარბების სიდიდეები 2-3 გრადუსს შეადგენს, ხოლო მაღალმთიან ზონაში 6-7 გრადუსამდეც ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ აბს. მინიმუმების გადაჭარბების არც ერთი შემთხვევა არ დაკვირვებულა შემოდგომაზე. წლიურ ციკლში აღინიშნება აბს. მინიმუმების წანაცვლება. კერძოდ, თუ პირველ 30-წლიან პერიოდში ყველაზე დაბალი ტემპერატურები უმეტესობა რაიონებში იანვარში და ნაწილობრივ, თებერვალში ფიქსირდებოდა, 1986-2015 წ.წ. პერიოდში აბს. მინიმუმები, ძირითადად, თებერვალში და რიგ რაიონებში დეკემბერშიც აღინიშნა.

ატმოსფერული ნალექები

ნალექების რაოდენობა

ცვლილებები ნალექების რეჟიმში არამდგრადია დროით ჭრილში და ასევე არაერთგვაროვანია სივრცულად, თუმცა გარკვეული კანონზომიერებით მაინც ხასიათდება. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში

– შემცირებული, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ცვლილების ხასიათი უმეტესად არასაიმედოა და გამოკვეთილ ტენდენციებს ადგილი არ აქვს. ტრენდები გამოვლინდა მხოლოდ რიგ სადგურებზე. დასავლეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილებების ტენდენციები თითქმის ყველგან დადებითია, ორ პერიოდს შორის უდიდესი გადახრა (15%-მდე) და, შესაბამისად, ყველაზე მდგრადი ზრდის ტენდენცია ფოთსა და ხულოში გამოვლინდა (60-75მმ/10 წელიწადში). გამონაკლისია მხოლოდ გურიის მხარესა და აჭარის მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილი) გამოვლენილი ნალექების კლების ნიშნადი ტენდენციები (60-120მმ/10 წელიწადში). აღმოსავლეთში წლიური ნაზრდი მაქსიმალურია და შესაბამისი ტენდენციები ნიშნადია ლაგოდეხში (17%, 75მმ/10 წელიწადში), ნალექების შემცირება კი ყველაზე ინტენსიურია თიანეთში (-18%, 39 მმ/10 წელიწადში) [5,10].

რაც შეეხება ნალექების რაოდენობების ცვლილების ხასიათს სეზონების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ზამთარში ტრენდები თითქმის არ გამოვლინდა, ზაფხულში საიმედოა მხოლოდ ნალექების შემცირების ტენდენციები. ტრენდები კი, ძირითადად, აღინიშნა გარდამავალ სეზონებზე, განსაკუთრებით, გაზაფხულზე. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონებზე ყველა ტენდენციას (გარდა თიანეთისა) დადებითი ნიშანი აქვს. ამასთან, გაზაფხულზე ტრენდები გამოვლინდა აღმოსავლეთშიც – ქვემო ქართლსა და კახეთში. ნალექების სეზონური ჯამების ცვლილება 15-25%-ის ფარგლებშია და დასავლეთში უფრო ინტენსიურია შემოდგომაზე, ხოლო აღმოსავლეთში – გაზაფხულზე. ზაფხულის ნალექების შემცირების სიდიდე კი მეტად გამოკვეთილია აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კახეთში. თვეების მიხედვით, მატება დასავლეთში უპირატესად დაიკვირვება იანვარში, აღმოსავლეთში – ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, ხოლო კლება ყველგან მიმდინარეობს – ივლისი-სექტემბრის პერიოდის ხარჯზე.

წლიურ ციკლში აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში მოხდა თვის მაქსიმუმების წანაცვლება ზაფხულიდან გაზაფხულზე. თუ პირველ პერიოდში ყველაზე ნალექიანი თვე იყო მაისი და ივნისი, ახლა უმეტეს რაიონებში ნალექის უდიდესი რაოდენობა მაისში მოდის, უმცირესი კი კვლავ იანვარში და ნაწილობრივ, დეკემბერში დაიკვირვება. დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში ყველაზე მშრალი თვე იყო მაისი, მეორე პერიოდში კი ნალექების მინიმალური რაოდენობა უფრო გაზაფხულის დასაწყისში – მარტი-აპრილში აღინიშნება, ხოლო ყველაზე მეტი ნალექი დეკემბრის ნაცვლად შემოდგომის თვეებში – ოქტომბერ-ნოემბერში ან იანვარში მოდის.

ნალექების დღეღამური მაქსიმუმები

რაც შეეხება ერთ და ხუთ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალურ რაოდენობებს, საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად აღინიშნება ამ პარამეტრების ზრდა. შემცირების ტენდენციები კი გამოვლინდა ქვეყნის ცენ-

ტრალურ რაიონებში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი), თუმცა ცვლილების ტენდენციები, ძირითადად, არამდგრადია და გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტრენდი. როგორც ჩანს, მაქსიმუმების გამოვლენილი ნიშვნადი ზრდა განპირობებული უნდა იყოს დასავლეთში შემოდგომაზე, ხოლო აღმოსავლეთში – გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში (ივნისი) ნალექების 1- და 5-დღიური მაქსიმუმების მატებით. აღსანიშნავია, რომ შემცირების ტენდენციები დასავლეთის მაღალმთიან რაიონებში დაკავშირებულია წლის ცივ პერიოდში ნალექების კლებასთან, ხოლო ამ პარამეტრების წლიური სიდიდე თბილისში გაზრდილია ივნისის ხარჯზე. ცვლილების უდიდესი სიჩქარეები აღინიშნა: დადებითი – ოქტომბერში, ხულოში (5მმ/10 წელიწადში), უარყოფითი – აგვისტოში, თიანეთში (2.7მმ/10 წელიწადში) [5,10].

ორ 30-წლიან პერიოდს შორის 1-დღიური მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა იანვარსა და მაისში, 5-დღიურების – ასევე, ნოემბერშიც. წლიური მაქსიმუმების გადაჭარბების სიდიდეები 70-80 მმ-ს აღწევს (ქობულეთი, ლაგოდეხი), ხოლო 5-დღიური მაქსიმუმებისა – 150-160 მმ-მდე ფიქსირდება (ამბროლაური). დღე-ღამეში მოსული ნალექის უდიდესი რაოდენობა მთელი დაკვირვების პერიოდში ქობულეთში დაფიქსირდა (261.3 მმ, დაკვირვების თარიღი – 15/08/2001), უდიდესი 5-დღიური მაქსიმუმი (380.5 მმ, თარიღი – 07/09/1995) კი ბათუმშია დაკვირვებული.

პირველ 30-წლიან პერიოდში წლიურ ციკლში ნალექების როგორც 1-, ისე 5-დღიური მაქსიმუმები უმეტესად ზაფხულის თვეებში დაიკვირვებოდა, ხოლო აჭარა-გურიის მხარეში – შემოდგომაზე. მეორე პერიოდში დღეღამურმა მაქსიმუმებმა დასავლეთის სადგურებზე ნაწილობრივ წაინაცვლა შემოდგომაზე, ხოლო 5-დღიური მაქსიმუმები უმრავლეს პუნქტებში შემოდგომა-ზამთრის თვეებში დაფიქსირდა.

ქარი

ქარის საშუალო სიჩქარე

ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილებას თითქმის ყველა განხილული სადგურისათვის შემცირების ტენდენცია აქვს. ორ 30-წლიან პერიოდს შორის ქარის საშუალო სიჩქარე შემცირებულია საშუალოდ 1-2 მ/წმ-ით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქობულეთი და ბახმარო, სადაც ქარის საშ. სიჩქარე არამდგრადად, მაგრამ იმატებს ყველა სეზონზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს ტენდენციები ეყრდნობა მხოლოდ 2010 წლამდე დაკვირვებას. ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილების ტენდენციების უმეტესობა საიმედოა როგორც წლიური მნიშვნელობებისთვის, ისე სეზონებისთვის საშუალო სიჩქარეების მიხედვით. მხოლოდ თბილისის სადგურზე ტრენდი არ არის მდგრადი წლის არც ერთ სეზონზე, ზუგდიდში – შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერი) და ქუთაისში – ზაფხულში. მთელ განხილულ ტერიტორიაზე ქარის

საშუალო სიჩქარის ყველაზე ინტენსიური შემცირების სურათი გამოვლინდა მთა-საბუეთში და ფოთში, სადაც საშუალო წლიური სიჩქარეები მცირდება 0.5 მ/წმ-ით ყოველ 10 წელიწადში, ხოლო აღმოსავლეთში – შიდა ქართლში (გორი). ქარის სიჩქარეების ასეთი შემცირება განპირობებულია ამ პარამეტრის გაზაფხულზე, ყველაზე მეტად კი აპრილში, გამოვლენილი ინტენსიური კლებით [5,10].

წლიურ ციკლში დაიკვირვება გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, თუ პირველ 30-წლიან პერიოდში, ერთეული გამონაკლისების გარდა, წლის განმავლობაში ქარის საშუალო სიჩქარე ყველაზე მაღალი იყო თებერვალში – აჭარა-გურიაში და კოლხეთის დაბლობზე და მარტი-აპრილში – დანარჩენ ტერიტორიაზე, მეორე პერიოდში უმეტეს ტერიტორიაზე ყველაზე ქარიანი თვე გახდა მარტი, ხოლო აჭარა-გურიაში, ძირითადად – იანვარი.

ქარის მაქსიმალური სიჩქარე (ძლიერქარიანი დღეები, მაქსიმალური ქარების ალბათობა)

ქარის მაქსიმალური სიჩქარეების რეჟიმის დახასიათების მიზნით შერჩეულ იქნა ძლიერქარიან დღეთა (ქარის მაქსიმალური სიჩქარე ≥ 15 მ/წმ, ≥ 25 მ/წმ) რაოდენობა. რამდენადაც მაქსიმალური სიჩქარის ქარების მონაცემები მოიპოვება მხოლოდ 1970 წლიდან, ცვლილების ტენდენციები აგებულ იქნა 1970-2015 წ.წ. პერიოდისათვის, ხოლო ძლიერქარიან დღეთა რაოდენობათა შედარება განხორციელდა 1971-1985, 1986-2000 და 2001-2015 წ.წ. 15-წლიანი პერიოდებისთვის.

ძლიერქარიან დღეთა (≥ 15 მ/წმ) რაოდენობის შემცირების ტენდენციები უპირატესია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, დაიკვირვება მათი გახშირება. აღსანიშნავია ასეთი დღეების რიცხვის შემცირება დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში და განსაკუთრებით, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე (მთა-საბუეთი), სადაც ტრენდები გამოვლინდა ზაფხული-შემოდგომის სეზონებზე, ხოლო აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში, დაიკვირვება ასეთი დღეების ნიშნადი ზრდა. გორში ძლიერქარიანი დღეების გახშირება დაიკვირვება ყველა სეზონზე, ხოლო თბილისში მათი წლიური რაოდენობის ზრდა ხდება, ძირითადად, მარტის თვის ხარჯზე. ცვლილების ტენდენციები მაქსიმალურია მთა-საბუეთში და გორში და შეადგენს 1.7 დღე/10 წელიწადში. მსგავსი კანონზომიერებით იცვლება ექსტრემალურად ძლიერქარიან დღეთა (≥ 25 მ/წმ) განმეორებადობაც. კერძოდ, ასეთი დღეების ნიშნადი კლება გამოვლინდა ქუთაისსა და მთა-საბუეთში, ხოლო მდგრადი ზრდა დაიკვირვება გორში, ასევე ფოთში [5,10].

15-წლიანი პერიოდების შედარებამ აჩვენა, რომ ძლიერქარიან დღეთა შემცირება დამახასიათებელია მეორე პერიოდისთვის პირველთან მიმართებაში, ხოლო ბოლო პერიოდში უპირატესია სწორედ ასეთი დღეების გახშირების

ტენდენციები, რაც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს მტკვრის ხეობაში (გორი, თბილისი). ამასთან, მესამე პერიოდში აღინიშნება ძლიერქარიან დღეთა განმეორებადობის ზრდა (15-16 დღე) ქუთაისსა და მთა-საბუეთშიც. წლიური ნაზრდი მესამე და მეორე პერიოდებს შორის უდიდესია გორში (41 დღე), ხოლო ექსტრემალურად ძლიერი ქარების გახშირება ყველაზე გამოკვეთილია ფოთში (2.4 დღე).

წლიურ ციკლში აღინიშნება ძლიერქარიან დღეთა რაოდენობის მაქსიმუმების წანაცვლება და ბოლო 15-წლიან პერიოდში ასეთი დღეების უდიდესი რაოდენობა უმეტეს ტერიტორიაზე მარტში, ხოლო რიგ რაიონებში თებერვალში აღინიშნება.

როგორც ჩანს, თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარის შემცირების ფონზე რიგ რაიონებში ადგილი აქვს ძლიერქარიან დღეთა რიცხვის კლებას, თუმცა აღინიშნება სანინააღმდეგო ტენდენციებიც, რაც განპირობებული უნდა იყოს ასეთი დღეების გახშირებით უპირატესად ბოლო 15-წლიან პერიოდში.

ატმოსფერული ჰაერის ტენიანობა

ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა

უკანასკნელ 60-წლიან პერიოდში საშუალო ფარდობითი ტენიანობა შემდეგი კანონზომიერებით იცვლება: იგი ყველა სეზონსა და წლიურად გამოკვეთილად იმატებს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში. გამოვლინდა უარყოფითი ტენდენციების შემთხვევებიც, თუმცა მათი უმრავლესობა არამდგრადი ხასიათისაა. ნიშნადი დაღმავალი ტრენდები გამოვლინდა ქუთაისსა და ამბროლაურში ივლისი-სექტემბრის თვეებში (1-1.5%/10 წელიწადში).

დანარჩენ ტერიტორიაზე გამოვლენილი ფარდობითი ტენიანობის ზრდა, როგორც ჩანს, განპირობებულია ამ პარამეტრის უპირატესი მატებით წლის ცივ პერიოდში დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთში – გარდამავალ სეზონებზე, როდესაც გამოვლინდა ტრენდების უმრავლესობა. ყველაზე ინტენსიური მატება დასავლეთში აღინიშნა დეკემბერში, ფოთში (2%/10წელიწადში), აღმოსავლეთში კი – თბილისში, მაისში (2.3%/10წელიწადში). წლიური ტენდენციებიც საიმედოა სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო ზოლსა (ფოთი) და მტკვრის ხეობაში (ახალციხე-გორი-თბილისი) [5,10].

ორ 30-წლიან პერიოდს შორის ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მნიშვნელობების შემცირება 1%-მდე აღინიშნება, ხოლო ნაზრდი 4-5%-ს აღწევს. წლის განმავლობაში მაქსიმალური დადებითი გადახრები დაიკვირვება იანვარში (ფოთი, +8%), ხოლო ტენიანობის შემცირების შემთხვევები ყველაზე ხშირია სექტემბერში, თუმცა უდიდესი უარყოფითი გადახრები ივლის-აგვისტოში აღინიშნა (ქუთაისი, -5%). აღსანიშნავია, რომ გაზაფხული-ზაფხულის სეზონებზე ფარდობითი ტენიანობა შემცირებულია კახეთშიც.

წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება. როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში ყველაზე მშრალი თვეებია: დასავლეთში – აპრილი-მაისი და აღმოსავლეთში – ივლისი-აგვისტო. 1956-1985 წ.წ. პერიოდში ყველაზე მაღალი ტენიანობა უმეტესობა რაიონებში დაიკვირვებოდა შემოდგომის ბოლოს და ზამთრის დასაწყისში, ხოლო პერიოდში კი წანაცვლებულია და ამჟამად ყველაზე ნოტიო თვეებია დეკემბერი და ნაწილობრივ, იანვარიც. გამონაკლისია აჭარა-გურია და იმერეთი-სამეგრელოს დაბლობი რაიონები, სადაც მთელი განხილული პერიოდის განმავლობაში ტენიანობის მაქსიმუმები წლის მანძილზე ზაფხულის თვეებზე მოდის.

ტენიანობის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო და მშრალი დღეები)

ტენიანობის ექსტრემალური სიდიდეების ცვლილების შეფასების მიზნით შერჩეულ იქნა ე.წ. ნოტიო/ჩახუთულ (შუადღის ფარდობითი ტენიანობა $\geq 80\%$) და მშრალ (მინიმალური ფარდობითი ტენიანობა $\leq 30\%$) დღეთა რაოდენობა.

ნოტიო დღეების რაოდენობა საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე გაზრდილია. ამასთან, აღმავალი ტენდენციები, ძირითადად, საიმედოა და ტრენდებით დასტურდება წლიური მნიშვნელობებისთვის, ხოლო წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გაზაფხულის სეზონზე. ყველაზე ნიშნავია ასეთი დღეების მატება დასავლეთში – ფოთში, ხოლო აღმოსავლეთში – თბილისში. კლებადი ტენდენციები გამოვლინდა რაჭაში. ორ პერიოდს შორის წლიური ნაზრდები დასავლეთში 20-30 დღეს აღწევს, აღმოსავლეთში კი გაცილებით მცირეა და 10-12 დღეს არ აღემატება. მაქსიმალური დადებითი ნაზრდი აღინიშნა ივანისში, ფოთში (5.5 დღე), უდიდესი კლება კი თებერვალში, ბოლნისში (1.5 დღე). ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ასეთი დღეების გახშირება ყველაზე მეტად დაიკვირვება დეკემბერში, ხოლო კლება – მარტი-აპრილში [5,10].

წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება. როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში ნოტიო დღეების მაქსიმალური რაოდენობა ზამთრის დასაწყისში (დეკემბერში) და ნაწილობრივ, იანვარში დაიკვირვება.

რაც შეეხება, ექსტრემალურად მშრალ დღეებს, თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება ასეთი დღეების შემცირება, რაც წლის განმავლობაში განპირობებულია აპრილ-მაისში მშრალი დღეების ნიშნავი კლებით. ორ პერიოდს შორის შემცირების წლიური სიდიდე საშუალოდ ტერიტორიაზე 6-8 დღეს შეადგენს. ყველაზე გამოკვეთილად იკლებს იმერეთში (საშუალოდ, 11 დღემდე), ქუთაისში კი შემცირებულია 27 დღით. რიგ რაიონებში, ძირითადად, გაზაფხულზე – კახეთში და შემოდგომის დასაწყისში – მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, გამოვლინდა ასეთი დღეების გახშირება.

ტენდენციები ნიშნავდა კახეთში, სადაც წლიური ნაზრდი 6-9 დღეს, გაზაფხულზე კი 4-5 დღეს შეადგენს.

წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება დასავლეთში, სადაც როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში მშრალი დღეების უდიდესი რაოდენობა აპრილში დაიკვირვება, ხოლო აღმოსავლეთში თუ პირველ პერიოდში ასეთი დღეების მაქსიმალური განმეორებადობა კახეთსა და ქვემო ქართლში, ძირითადად, აგვისტოში აღინიშნებოდა, მეორე პერიოდში, ისევე როგორც დანარჩენ ტერიტორიაზე, ყველაზე მეტად აპრილზე მოდის.

ტენიანობის ექსტრემუმების ანალიზი ადასტურებს და ხსნის საშუალო ფარდობითი ტენიანობის ცვლილების გამოვლენილ კანონზომიერებებს. კერძოდ, ტენიანობის მატება გაზაფხულის სეზონზე განპირობებული უნდა იყოს უფრო მეტად მშრალი დღეების განმეორებადობის შემცირებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დეკემბერ-იანვარში ტენიანობის მატება დაკავშირებული უნდა იყოს ამ თვეებში ნოტიო დღეების გახშირებასთან, რაც უფრო მეტად გამოკვეთილია დასავლეთ საქართველოში.

სეზონების დახასიათება

ზამთარი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ზამთარი ბოლო 30 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, წინა 30 წელთან შედარებით შერბილებულია, თუმცა სხვა სეზონებთან შედარებით, ტემპერატურული რეჟიმის ცვლილება ყველაზე ნაკლებად ნიშნავდა, რამდენადაც უმეტეს რაიონებში იანვარ-თებერვალში გამოვლენილი დათბობის ტენდენციები კომპენსირებდნენ დეკემბრის აგრილებით. დათბობა ყველაზე გამოკვეთილია საქართველოს დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე: აღმოსავლეთში – ქართლ-კახეთში, დასავლეთში – სამეგრელოში. ზამთრის გამჟავების ტენდენციებს კი ადგილი აქვს აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში, სადაც აგრილება იანვარ-თებერვალშიც აღინიშნება. სეზონის საშუალო ტემპერატურის გადახრები პირველ პერიოდთან მიმართებაში ± 1 გრადუსის ფარგლებშია. უდიდესი დადებითი ნაზრდი აღინიშნა შიდა ქართლში (ხაშური, $+0.63^{\circ}\text{C}$), მაქსიმალური უარყოფითი გადახრა – აჭარაში (ხულო, -0.38°C) [5,10].

სხვა ტემპერატურული პარამეტრების ანალიზი აჩვენებს, რომ ზამთრის შერბილება უფრო მეტად მინიმუმების დათბობის ხარჯზე ხდება. აბსოლუტური მინიმუმები რიგ რაიონებში (კოლხეთის დაბლობი, დედოფლისნარო) დამთბარია 4-5 გრადუსით, სადაც ამ პარამეტრების ცვლილება საიმედოა და დასტურდება ტრენდებით. ორ პერიოდს შორის ნაზრდები როგორც დღის, ისე ღამის ტემპერატურებისთვის $0.7-0.8^{\circ}\text{C}$ -მდეა, თუმცა მაქსიმუმების ზრდა აღინიშნება, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში და სამეგრელოს დაბლობ რაიონებში, ხოლო მინიმუმების – ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე.

გამონაკლისია ღამის ტემპერატურების კლების შედეგად ზამთრის შედარებით გამოკვეთილი გამკაცრების ტენდენციები სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში (ახალქალაქი), სადაც საშუალო მინიმუმები შემცირებულია ზამთრის ყველა თვეში, უდიდესი უარყოფითი გადახრა (-0.86°C) კი დეკემბერში აღინიშნება. ამავე დროს, მეორე პერიოდში აქ დაფიქსირდა 2-3 გრადუსით აბს. მინიმუმების გადაფარვის შემთხვევებიც.

ზამთრის დათბობას ადასტურებს ექსტრემალური ტემპერატურული ინდექსებიც (TX10p, TN10p, TX90p, TN90p, FD0, ID0). როგორც ჩანს, ზამთრის შერბილება უპირატესად განპირობებულია ცივი ღამეების პროცენტული რაოდენობის კლებით, განსაკუთრებით, იანვარში. ასეთი ღამეების შემცირება ყველაზე გამოკვეთილია კახეთში, მაგ., დედოფლისწყაროში მეორე პერიოდში ცივი ღამეების სეზონური განმეორებადობა შემცირებულია საშუალოდ 6%-ით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ რაიონებში, იანვარში კი თითქმის მთელ ტერიტორიაზე, აღინიშნება ზამთრის თბილი დღეების რაოდენობის შემცირებაც, ხოლო დეკემბერში დასავლეთ საქართველოში გამოვლინდა ცივი დღეების განმეორებადობის მატება საშუალოდ 3-4%-ით თვეში. ზამთრის შერბილებაზე მიუთითებს ქვეყნის ტერიტორიაზე ცივი ტალღების რაოდენობისა და ხანგრძლივობის შემცირებაც. თუმცა რიგ რაიონებში, განსაკუთრებით, დასავლეთში მეორე პერიოდში აღინიშნა ცივი ტალღების მაქსიმალური ხანგრძლივობის გადაჭარბების შემთხვევებიც (მაგ., შოვეში – 11 დღით, ქუთაისში – 7 დღით, შავი ზღვის სანაპიროზე – 3-4 დღით).

ზამთარში ნალექების სეზონური რაოდენობის ცვლილების მხოლოდ რამდენიმე საიმედო ტენდენცია გამოვლინდა, რომლებიც ნალექების ნიშნად შემცირებაზე მიუთითებს გურიასა და შიდა ქართლის მხარეებში. უმეტეს ტერიტორიაზე ნალექების კლება აღინიშნება თებერვალში, ხოლო ნალექიანობის მატება სახეგა იანვარში – დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დეკემბერში კი – აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, ქვემო ქართლსა და კახეთში. 1986-2015 წწ. პერიოდის ნალექების სეზონური ნაზრდი უდიდესია ახალქალაქში (+33%), ხოლო შემცირების ტენდენცია ყველაზე ნიშნავია ბახმაროში (-38მმ/10 წელიწადში) [5,10].

ნალექების რაოდენობის აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია, ძირითადად, იანვრის თვეში უხვნალექიანი დღეების (R30, R50) გახშირებასთან დასავლეთ საქართველოში: შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობსა და მიმდებარე მთიან რაიონებში. ასევე, დასავლეთში აღინიშნება გადაბმულად ნალექიანი პერიოდების გახანგრძლივება (მაქს. 5-6 დღით), ხოლო აღმოსავლეთში ზამთარში ყველაზე თვალსაჩინოა მშრალი პერიოდების ხანგრძლივობის ზრდა (მაქს. 10-11 დღით), განსაკუთრებით, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში (მაქს. 14-16 დღით), თუმცა იანვარში და განსაკუთრებით, დეკემბერში თანმიმდევრულად უნალექო დღეების გახშირება დაიკვირვება იმერეთშიც. აღსანიშნავია, რომ ზამთრის სეზონზე მდგრადია და ტრენდებით დასტურდება

ნალექების მახასიათებლებისთვის გამოვლენილი ის ცვლილებები, რომლებიც ნალექების შემცირებაზე მიუთითებს.

ტემპერატურისა და ნალექების ნაკლებად საიმედო ცვლილებების ფონზე, დანარჩენ სეზონებთან შედარებით, ზამთარში და განსაკუთრებით იანვარში, ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქვემო ქართლის საშუალო-მთიანი რაიონებისა) მომატებულია ფარდობითი ტენიანობა. მატება სეზონურად 2-3%-ს შედაგენს, რიგ რაიონებში კი (ფოთი, ახალციხე) 5-6%-ს აჭარბებს. ტენიანობის ზრდის ტენდენციების უმეტესობა მდგრდია (მათ შორის, თბილისში), ცვლილების სიჩქარეები კი 10 წელიწადში 1-2%-ის რიგისაა.

აღნიშნული ცვლილებები ტერიტორიის მეტ ნაწილში განპირობებული უნდა იყოს ნოტიო დღეების (RH80) კიდევ უფრო გახშირებით, ვახეთში კი, უფრო მეტად – მშრალი დღეების (RH30) განმეორებადობის შემცირებით.

ქარის საშუალო სიჩქარე მთელ ტერიტორიაზე მდგრადად მცირდება (გარდა თბილისისა) ყოველ 10 წელიწადში 0.5-1მ/წმ-ით.

რაც შეეხება ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობას, 2000-იანი წლებიდან, განსაკუთრებით დეკემბერსა და თებერვალში, ქვეყნის მთათაშორის ზოლში (ფოთი-ქუთაისი-მთა-საბუეთი-გორი-თბილისი) აღინიშნება ასეთი დღეების გახშირება. აღსანიშნავია, რომ გორში გამოვლინდა ძლიერქარიანი დღეების ნიშნადი მატება მთელი განხილული 60-წლიანი პერიოდის განმავლობაში ზამთრის ყველა თვეში, ხოლო ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეებისა – თებერვალში.

ანუ, საქართველოში ზამთარი გახდა უფრო ტენიანი და ნაკლებად მკაცრი (უპირატესად ცივი და ყინვიანი დღეებისა და ღამეების განმეორებადობის შემცირების ხარჯზე), დასავლეთში – გახშირებული უხვნალექიანი დღეებით, ხოლო აღმოსავლეთში – უფრო ხანგრძლივი უნალექო პერიოდებით, რასაც რიგ რაიონებში თან ახლავს ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობის ზრდა.

გაზაფხული. გაზაფხული ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე დამთბარია. დათბობის ტენდენციები შედარებით ნიშნადია, ვიდრე ზამთრის სეზონზე და ორ 30-წლიან პერიოდს შორის საშუალო ტემპერატურის ნაზრდები 0.2-0.3 გრადუსის ფარგლებშია, თუმცა ზოგ რაიონებში (მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი) 0.4-0.6°C აღწევს. ისევე როგორც ზამთარში, ტემპერატურის უარყოფითი გადახრები 0.3-0.4°C-ს ფარგლებში გამოვლინდა აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში. ცალკეული თვეების ანალიზი აჩვენებს, რომ გაზაფხულის დათბობა, ძირითადად, განპირობებულია ტემპერატურის მატებით მარტში, როდესაც უმრავლესობა განხილულ პუნქტებზე გამოვლინდა დათბობის აღმავალი ტრენდები, ხოლო მაისში უპირატესად დაიკვირვება აგრილების, თუმცა დათბობაზე ნაკლებად საიმედო ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ როგორც დათბობის, ისე აგრილების ინტენსივობა ყველაზე გამოკვეთილია ვახეთში და ორ პერიოდს შორის ნაზრდი, ასევე ტემპერატურის ცვლილების მაქსიმალური სიჩქარე აღინიშნა დედოფლისწყაროში მარტში

($+1.1^{\circ}\text{C}$, $+0.37^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში). მეორე პერიოდში ტემპერატურის შემცირების უდიდესი მნიშვნელობები დაიკვირვება მაისში მაღალმთიან აჭარაში (ხულო, -0.6°C), ასევე, შიდა ქართლში (გორი, -0.4°C).

სხვა ტემპერატურული პარამეტრების ანალიზი აჩვენებს, რომ გაზაფხულის დათბობა, ზამთრისგან განსხვავებით, უფრო მეტად მაქსიმუმების აწევის ხარჯზე ხდება. მაქსიმუმების ნაზრდები ტერიტორიაზე საშუალოდ ნახევარ გრადუსს, ხოლო მინიმუმების – 0.3°C -ს შეადგენს. დღის ტემპერატურების მატების სიდიდე ქვეყნის ტერიტორიაზე მაქსიმალურია მაღალმთიან რაიონებში (შოვი, $+1.1^{\circ}\text{C}$, $0.44^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში), ხოლო ღამის ტემპერატურების მდგრადი ზრდა, ძირითადად, დასავლეთში აღინიშნება. ორ პერიოდს შორის გადახრა და საშუალო მინიმუმების წრფივი ტრენდების უდიდესი დახრის კუთხე აქ უდიდესია კოლხეთის დაბლობზე (საჩხერე, $+0.6^{\circ}\text{C}$, $0.21^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში). რაც შეეხება აგრილებას მაისში, როგორც ჩანს, ის განპირობებული უნდა იყოს ღამის ტემპერატურების უპირატესი კლებით. სწორედ ამ პარამეტრის მიხედვით გამოვლინდა რამდენიმე რაიონში (ამბროლაური, ახალქალაქი, გორი) გაზაფხულზე ყველა თვეში აგრილება. აღსანიშნავია, რომ გორში აღინიშნება გაზაფხულის აბს. მინიმუმების მდგრადი შემცირების ტენდენციაც ($-0.44^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში), რაც ამ სეზონზე ტემპერატურულ პარამეტრებში გამოვლენილი ერთადერთი უარყოფითი ტრენდია.

გაზაფხულზე ტემპერატურულ რეჟიმში ცვლილებებს ადასტურებს ექსტრემალური ტემპერატურული ინდექსებიც. როგორც ჩანს, დათბობა ამ სეზონზე, ზამთრისგან განსხვავებით, უპირატესად განპირობებულია თბილი დღეებისა და ღამეების პროცენტული რაოდენობის ზრდით, განსაკუთრებით, მარტში. ასეთი დღეების მატება ყველაზე გამოკვეთილია სამცხე-ჯავახეთში, ასევე, მაღალმთიან რაჭაში. მაგ., ბაკურიანსა და შოვიში მეორე პერიოდში თბილი დღეების სეზონური განმეორებადობა გაზრდილია საშუალოდ 9-10%-ით. ამასთან, უმეტესობა რაიონებში, მაისში კი თითქმის მთელ ტერიტორიაზე, გარდა შავი ზღვის სანაპირო ზოლისა, აღინიშნება გაზაფხულის ცივი ღამეების გახშირებაც, რასაც აღმოსავლეთ საქართველოში მაისის თვეში თან ახლავს ცივი დღეების განმეორებადობის მატება საშუალოდ 2-3%-ით თვეში. აღსანიშნავია ყინვიანი ღამეების შემცირება გაზაფხულზე, რაც ამცირებს გაზაფხულის წაყინვების რისკს. თუმცა სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, ასევე, გორში, აპრილ-მაისის აგრილებების შედეგად, დაიკვირვება ასეთი ღამეების რაოდენობის და შესაბამისად, წაყინვების რისკების ზრდა გაზაფხულის ბოლოს. გარდა ამისა, აღსანიშნავია აქტიურ (10°C -ზე მაღალი) ტემპერატურათა ჯამების ზრდა გაზაფხულზე სამცხე-ჯავახეთის მთიან რაიონებში, რაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებისთვის ხელშემწყობ ფაქტორს.

ნალექების რეჟიმში გამოვლენილი ცვლილებები ამ სეზონზე უმეტესად ნალექების სეზონური რაოდენობის მატებაზე მიუთითებს, თუმცა საიმედოა

მხოლოდ რამდენიმე აღმავალი ტენდენცია, რომლებიც უმეტესად ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში აღინიშნება. მათ შორის ყველაზე ნიშნავია ნალექიანობის ზრდა კახეთში (ლაგოდეხი, +18%, 21მმ/10 წელიწადში), რაც აქ აპრილ-მაისში უხვნალექიან დღეთა (R30, R50) გახშირებითაა განპირობებული. ამასთან, კახეთში გაზაფხულზე ყველგან დაიკვირვება 1- და 5-დღეში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობის (Rx1day, Rx5day) გადაჭარბების შემთხვევებიც, ხოლო 5-დღიური სეზონური მაქსიმუმებისთვის ზრდის ტენდენციები მდგრადია და თელავსა და ლაგოდეხში დასტურდება ტრენდებით (ლაგოდეხი, 6მმ/10წელიწადში). აღსანიშნავია, რომ კახეთში ნალექების სეზონური ჯამების მატებასთან ერთად გამოვლინდა მშრალი პერიოდების მაქსიმალური ხანგრძლივობის ზრდაც (მაქს. 20-25 დღით).

დანარჩენ ტერიტორიაზე გამოვლინდა შემდეგი ხასიათის ცვლილებები: დასავლეთ საქართველოში ნალექების მატება აღინიშნება მარტში და განსაკუთრებით მაისში, ხოლო აღმოსავლეთში – აპრილში. ნალექიანობის შემცირება სახეგა მარტში – შიდა და ქვემო ქართლში, აპრილში კი – ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ნალექების ექსტრემალური ინდექსების ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთში ნალექიანობის ზრდა დაკავშირებული უნდა იყოს მარტში გადაბმულად ნალექიანი პერიოდების გახანგრძლივებასთან, ხოლო მაისში – უხვნალექიან დღეთა გახშირებასთან. გაზაფხულის თვეებში 1986-2015 წ.წ. პერიოდის ნალექების ნაზრდი უდიდესია ფოთში (მაისი, +57%), ხოლო უარყოფითი გადახრა – თიანეთში (მაისი, -32%). აღნიშნული ცვლილებები გაზრდის გაზაფხულზე რიგ რაიონებში (მთიანი აჭარა, სამეგრელო, კახეთი) წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების რისკებს, ხოლო უნალექო პერიოდების გახანგრძლივება (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) წარმოადგენს რისკ-ფაქტორს სოფლის მეურნეობისთვის.

გაზაფხულზე ფარდობითი ტენიანობის 2-3%-ით ზრდა აღინიშნება ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, ხოლო მტკვრის ხეობაში და სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში ეს ზრდა საიმედოა და დასტურდება ტრენდებით. ტენიანობის შემცირების, თუმცა არამდგრადი ტენდენციები გამოვლინდა რაჭა-ლეჩხუმსა და კახეთში (1-1.5%-ით). ტენიანობის ზრდა ხდება, ძირითადად, აპრილ-მაისში, როდესაც ორ 30-წლიან პერიოდს შორის ნაზრდები 3-4%-ის ფარგლებშია, ხოლო რიგ რაიონებში (ახალციხე, თბილისი) 5-6%-ს აღწევს, ტრენდის დახრის კუთხე კი 10 წელიწადში საშუალოდ 2%-ს შეადგენს [5, 10].

ტენიანობის გამოვლენილი მატება უმრავლესობა რაიონებში დაკავშირებულია მშრალი დღეების (RH30) შემცირებასთან, ფოთსა და თბილისში კი განპირობებულია ნოტიო დღეების (RH80) გახშირებით. ასეთი დღეების განმეორებადობა მთელ ტერიტორიაზეა გაზრდილი მაისში.

გაზაფხულზე ქარის საშუალო სიჩქარე მდგრადად მცირდება მთელ განხილულ ტერიტორიაზე, გარდა თბილისისა. გადახრები პირველ პერიოდ-

თან მიმართებაში 1-2 მ/წმ-ის ფარგლებშია. ამასთან, ქარის სიჩქარის შემცირების ინტენსივობა გაზაფხულზე უდიდესია სეზონებს შორის.

რაც შეეხება ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობას, განსაკუთრებით მარტი-აპრილში, მტკვრის ხეობაში (გორი-თბილისი), ხოლო 2000-იანი წლებიდან – ლიხის ქედზე (მთა-საბუეთი), აღინიშნება ასეთი დღეების გახშირება (გორი, ნაზრდი სეზონზე – 11 დღე). აღსანიშნავია ასევე ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობის ზრდა ბოლო პერიოდში ფოთსა და კახეთში. ისევე როგორც ზამთარში, გორში გამოვლინდა ძლიერქარიანი დღეების ნიშნადი მატება მთელი განხილული 60-წლიანი პერიოდის განმავლობაში გაზაფხულის ყველა თვეში, ხოლო თბილისსა და თელავში – მარტში. აღნიშნული ტენდენცია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს, რამდენადაც ინვესტს რა ნიადაგის ზედა ფენის გამოშრობას და ახვეტას, საკმაოდ აზიანებს საგაზაფხულო ნარგავებს. თუმცა უნდა აღინიშნოს ქარის ენერგეტიკისთვის ამ ფაქტორის პოზიტიური როლიც (გორის ქარის ტურბინები).

ანუ, საქართველოში გაზაფხული გახდა უფრო ტენიანი და თბილი (უპირატესად თბილი დღეებისა და ღამეების განმეორებადობის ზრდის ხარჯზე მარტი-აპრილში), გახშირებული უხვნალექიანი და ნოტიო დღეებით – მაისში, რასაც რიგ რაიონებში (მტკვრის ხეობა) თან ახლავს ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობის ზრდა.

ზაფხული. ზაფხული მნიშვნელოვნად დამთბარია ყველა ტემპერატურული პარამეტრის მიხედვით და თითქმის მთელ ტერიტორიაზე დათბობა დასტურდება ტემპერატურის საშუალო მახასიათებლებისა თუ ექსტრემალური ინდექსების აღმავალი ტრენდებით. გამონაკლისია მხოლოდ აჭარა-გურიის მაღალმთიანი მხარე. ყველაზე ინტენსიური დათბობა გამოვლინდა დასავლეთში – სამეგრელოში და აღმოსავლეთში – კახეთში. სეზონის საშუალო ტემპერატურის გადახრები პირველ 30-წლიან პერიოდთან მიმართებაში 0.5-1.3 გრადუსის ფარგლებშია. უდიდესი დადებითი ნაზრდი აღინიშნა კახეთში (დედოფლისწყარო, +1.28°C). ზაფხულის განმავლობაში ყველაზე მეტად დამთბარია აგვისტო, როდესაც საშუალო ტემპერატურის ნაზრდები 2 გრადუსს აღწევს, მაქსიმალური დათბობა სამეგრელოში დაიკვირვება (ზუგდიდი, +1.81°C), სადაც გამოვლინდა ყველაზე ნიშნადი აღმავალი წრფივი ტრენდიც, დახრის კუთხით +0.51°C/10 წელიწადში.

სხვა ტემპერატურული პარამეტრების ანალიზი აჩვენებს, რომ ზაფხულის დათბობა, გაზაფხულის მსგავსად, უფრო მეტად მაქსიმუმების აწვევის ხარჯზე ხდება. მინიმუმების ნაზრდები ტერიტორიაზე საშუალოდ 1 გრადუსამდე აღინიშნება, ხოლო მაქსიმუმებისა – 1.5°C-ს აღწევს. დღის ტემპერატურების მატების სიდიდე ქვეყნის ტერიტორიაზე მაქსიმალურია სამცხე-ჯავახეთსა (ბაკურიანი, +2.41°C) და კახეთში (დედოფლისწყარო, +2.12°C), ხოლო ღამის

ტემპერატურების მდგრადი ზრდა ყველაზე ნიშნადია სამეგრელოსა და კახეთში. ორ პერიოდს შორის გადახრა და საშუალო მინიმუმების წრფივი ტრენდების დახრის კუთხე უდიდესია დედოფლისწყაროში (+1.6°C, +0.42°C/10 წელიწადში). აგვისტოში დათბობა ყველაზე ინტენსიურია და მაქსიმალური ტემპერატურის გადახრები ბაკურიანში +2.85°C და დედოფლისწყაროში +2.5°C-ს აღწევს, ხოლო მინიმალურისა – 1.8°C-მდეა (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო). ზაფხულში 1986-2015 წწ. პერიოდში ტერიტორიის უმეტეს ნაწილში დაფიქსირდა აბს. მაქსიმუმების გადაჭარბება. გადაფარვის სიდიდე მაქსიმალურია შოვსა და დედოფლისწყაროში და 3-4 გრადუსს შეადგენს. რაც შეეხება აბს. მინიმუმებს, გამოვლინდა აგრილების ტენდენციები გორსა და ახალქალაქში. აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი ტემპერატურული პარამეტრი, რომელიც თუნდაც არასაიმედოდ, მაგრამ ტემპერატურის გარკვეულ შემცირებაზე მიუთითებს ზაფხულის სეზონზე.

ექსტრემალური ტემპერატურული ინდექსების ანალიზი ადასტურებს, რომ ზაფხულში ისევე, როგორც გაზაფხულზე, დათბობა უპირატესად განპირობებულია თბილი დღეებისა და ღამეების განმეორებადობის ზრდით (საშუალოდ, 8-9%-ით), თუმცა ცივი დღეებისა და ღამეების პროცენტული წილიც ამ სეზონზე მნიშვნელოვნად შემცირებულია (საშუალოდ 4-5%-ით). ცხელი დღეების ზრდა ყველაზე გამოკვეთილია შავი ზღვის სანაპირო ზოლში და მეორე პერიოდში ასეთი დღეების განმეორებადობა სეზონზე 20%-ით არის მომატებული, ხოლო აგვისტოში ნაზრდი 30%-ს აჭარბებს. თბილი და ტროპიკული ღამეების გახშირება კი ყველაზე ინტენსიურია კახეთში. ზაფხულის სეზონური ნაზრდი აქაც 20%-ის ფარგლებშია, ხოლო აგვისტოში ასეთი ღამეების წილი 25%-ით არის გაზრდილი. ანუ, ზაფხულში ქვეყნის ტერიტორიაზე სახეგა დათბობის ყველა ინდიკატორი.

დათბობის ფონზე ნალექების საზონური ჯამი ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე შემცირებულია, თუმცა ნიშნადი ცვლილებები აღინიშნება მხოლოდ რამდენიმე რაიონში. უმეტეს ტერიტორიაზე ნალექების კლება აღინიშნება აგვისტოში, აღმოსავლეთში კიდევ უფრო ინტენსიურია ივლისში, ხოლო ნალექიანობის მატება სახეგა ივნისში მხოლოდ აჭარაში და კოლხეთის დაბლობზე, ასევე, თბილისში. 1986-2015 წ.წ. პერიოდში ზაფხულში ნალექების სეზონური ჯამების კლება ყველაზე გამოკვეთილია კახეთში (20%-მდე), ხოლო შემცირების ტენდენცია ყველაზე ნიშნადია თიანეთში (-24მმ/10წელიწადში). ნალექების სეზონური ნაზრდი უდიდესია ხულოში (+16%).

ნალექების რაოდენობის აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია, ძირითადად, ივნისის თვეში უხვნალექიანი დღეების (R30, R50) გახშირებასთან და ნალექების დღეღამური მაქსიმუმების ზრდასთან ფოთსა და თბილისში, ხოლო ივლისში და განსაკუთრებით, აგვისტოში მშრალი პერიოდების ხანგრძლივობის ზრდასთან (საშუალოდ, 9-10 დღით). უნალექო პერიოდების გახანგრძლივება ყველაზე გამოკვეთილია კახეთსა და შიდა ქართლში, რაც ამ

რეგიონებში გვალვების გახშირებაზე მიუთითებს და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არა მარტო სოფლის მეურნეობის სექტორისთვის და სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტის საშიშროებას შექმნის.

როგორც ჩანს, ზაფხულისთვის მომატებული ტემპერატურის ფონზე რისკს წარმოადგენს გვალვიანი პერიოდების გახშირება, რასაც რიგ რაიონებში თან სდევს უხვნალექიან დღეთა გახშირება და დღელამური მაქსიმალური ნალექების მატება, რაც მენყრულ-ღვარცოფული პროცესების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია.

ზაფხულის საშუალო ფარდობითი ტენიანობა მომატებულია, თუმცა ზრდადი ტრენდების ყველაზე ნაკლები რაოდენობა სწორედ ამ სეზონზე გამოვლინდა. ტენიანობის შემცირების ტრენდი გამოვლინდა იმერეთში (ქუთაისი, -1.1%/10 წელიწადში). ზოგადად, ზაფხულში ტენიანობის ცვლილების ტენდენციები ისეთივეა, როგორც გაზაფხულზე, მხოლოდ შემცირებულია ტენიანობის ნაზრდები, ხოლო შემცირების ტენდენციები უფრო ნიშნავი ხდება. ტენიანობის ზრდა ხდება, ძირითადად, ივნისში, როდესაც ორ 30-წლიან პერიოდს შორის ნაზრდები 3-4%-ის ფარგლებშია, ხოლო რიგ რაიონებში (ფოთი, ახალციხე) 5%-ს აღწევს. ტენიანობის კლებადი ტენდენციები უპირატესად ივლის-აგვისტოში აღინიშნა.

ტენიანობის გამოვლენილი მატება უმრავლესობა რაიონებში დაკავშირებულია მშრალი დღეების (RH30) შემცირებასთან, ფოთში კი განპირობებულია ნოტიო (ჩახუთული) დღეების გახშირებით. ასეთი დღეების განმეორებადობა ტერიტორიის უმეტეს ნაწილში გაზრდილია ივნისში. ზაფხულის თბური ტალღების გახშირებასთან ერთად, ფოთში გამოვლენილი ექსტრემალურად ნოტიო დღეების განმეორებადობის ზრდა მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ჯანმრთელობის სექტორისთვის.

როგორც სხვა სეზონებზე, ზაფხულში ქარის საშუალო სიჩქარე მდგრადად მცირდება მთელ განხილულ ტერიტორიაზე, გარდა თბილისისა. გადახრები პირველ პერიოდთან მიმართებაში 1-2 მ/წმ-ის ფარგლებშია.

რაც შეეხება ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობას, ქვეყნის მთათა-შორის ზოლში – ფოთიდან თბილისამდე, 2000-იანი წლებიდან აღინიშნება ასეთი დღეების გახშირება (გორი, ნაზრდი სეზონზე – 11 დღე). ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობის ზრდა ბოლო პერიოდში მხოლოდ გორში დაიკვირვება. როგორც სხვა სეზონებზე, გორში გამოვლინდა ძლიერქარიანი დღეების ნიშნავი მატება მთელი განხილული 60-წლიანი პერიოდის განმავლობაში ზაფხულის ყველა თვეში.

ანუ, ზაფხული საქართველოში გახდა საგრძნობლად ცხელი და შედარებით მშრალი, რიგ რაიონებში გახშირებული უხვნალექიანი და ჩახუთული (ნოტიო) დღეებით.

შემოდგომა. შემოდგომაც დამთბარია. ამ სეზონზეც ისევე, როგორც ზაფხულში, სახეზეა დათბობის ყველა ინდიკატორი, თუმცა დათბობის ინტენ-

სივობა შედარებით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ სექტემბერი-ოქტომბერი, აგვისტოს შემდეგ, წლის განმავლობაში გამოირჩევა დათბობის ყველაზე ნიშნადი ტენდენციებით, ხოლო ნოემბერი – აგრილების ყველაზე მაღალი ინტენსივობით. ყველაზე გამოკვეთილია დათბობა სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში, ხოლო აგრილება – აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში (ხულო, -0.82°C). სეზონის საშუალო ტემპერატურის გადახრები პირველ 30-წლიან პერიოდთან მიმართებაში 1 გრადუსამდეა. უდიდესი დადებითი ნაზრდი აღინიშნა სამეგრელოში (ზუგდიდი, $+0.90^{\circ}\text{C}$). შემოდგომის განმავლობაში ყველაზე მეტად დათბარია ოქტომბერი, როდესაც საშუალო ტემპერატურის ნაზრდები 1.5 გრადუსს აღწევს. მაქსიმალური დათბობა ოქტომბერშიც სამეგრელოში დაიკვირვება (ზუგდიდი, $+1.42^{\circ}\text{C}$), სადაც გამოვლინდა ყველაზე ნიშნადი აღმავალი წრფივი ტრენდიც, დახრის კუთხით $+0.50^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში. ნოემბერში ტემპერატურის უარყოფითი გადახრები აღინიშნება ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე და საშუალოდ $0.2-0.3^{\circ}\text{C}$ -ს შეადგენს, ხოლო აჭარა-გურიაში მთიან რაიონებში $0.5-0.8^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია.

სხვა ტემპერატურული პარამეტრების ანალიზი აჩვენებს, რომ შემოდგომაზე დათბობა დღისა და ღამის ტემპერატურების თითქმის თანაბარი მატებით არის განპირობებული. საშუალო მაქსიმუმების ნაზრდები საშუალოდ ტერიტორიაზე 0.7°C , ხოლო მინიმუმების 0.6°C -ს შეადგენს. დღის ტემპერატურების მატება მაქსიმალურია მაღალმთიან რაიონებში (ბაკურიანი, $+1.28^{\circ}\text{C}$, $+0.42^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში), ხოლო ღამის ტემპერატურები ყველაზე მეტად ($+1.1^{\circ}\text{C}$ -ით) მომატებულია შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე, ასევე, ვახეთში, სადაც დაიკვირვება მინიმუმების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი (დედოფლისწყარო, $+0.40^{\circ}\text{C}/10$ წელიწადში). რაც შეეხება აგრილებას, აღსანიშნავია, რომ უმეტესობა ტერიტორიაზე ნოემბერში გამოვლინდა აბს. მაქსიმუმების შემცირების ტენდენციები, მათ შორის რამდენიმე რაიონში ეს ტენდენციები მდგრადია, ცვლილების ტემპი კი 10 წელიწადში $0.3-0.6^{\circ}\text{C}$ -ს შეადგენს.

ექსტრემალური ტემპერატურული ინდექსების ანალიზიდან ჩანს, რომ შემოდგომაზე თბილი დღეებისა და ღამეების განმეორებადობის ზრდასთან (საშუალოდ, 4-5%-ით) ერთად, ადგილი აქვს ცივი დღეებისა და ღამეების პროცენტული წილის შემცირებასაც (საშუალოდ 2-3%-ით). თბილი დღეებისა და ღამეების გახშირება ყველაზე გამოკვეთილია სამეგრელოში და მეორე პერიოდში ასეთი დღეებისა და ღამეების განმეორებადობა სეზონზე 10%-მდეა მომატებული, ხოლო სექტემბერში ნაზრდი საშუალოდ 15%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, ასევე, ცხელი დღეების რაოდენობის მკვეთრი მატება (თითქმის 25%-ით) ქობულეთში სექტემბერში. ნოემბრის აგრილება კი, განსაკუთრებით დასავლეთში, განპირობებული უნდა იყოს ცივი დღეების რიცხვის ზრდით თვის განმავლობაში (საშუალოდ, 2-3%-ით).

ისევე როგორც გაზაფხულზე, შემოდგომაზეც აღინიშნება ყინვიანი ღამეების რაოდენობისა და შესაბამისად, შემოდგომის წაყინვების რისკების

შემცირება. თუმცა სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ნოემბრის აგრილების შედეგად, დაიკვირვება ასეთი ღამეების რაოდენობისა და, შესაბამისად, წაყინვების რისკების ზრდა შემოდგომის ბოლოს. გარდა ამისა, შემოდგომაზეც, ისევე როგორც გაზაფხულზე, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მთიან რაიონებში, ძირითადად ოქტომბრის დათბობის ხარჯზე, აღინიშნება აქტიურ (10°C-ზე მაღალი) ტემპერატურათა ჯამების ნიშნავი ზრდა.

შემოდგომაზე ქვეყნის ტერიტორიის უმეტესობა რაიონებში ნალექების სეზონური რაოდენობა, წლის სხვა სეზონებთან შედარებით, ყველაზე მეტად არის გაზრდილი, თუმცა საიმედოა ნალექების ზრდის მხოლოდ რამდენიმე აღმავალი ტენდენცია, რომლებიც უმეტესად ქვეყნის დასავლეთში, ასევე, კახეთში აღინიშნება. მათ შორის ყველაზე ნიშნავია ნალექიანობის ზრდა შავი ზღვის სანაპიროზე (ფოთი, 35მმ/10 წელიწადში), ხოლო ნალექების სეზონური რაოდენობის უდიდესი ნაზრდები კახეთში დაიკვირვება (დედოფლისწყარო, +20%). ცალკეული თვეების ანალიზიდან ჩანს, რომ ნალექების მატება შემოდგომაზე, ძირითადად, ნოემბრის და განსაკუთრებით, ოქტომბრის ხარჯზე ხდება, ხოლო სექტემბერში თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება ნალექების შემცირების ტენდენციები. თვეების მიხედვით ნალექიანობის როგორც კლების (საშუალოდ, 25%-ით), ისე მატების (საშუალოდ, 40%-ით) ინტენსივობა უდიდესია მცხეთა-მთიანეთში, შესაბამისად, სექტემბერსა და ოქტომბერში.

ნალექის თითქმის ყველა ექსტრემალური ინდექსი ადასტურებს, რომ შემოდგომაზე და მით უფრო ოქტომბერში გამოვლენილი ნალექების რაოდენობის მატება თავსხმანალექიან დღეთა გახშირებისა და ნალექების 1- და 5-დღიური მაქსიმუმების (ე.წ. წყალდიდობის ინდექსი) ზრდის ხარჯზე ხდება. ცვლილებები ნიშნავია და ტრენდებით დასტურდება შავი ზღვის სანაპირო ზოლში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და კახეთში ნალექის ყველა ინდექსის მიხედვით. ნალექების რეჟიმში გამოვლენილი ცვლილებები მიუთითებს აღნიშნულ რაიონებში წყალმოვარდნებისა და მენყერ-ღვარცოფების რისკის გაზრდაზე. რაც შეეხება ნალექების რაოდენობის შემცირებას სექტემბერში, მთელ ტერიტორიაზე და ყველაზე მეტად იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში, ამ დროს აღინიშნება უნალექო პერიოდების ხანგრძლივობის ზრდა (მაქს. 10-15, ზოგან 20 დღით). ამასთან, წლის განმავლობაში ასეთი პერიოდების გახანგრძლივება ყველაზე გამოკვეთილია სწორედ სექტემბერში, რაც ამ თვეში გამოვლენილი დათბობის ფონზე, მიუთითებს გვალვების ხდომილების გახშირებაზე და წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორისა და სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს.

ტერიტორიის უმეტესობა ნაწილში საშუალო ფარდობითი ტენიანობა ამ სეზონზეც მომატებულია დაახლოებით 2-3%-ით პირველ 30-წლიან პერიოდთან შედარებით. ტენიანობის ტენდენციების მდგრადი ზრდა აღინიშნება შავი ზღვის სანაპიროზე და მტკვრის ხეობაში, სადაც უდიდესია ტენიანობის ნაზრდებიც (3-4%). თვეების მიხედვით, ყველაზე მეტად ტენიანობის მატება დაიკვირვება

ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც აღნიშნულ რაიონებში დადებითი გადახრები 5-7%-ს აღწევს, ცვლილების სიჩქარე კი 10 წელიწადში 1-2%-ს შეადგენს. ტენიანობის შემცირების ტენდენციები გამოვლინდა იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, სეზონური საშუალოები აქ შემცირებულია 1-2%-ით, სექტემბერში კი – 3-4%-ით.

როგორც ჩანს, შემოდგომაზე ტენიანობის მატება უმრავლესობა რაიონებში დაკავშირებულია ნოტიო დღეების გახშირებასთან. ასეთი დღეების განმეორებადობა ოქტომბერ-ნოემბერში გაზრდილია მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ოქტომბერ-ნოემბერში შავი ზღვის სანაპიროზე (ფოთი, სეზონზე 9 დღით). მშრალი დღეების განმეორებადობის უმნიშვნელო (სეზონზე 1-2 დღით) მატება აღინიშნება მხოლოდ სექტემბერში აღმოსავლეთ საქართველოში. ანუ, როგორც ბათუმში, ფოთში ექსტრემალურად ნოტიო (ჩახუთული) დღეების განმეორებადობის ზრდა, სექტემბერ-ოქტომბერში გამოვლენილი დათბობის ფონზე, კვლავ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად რჩება ჯანმრთელობის სექტორისთვის.

როგორც წლის დანარჩენ სეზონებზე, შემოდგომაზეც ქარის საშუალო სიჩქარე მცირდება მთელ განხილულ ტერიტორიაზე, გარდა თბილისის და ზუგდიდისა. გადახრები პირველ პერიოდთან მიმართებაში 1-2მ/წმ-ის ფარგლებშია. მთელი განხილული 60-წლიანი პერიოდის განმავლობაში ქარის შემცირების ტენდენციები ყველაზე გამოკვეთილია ლიხის ქედზე (მთა-საბუეთი, -0.5მ/წმ/10 წელიწადში).

რაც შეეხება ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობას, ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში – ლიხის ქედიდან გორამდე, 2000-იანი წლებიდან აღინიშნება ასეთი დღეების გახშირება (გორი, ნაზრდი სეზონზე – 10 დღე). ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეების განმეორებადობის რაიმე ნიშნადი ცვლილებები კი შემოდგომაზე ბოლო პერიოდში არ დაიკვირვება. როგორც სხვა სეზონებზე, გორში გამოვლინდა ძლიერქარიანი დღეების ნიშნადი მატება შემოდგომის ყველა თვეში. ანუ, შემოდგომა გახდა შედარებით ნალექიანი, ნოტიო და საგრძნობლად თბილი, შემოდგომის დასაწყისში – უფრო ხანგრძლივი მშრალი პერიოდებით თბილი დღეებისა და ღამეების გახშირების ფონზე, ხოლო სეზონის ბოლოს – გახშირებული უხვნალექიანი და ჭარბად ნოტიო დღეებით.

წლიურ ციკლში ტემპერატურული რეჟიმის მახასიათებლებში გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- მნიშვნელოვნად გაზრდილია ცხელი დღეების (TX90p) და თბილი ღამეების (TN90p) რაოდენობა.
- მნიშვნელოვნად შემცირებულია ცივი დღეების (TX10p) და ღამეების (TN10p) განმეორებადობა, ხოლო ყინვიანი ღამეების (FD0) რიცხვი უმნიშვნელოდ იკლებს.

- ცვლილების ტენდენციები შედარებით ნიშნავდა მაქსიმალურ ტემპერატურასთან დაკავშირებული ინდექსებისთვის, რაც განაპირობებს დღეღამური ტემპერატურის განაწილების წანაცვლებას მაქსიმუმების მიმართულებით. ამ მხრივ გამოწვევას შავი ზღვის სანაპირო ზოლი და კოლხეთის დაბლობი.

- შიდაწლიურ ციკლში ტრენდები არ გამოვლინდა ცივი ღამეებისა და ყინვიანი დღეების სიხშირის ცვლილებაში ზამთარში, ხოლო ცხელი დღეებისა და თბილი ღამეების რიცხვმა ზაფხულსა და შემოდგომაზე საგრძობლად მოიმატა მთელ განხილულ ტერიტორიაზე, რაც ადასტურებს საშუალო კლიმატური პარამეტრებით გამოვლენილ ზაფხულის დათბობის ტენდენციას.

- კლიმატური მახასიათებლების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ თბილი პერიოდის (მაისი-სექტემბერი) საშუალო ტემპერატურის ზრდა ასევე განპირობებულია თბური ტალღების (HW) ხდომილების გახშირებით და მათი ხანგრძლივობის ნიშნავი ზრდით, რაც ყველაზე გამოკვეთილია შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მიმდებარე დაბლობ რაიონებში და ივრის ზეგანზე. აქ ორ პერიოდს შორის თბური ტალღების მაქსიმალური ხანგრძლივობა თითქმის ერთი თვით არის მომატებული, ზრდის ტემპი კი 10 წელიწადში დაახლოებით 3 დღეს შეადგენს.

- ცივი ტალღების (CW) რაოდენობისა და ხანგრძლივობის შემცირება სახეზეა, თუმცა არ არის ნიშნავი, რაც აისახება წლის ცივი პერიოდის (ნოემბერი-აპრილი) დათბობის არამდგრად ხასიათზე.

- მდგრადი დადებითი ცვლილებები აღინიშნება მთელი წლის განმავლობაში თბილი პერიოდების/spells (WSPI) განმეორებადობაშიც. მათი ხანგრძლივობა ყველაზე მეტად (20-25 დღით) გაზრდილია კვლავ შავი ზღვის სანაპიროსა და დედოფლისწყაროს რაიონში, ცვლილების სიჩქარე კი 10 წელიწადში საშუალოდ 7დღეს შეადგენს.

- ცვლილებები ცივი პერიოდების/spells ხანგრძლივობაში (CSDI) არ არის ნიშნავი და ტრენდებით არ დასტურდება.

- პირველ 30-წლიან პერიოდთან შედარებით სავსეგეტაციო პერიოდის ($>5^{\circ}\text{C}$) ხანგრძლივობის (GSL) ცვლილებები უმეტესობა რაიონებში არამდგრადი ხასიათისაა, რამდენადაც, შემოდგომის დასაწყისში გამოვლენილი დათბობა ნაწილობრივ კომპენსირდება აგრილებით გაზაფხულის ბოლოს.

- ყველაზე ნიშნავი ზრდა გამოვლინდა თბილ პერიოდში ტემპერატურის დაგროვილი ჯამების – ე.წ. გრადუს-დღეებიანი ინდექსებისთვის (GddGrow, HddHeat, CddCold).

- ყველა განხილულ პუნქტში (გარდა გორისა) ტრენდებით დასტურდება აქტიურ ტემპერატურათა (10°C -ზე მაღალი) დაგროვილი ჯამების ზრდა (GddGrow10). ცვლილებები კვლავ ყველაზე ინტენსიურია კახეთში (დედოფლისწყაროს რაიონი), ასევე, შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში, სადაც 10°C -ზე მაღალ ტემპერატურათა ჯამები 205-300 გრ.დღით არის გაზრდილი.

- გათბობისა (HddHeat) და გაგრილების (CddCold) გრადუს-დღეების ანალიზი, რაც გამოიყენება შენობებში ენერჯის მოხმარების შეფასების მიზნით, აჩვენებს, რომ ცვლილების ტენდენციები ნიშნავდა თბილი პერიოდის ტემპერატურული ინდექსებისთვის (CddCold), ხოლო გასათბობი (ცივი) პერიოდის მახასიათებლების ცვლილება უმეტეს შემთხვევაში ტრენდებით არ დასტურდება. კერძოდ, გათბობის გრადუს-დღეების რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნება მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლში და რიგ მაღალმთიან რაიონებში, თუმცა დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, გორი, თელავი) ამ პერიოდში ენერგეტიკულ სექტორზე დატვირთვა, როგორც ჩანს, კვლავ იმავე რიგისაა. ამასთან, ქვეყნის უმეტესობა რაიონებში (გარდა გორისა) მდგრადი დადებითი ტენდენციები გამოვლინდა გაგრილების (კონდიციონერის) პერიოდის გრადუს-დღეებისთვის (CddCold). ნაზრდი მეორე პერიოდში კონდიციონერის პერიოდში საშუალოდ 100 გრ.დღეს შეადგენს, ხოლო რიგ რაიონებში (სამეგრელო, კახეთი) 200-220 გრ.დღეს აღწევს. გამოვლენილი ტრენდების მიხედვით კი შეიძლება ითქვას, რომ კონდიციონერის პერიოდში ენერგეტიკულ სექტორზე დატვირთვა მზარდია და ქვეყნის დიდ დასახლებულ პუნქტებში (სადაც კონდიციონერა ყველაზე მოთხოვნადია) 35-60 გრ.დღით იმატებს ყოველ 10 წელიწადში. გამოდის, რომ ამ სექტორზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რამდენადაც გასათბობ პერიოდში დატვირთვების შემცირება ნაკლებად ნიშნავდა, ხოლო გაგრილების პერიოდში კონდიციონერის მოთხოვნაზე აღინიშნება მხოლოდ მზარდი აღმავალი ტენდენციები [17,18].

რაც შეეხება ნალექების რეჟიმის ექსტრემალურ მახასიათებლებს, როგორცაა ექსტრემალურად ნალექიანი დღეების პროცენტული და რაოდენობრივი წვლილი ნალექების წლიურ ჯამში (R95pTOT, R99pTOT, R99p, R99p), რომლებიც განიხილება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური (წყალდიდობა-წყალმოვარდნები) და გეოლოგიური მოვლენების (მენყრები, ღვარცოფები) ხელშემწყობი ფაქტორების შეფასებისას, წლიურ ციკლში გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- ისევე როგორც ნალექების საშუალო რაოდენობისთვის, ექსტრემალური მახასიათებლების ცვლილებები მთელ ტერიტორიაზე არასტაბილური და არაერთგვაროვანია, გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტენდენცია.
- მათი უმეტესობა დაიკვირვება დასავლეთ საქართველოს სადგურებზე, ძირითადად, სამეგრელოსა და აჭარის მთიან რაიონებში და მიუთითებს, რომ ნალექების მატების ტენდენციები აქ განპირობებული უნდა იყოს სწორედ უხვნალექიანი შემთხვევების გახშირებით. მთიან აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში 5-7%-ით არის გაზრდილი უხვი და 2-4%-ით – ექსტრემალურად უხვი ნალექების წვლილი წლიურ ჯამში, რაც რაოდენობრივად უხვი ნალექების 30-40%-ით, ხოლო ექსტრემალურის – 50-75%-ით

მატებას შეესაბამება. ამასთან, როგორც სეზონების დახასიათებისას იყო აღნიშნული, ამ რაიონებში გამოვლინდა ყველა სხვა ექსტრემალური ინდექსის, როგორცაა უხვნალექიანი დღეების რაოდენობა (R30mm, R50mm) და ნალექების დღელამური მაქსიმალური რაოდენობა (Rx1D, Rx5D), საკმაოდ ნიშვნადი ზრდა. შედეგად, როგორც ჩანს, უკანასკნელ პერიოდში ამ რაიონებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესების გააქტიურების რისკები.

- ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთში ნალექების ექსტრემალური ინდექსები მიუთითებს, რომ მიუხედავად ნალექების წლიური რაოდენობის ცვლილების ნიშნისა, თითქმის ყველგან და განსაკუთრებით კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, იზრდება უნალექო პერიოდების ხანგრძლივობა (CDD). ამავე დროს, თბილისში, თელავსა და ლაგოდეხში მომატებულია, ასევე, ექსტრემალურად ნალექიანი შემთხვევების გახშირების დამადასტურებელი ტენდენციებიც. გამომდინარე აქედან, აქ სავარაუდოა როგორც გვალვების, ისე წყალდიდობა-წყალმოვარდნებისა და სტიქიური გეოლოგიური პროცესების გახშირების ალბათობა.

კლიმატის მიმდინარე ცვლილების ტენდენციების შესწავლა ადასტურებს დათობას ქვეყნის ტერიტორიაზე. სახეზეა კლიმატის ცვლილების თითქმის ყველა ინდიკატორი. კერძოდ:

- მინისპირა ჰაერის ტემპერატურის მატება,
- ტენიანობის ზრდა,
- ცხელი დღეებისა და თბილი ღამეების გახშირება, ცივი დღეებისა და ღამეების განმეორებადობის შემცირება,
- თბილი პერიოდების/თბური ტალღების სიხშირისა და ხანგრძლივობის ზრდა,
- ყინვიანი დღეების რაოდენობის კლება,
- ცვლილებები ნალექების რეჟიმში,
- უხვნალექიან დღეთა განმეორებადობის, ნალექის ინტენსივობის და რაოდენობის ზრდა,
- გვალვების ინტენსივობისა და ხანგრძლივობის ზრდა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სექტორზე ზემოქმედების კუთხით, კლიმატური პარამეტრების ცვლილებებს ისეთი ხასიათი აქვს, რომ უმეტესად არსებული რისკების გამწვავებას უფრო შეუწყობს ხელს. გამოვლინდა ამ რისკების შემარბილებელი გარკვეული ფაქტორებიც, როგორცაა: სოფლის მეურნეობის სექტორისთვის – საგაზაფხულო და საშემოდგომო წაყინვების რისკების შემცირება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი აქტიურ ტემპერატურათა ჯამების ზრდა, ტურისტული საქმიანობისთვის – შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტული სეზონის ხანგრძლივობის ზრდა და მშრალი პერიოდის გახანგრძლივება (სექტემბრის

ხარჯზე), ენერგეტიკის სექტორისთვის – გათბობის პერიოდში ენერჯის მოხმარებაზე მოთხოვნილების გარკვეულწილად შემცირების ტენდენცია, ჯანმრთელობის სექტორისთვის – სიცხის ტალღების განმეორებადობისა და ხანგრძლივობის შემცირება და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რისკების შემცირების თითქმის ყველა აღნიშნული ტენდენცია სტატისტიკურად არასაიმედოა, ხოლო რისკების გამწვავების ხელშემწყობი პირობების განმეორებადობა (გვალვინი პერიოდების ხანგრძლივობის ზრდა, ექსტრემალური ნალექების, თბური ტალღებისა და ნოტიო დღეების გახშირება, ძლიერქარიან დღეთა განმეორებადობის მატება სხვ.) უმეტესობა რაიონებში შედარებით სტაბილურად იმატებს.

თავი 3.

კომპლექსური კლიმატური პარამეტრების ცვლილებები

მოცემული ადგილის კლიმატური პარამეტრების გათვალისწინება არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თანამედროვე პირობებში როგორც ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

საკითხის ასეთი დასმა განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკის ისეთი წამყვანი დარგების, როგორცაა ტურიზმი, ენერჯეტიკა, მშენებლობა, წყლის რესურსები, სწორი დაპროექტების მიზნით მართვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს საიმედო და სრულყოფილი კლიმატური ინფორმაციის არსებობა.

გასული საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებულმა კლიმატის გლობალურმა დათბობამ ვაცობრიობას ძალიან ბევრი სიძნელე და საფრთხე შეუქმნა. როგორც სამამულო [85,102,103,204], ისე საზღვარგარეთელი მეცნიერების მთელი რიგი გამოკვლევების [21,79,195,196,121] შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე სტიქიური კატასტროფები დაკავშირებულია უშუალოდ ამინდისა და კლიმატის ცვლილებასთან.

დედამინის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების ჩამოყალიბებაში, როგორცაა მცენარეთა საფარის და ცხოველთა სამყაროს გეოგრაფიული განაწილება, ბიოლოგიური პროცესების ინტენსივობა და ხასიათი უშუალოდ მონაწილეობს ამინდი და კლიმატი. თუმცა, ამავე დროს დროს უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და საკურორტო ინდუსტრია, სამშენებლო საქმე და ენერჯეტიკული რესურსების მართვა უშუალოდაა დაკავშირებული მოცემული ადგილის კლიმატურ პირობებთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კლიმატი ხასიათდება დუალიზმით, ორბუნებოვანია და როგორც ბუნებრივ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორსაც წარმოადგენს.

ამდენად, კლიმატის კვლევა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით კი აქტუალური გახდა მისი შესწავლა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეს განპირობებულია იმით, რომ კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე თავი იჩინა რეგიონულმა კლიმატურმა ვარიაციებმა, რამაც ვაცობრიობას უამრავი პრობლემა შეუქმნა.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი ნეგატიური შედეგები მოსდევს, სწორედ კლიმატის ცვლილება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი და შესწავლილი იქნება კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები და აგრეთვე განსაკუთრებით მონყვლადი სისტემები და ეკონომიკური სექტორები.

მიღებული კვლევების საფუძველზე უნდა იქნეს გატარებული შესაბამისი ზომები როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო და, შესაბამისად, პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე რეგიონულ დონეზე.

კლიმატის ცვლილების მიმართ ისეთი მოწყვლადი დარგების დაპროექტებისას, როგორცაა (ტურიზმი და საკურორტო საქმე, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა) აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოცემული ადგილის კლიმატური პირობების ცვლილებათა კანონზომიერებანი.

საკითხის ასეთი დასმა განპირობებულია იმით, რომ კლიმატური პირობების სწორი გათვალისწინების შედეგად თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ნეგატიური მოვლენები, რაც კლიმატის გლობალური ცვლილებისთვის არის დამახასიათებელი.

ცალკეული კლიმატური მახასიათებლების გარდა ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებული კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განსაზღვრას, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მეტეოელემენტის შეხამებათა ერთობლიობას. ეს მახასიათებლები გამოყენებითი კლიმატოლოგიის ისეთი დარგების საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება, როგორცაა სამშენებლო კლიმატოლოგია, კურორტოლოგია, სამედიცინო კლიმატოლოგია და ა.შ.

განვიხილოთ, როგორც ცალკეული, ისე კომპლექსური კლიმატური მახასიათებლების ზემოქმედება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის – ტურიზმი და საკურორტო საქმე, სამშენებლო ინდუსტრია და ჯანმრთელობის სექტორის დაგეგმარებასა და დაპროექტებაზე.

3.1. ტურიზმი და კლიმატი

ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, რომელიც სწრაფი ტემპებით ვითარდება, წარმოადგენს ტურიზმი. მას მსოფლიო ინდუსტრიაში მესამე ადგილი უჭირავს, ავტომობილისა და გაზის წარმოების შემდეგ.

ტურისტული ინდუსტრიის საწარმოების ფუნქციონირება ხასიათდება მკვეთრი სეზონურობით და სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებას განიცდის.

პირველადი ფაქტორებია ბუნებრივ-კლიმატური, ხოლო მეორადს წარმოადგენს ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (მმო) და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო)-ს თანახმად, საერთაშორისო კონფერენციაზე „ტურიზმი და კლიმატის ცვლილება“, (2003 წელი ტუნისი), რომელიც წარმოადგენდა ამ ორი საერთაშორისო ორგანიზაციის პირველ ერთობლივ კონფერენციას, მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები ტურიზმის დარგის დასახმარებლად.

ამ კონფერენციაზე მიღებული ერთ-ერთი რეზოლუციის თანახმად, ეროვნულმა ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში შემავალი 187 ქვეყანა კლიმატისა და ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების ადრეული გაფრთხილებებით, წყლის რესურსების, მყინვარების უკან დახვევისა და კლიმატის ცვლილების შესახებ არსებული მიმდინარე ინფორმაციით. განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურების ასეთი მომსახურება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე განვითარებული რეგიონული კლიმატური ვარიაციების გამო.

აქედან გამომდინარე ტურიზმის ბიზნესის სწორი დაპროექტების მიზნით ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასებისას აუცილებელია, როგორც ეკოლოგიური, ისე მატერიალური თვალსაზრისით შეფასებულ იქნეს კლიმატის და მისი ცვლილების როლი ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანი სექტორის განვითარებისას [50,62,64,67,73,80,116,120,152,168,169,198,199].

გარე სამყაროზე სხვადასხვანაირად ზემოქმედებს ტურიზმი. ქვეყნის ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ რესურსებს იგი უწევს ექსპლუატაციას, აჭუჭყიანებს ჰაერს, წყალს და ნიადაგს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გარე სამყაროზე ტურიზმი ახდენს ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. დადებითი ზემოქმედება საერთაშორისო ტურიზმის მიმართ უღებოთ შეიცავს ისტორიული ძეგლების დაცვასა და რესტავრაციას, ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების შექმნას, სანაპიროების დაცვას, ტყეების შენახვას და ა.შ.

სამწუხაროდ, ხშირად ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება უფრო მეტია დადებითზე. კერძოდ, ეს არის ზემოქმედება წყლის ხარისხზე (მდინარეებში, ზღვებსა და ტბებში); ჰაერის ხარისხზე (გამონახობლქვით დაბინძურების გამო), მცენარეული საფარისა და ტყეების განადგურება კოცონების გამო, ზოგიერთ შემთხვევაში კი ადგილი აქვს ისტორიული ძეგლების დაზიანებას და დანგრევასაც კი.

გარე სამყაროსთან უშუალო კავშირის გარეშე, ტურიზმის განვითარება შეუძლებელია, მაგრამ სწორი დაგეგმვის შედეგად შესაძლებელია, იქნეს თავიდან აცილებული ნეგატიური ზემოქმედება და, პირიქით, დადებითი გაძლიერდეს.

აქედან გამომდინარე, ტურიზმის ზემოქმედება გარე სამყაროზე შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი, აგრეთვე, დადებითი და უარყოფითი. ტურიზმი არ შეიძლება განვითარდეს გარე სამყაროსთან ურთიერთობის გარეშე. თუმცა ტურიზმის განვითარების დაგეგმვის საშუალებით შეიძლება გარკვეულწილად შემცირდეს ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება და გაძლიერდეს დადებითი. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხანგრძლივი ტურისტული საქმიანობა აუცილებელია არსებობდეს გარემოს დაცვის პოლიტიკა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ქვეყნები ირჩევენ კომერციულ და ფინანსურ მოგებას და არ ითვალისწინებენ სხვადსხვა მოდელს, რომელიც მიღებულია ტურიზმის გარე სამყაროზე ზემოქმედების შესაფასებლად

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ტურისტულ რეგიონებში არ არსებობს ბუნების დამცავი ნორმატიული აქტები და ასევე ბუნების დამცავი სამსახურები. განვითარებადი ტურიზმის დაგეგმვა არ უნდა შეაჩეროს ამ ნაკლოვანებამ და აუცილებლად უნდა ჩატარდეს შესაბამისი კვლევები ამ დარგის სპეციალისტების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ გარე სამყაროს დაცვა უფრო ადვილია, ვიდრე მის მიერ მიყენებული ზარალის აღდგენა.

გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების გათვალისწინებით, სულ უფრო აქტუალური გახდა ტურიზმის განვითარების პოლიტიკა, რომლის მიზანია ტურისტული საქმიანობის მართვა ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

გასული საუკუნის ერთ-ერთი უმთავრეს ეკონომიკურ და სოციალურ ფენომენად აღიარებულია ტურიზმი, რომლის წილი მსოფლიო ექსპორტში 88%-ს შეადგენს, ხოლო იგი 31 %-იან ნიშას იკავებს მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე და 105 მილიონს აღემატება ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა. 1950 წლიდან დღემდე 25 მილიონიდან 840 მილიარდამდე გაიზარდა საერთაშორისო ტურისტული ნაკადი. წლიურად იგი იზრდებოდა 4%-ით და 1,6 მილიარდს მიაღწია 2020 წლისათვის [10].

ტურიზმის სექტორს მსოფლიო ექსპორტის 7,5% ეკუთვნის ავტომობილისა და გაზის მრეწველობის შემდეგ, ტურიზმის განვითარება ხასიათდება მისი გეოგრაფიის გაფართოებით და ასევე დივერსიფიკაციით. ტურიზმის ახალი ფორმების ჩამოყალიბება და მარკეტინგის სექტორის გაფართოება აუცილებელია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის.

ტურიზმის ლიდერ ქვეყნად საქართველო ითვლებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში. 120-ზე მეტი საერთაშორისო და შიდა ტურისტული მარშრუტი გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა 1990-იან წლებში ქვეყნის სტრუქტურის სრული პარალიზება და ტურისტული ნაკადების შეწყვეტა განაპირობა.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმმა ორმაგი დარტყმა განიცადა ამ პერიოდისათვის. პირველი ის, რომ ინფრასტრუქტურა განადგურდა და მეორე დარტყმა იყო ამ დარგში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე კადრების გადინება, რამაც დიდი ზარალი მოუტანა ამ დარგის შემდგომ განვითარებას. ტურიზმმა კვლავ აღმასვლა დაიწყო საქართველოში 1993 წლიდან. იგი, როგორც წევრი ქვეყანა, გაერთიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში.

დროთა მანძილზე თანდათანობით გაიზარდა როგორც ტურისტთა მიმწოდებელი ქვეყნების გეოგრაფია, ასევე ტურისტთა ნაკადებიც. მსოფლიოს ექვსივე ტურისტული რეგიონიდან საქართველოს სტუმრობენ ტურისტები.

ყველაზე მეტი სტუმრები ჩამოდიან ევროპიდან, რომელთაც საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა უკავიათ ტურისტების საერთო რიცხვოვნებაში.

მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს საკურორტო-ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს. ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა, ტოპოგრაფია, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, ეკოლოგია, ამინდი და კლიმატი არის ის ფაქტორები, რომლებიც მის წარმოქმნასა და განვითარებას განაპირობებს. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალს კი უშუალოდ ამინდი და კლიმატი – ეს ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს. ამდენად, მთელ რიგ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა იმ რესურსების გამოკვლევას, რომელიც აუცილებელია საკურორტო-ტურისტული დარგის ორგანიზაციისა და განვითარებისათვის.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციისა და მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის თანამშრომლობა. განაპირობებს საერთაშორისო ტურიზმის აქტიურ განვითარებას. ეს კი თავის მხრივ პოზიტიურად მოქმედებს მომსახურების სერვისის გაუმჯობესებაზე და ტურისტული პროდუქტის ხარისხის გაზრდაზე. სეზონურობის შესწავლა ტურიზმის სფეროში საშუალებას იძლევა განისაზღვროს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გავლენის ხარისხი ტურისტული პროდუქტის ფორმირებაზე; გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სეზონურობას ტურიზმში;

კლიმატური რესურსები წარმოადგენს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალს გაეროს რეზოლუციის თანახმად. 2003 წელს მმო-ს და მტო-ს მიერ პირველად იქნა მიღებული რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ამ ორგანიზაციებში შემავალ ქვეყნებში აუცილებელია შეფასდეს რეგიონების მიხედვით ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი. ამ მონაცემების საფუძველზე უნდა დამუშავდეს ტურისტული პროდუქტი, რომელიც გასაყიდად იქნება კონკურენტუნარიანი. საქართველო არის ორივე ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი 1990 წლიდან. ამიტომ აუცილებელია შეფასდეს საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი.

ტურიზმის განვითარების უზარმაზარ პოტენციალს საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობები წარმოადგენს. თუმცა, საქართველოში კლიმატური პოტენციალის განსაზღვრა ტურიზმის სტანდარტების შესაბამისად, ისე როგორც მიღებულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა. ეს ფაქტი კი განაპირობებს გარკვეულწილად შეფერხდეს საქართველოს კლიმატური პოტენციალის შეფასება ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით სხვა ქვეყნების ტურისტულ კლიმატურ რესურსებთან. ამან კი შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში პოტენციური ტურისტების მოზიდვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად გამოიყენება ტურისტული კლიმატური ინდექსები, რომლებიც

წარმოადგენს კომპლექსურ კლიმატურ პარამეტრს და შეიცავს ორ ან მეტ კლიმატურ მახასიათებელს.

გამოყენებით კლიმატოლოგიაში არსებობს 200-ზე მეტი კლიმატური ინდექსი. ტურიზმის კლიმატური ინდექსი იყოფა სამ კატეგორიად.

რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად ნაკლებად მისაღებია ელემენტარული კლიმატური ინდექსები, რომელნიც რამოდენიმე მეტეოროლოგიური მონაცემების მნიშვნელობათა სინთეზს წარმოადგენს, თუმცა იგი არ შეიცავს ბიომეტეოროლოგიურ ინფორმაციას და, ამდენად, ნაკლებად მისაღებია რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად.

მეტეოელემენტების კომპლექსს, რომელიც კარგად ასახავს მათი მნიშვნელობების კომბინირებულ ეფექტს, წარმოადგენს ბიოკლიმატური და ტურიზმის კლიმატური ინდექსები. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შესაფასებლად ჩვენს მიერ პირველად საქართველოს პირობებში გამოყენებულ იქნა ტურიზმის კომპლექსური კლიმატური პარამეტრი K , რომელიც განისაზღვრება სხვადასხვა მეტეოელემენტის (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ფარდობითი სინოტივე, მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა) შეხამებათა საფუძველზე [18].

$$K=H.f/ A.A. (3.1.),$$

სადაც H – არის თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა, მმ-ში;

f - არის ყველაზე ცხელი თვის ფარდობითი სინოტივე, %-ში;

S – ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოსული მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა, სთ-ში;

AA - ჰაერის ტემპერატურის (იანვარი და ივლისი) წლიური ამპლიტუდა;

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიზნით აუცილებელია ტურისტული რესურსების პოტენციალის დადგენა სეზონებისა და თვეების მიხედვით. ზემოთ აღნიშნული ტურიზმის კომპლექსური კლიმატური პარამეტრის საშუალებით კი მხოლოდ წლიური მნიშვნელობები გამოითვლება. ამავ დროს ამ ინდექსში კომპლექსურად არ არის ჩართული თერმობიოლოგიური კომპონენტი, რომელიც აუცილებელია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად.

ამიტომ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ტურიზმის კლიმატური ინდექსი TCI [168], რომელიც მიღებულია მმო-ს მიერ. ინდექსი შეიცავს შვიდი პარამეტრის კომპლექსს,

$$TCI = 8 \cdot C_{td} + 2 \cdot C_{la} + 4 \cdot R + 4 \cdot S + 2 \cdot W (3.2.),$$

სამი არის დამოუკიდებელი, ორი კი წარმოადგენს ბიოკლიმატურ კომბინაციას, სადაც, *Cld* – არის დღიური კომფორტულობის ინდექსი, რომელიც შეიცავს ჰაერის ტემპერატურის საშუალო მაქსიმუმს – ($^{\circ}\text{C}$) და ფარდობითი ტენიანობის მინიმუმს – f (%),

– *Cla* არის დღეღამური კომფორტულობის ინდექსი, რომელიც შეიცავს ჰაერის საშუალო ტემპერატურას და საშუალო ფარდობით ტენიანობას,

R – არის ნალექების ჯამი (მმ),

S – მზის ნათების ხანგრძლივობა (სთ) და

W – ქარის საშუალო სიჩქარე (მ/წმ).

სხვა კლიმატური ინდექსებისაგან განსხვავებით TCI-ში შემავალი თითოეული პარამეტრი შეფასებულია ბალებში.

ცხრილი 3.1. TCI -ში შემავალი პარამეტრები ბალებში.

Table 3.1. Parameters included in T CI in points.

CI	კატეგორია	Category
90 ÷ 100	იდეალური	Idealy
80 ÷ 89	შესანიშნავი	Good
70 ÷ 79	ძალიან კარგი	Very Good
60 ÷ 69	კარგი	Good
40 ÷ 49	მისაღები	Marginal
30 ÷ 39	არახელსაყრელი	Unfavorable
20 ÷ 29	ძალიან არახელსაყრელი	Very Unfavorable
10 ÷ 19	უკიდურესად არახელსაყრელი	Extremely Unfavorable
- 30 ÷ 9	მიუღებელი	Impossible

3.2. კლიმატის გათვალისწინება სამშენებლო ინდუსტრიაში

არსებული კლიმატური პირობების უფრო დეტალური განსაზღვრა და სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრების დამუშავების აუცილებლობა განაპირობა სამშენებლო ინდუსტრიის ტემპების სწრაფმა ზრდამ და თანამედროვე ახალი სამშენებლო მასალების გამოყენებამ.

არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიებების სწორი გადართობა მიმდინარეობს კლიმატური პარამეტრების ზემოქმედების გათვალისწინების საფუძ-

ველზე. ამდენად, უნდა იქნეს შესწავლილი კლიმატის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორები, რათა მშენებლები და არქიტექტორები იყვნენ უზრუნველყოფილი საჭირო ინფორმაციით სამშენებლო ობიექტების სწორი დაპროექტების მიზნით.

საზოგადოებასა და ეკოსისტემაზე ექსტრემალურ მოვლენებს დიდი გავლენა აქვს. ამიტომ ცალკეული მეტეოელემენტების საშუალო მნიშვნელობების მიხედვით არ შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ კლიმატის ზემოქმედების გათვალისწინება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის დაპროექტებისას.

ექსტრემალური ტემპერატურები, ძლიერი ქარები, თავსხმა წვიმები მოქმედებენ ინტენსიურად შენობების თბოტექნიკურ რეჟიმზე, ენერგეტიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, წყლის რესურსებზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს სპეციალიზირებული კლიმატური მახასიათებლები. ამისათვის კი საჭიროა არსებული მეტეოროლოგიური და კლიმატური ინფორმაციის შეფასება პრაქტიკული მიზნით, რათა ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური კანონები კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად გამოვიყენოთ. ჩვენ მიერ განსაზღვრული იქნა მთელი რიგი სპეციალიზებული მახასიათებლები, რომლებიც უნდა იქნეს დანერგული პრაქტიკულ საქმიანობაში. შენობის კონსტრუქციის მდგომარეობასა და გამძლეობას, სანარმოო პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას განაპირობებს შენობის სითბური რეჟიმი. შენობის სითბური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პროცესების ერთობლიობას ეწოდება შენობის სითბური რეჟიმი. მისი განმსაზღვრელი ფაქტორებია: ჰაერის ტემპერატურა, ჰაერის სინოტივე და მოსაზღვრე ზედაპირების რადიაციული გამოსხივება. შენობის სითბური რეჟიმის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ჰაერის ტემპერატურა. განვიხილოთ მისი განაწილებათა კანონზომიერებანი რა გავლენას ახდენს შენობის თერმულ რეჟიმზე.

კლიმატური მონაცემების საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები, რომლებიც ნორმას წარმოადგენს, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან განაპირობებს სხვადასხვა რეგიონის კლიმატური პირობების ანალიზს. მაგრამ ცალსახად მართო ეს ინფორმაცია არ არის საკმარისი მოცემული ადგილის კლიმატური თავისებურებების შესასწავლად და შესაბამისი კონსტრუქციული გადაწყვეტილების მისაღებად, კლიმატის ნეგატიური ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით, ასევე საჭირო გახდა სხვადასხვა კლიმატური ელემენტების ერთობლივი ზემოქმედების ე.წ. კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განსაზღვრა. არსებობს კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განსაზღვრის ორი მეთოდი, ერთი გახლავთ მეტეოროლოგიური პარამეტრების შეხამებათა ალბათობების განსაზღვრა, ხოლო მეორე – თეორიული, როდესაც გამოთვლები მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმულების მიხედვით. განვიხილოთ არსებული კომპლექსური პარამეტრები ცალ-ცალკე თანმიმდევრობით.

ა)ჰაერის საანგარიშო ტემპერატურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენობის თერმული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ჰაერის ტემპერატურა, ამიტომ საჭიროა გავანალიზოთ, როგორ მოქმედებს იგი შენობის შიგნით არსებულ ტემპერატურაზე. ჰაერის ტემპერატურა საცხოვრებელი სახლების შიგნით არ უნდა იყოს თბოტექნიკური გაანგარიშებებისას 18 გრადუსზე ნაკლები, საბავშვო ბაღებსა და საავადმყოფოებში კი – 20-22 გრადუსზე ნაკლები [19].

დიდ გავლენას ახდენს შენობის შიგა ტემპერატურაზე ზამთარში გარე ჰაერის ტემპერატურის დანევა, რომელიც საკმაოდ დიდხანს გრძელდება. შენობებში სიცივე მით უფრო სწრაფად აღწევს, რაც უფრო თხელია შენობის კედლები. გარე ჰაერის ტემპერატურის დანევა, რომელიც განუწყვეტლივ გრძელდება 5 დღის მანძილზე (ხუთდღიური პენტანდა), ასევე მოქმედებს ჩვეულებრივი სისქის კედლებზე. ნელინადის ყველაზე ცივი პერიოდის დროს გარე ჰაერის ტემპერატურა, ე.წ. საანგარიშო ტემპერატურა შენობების დაპროექტებისას თბოტექნიკოსმა აუცილებლად აუნდა იცოდეს.

საანგარიშო ტემპერატურის გამოთვლისას აუცილებელია კედლის მასიურობის ცოდნა. საანგარიშო ტემპერატურის გასაშუალება ხდება კედლის მასიურობის მიხედვით.

საანგარიშო ტემპერატურის გასაშუალება ხდება მით უფრო ნაკლები პერიოდით, რაც უფრო ნაკლებად მასიურია კედელი. ეს განპირობებულია იმით, რომ ჰაერის ტემპერატურის ცვლილებაზე უფრო სწრაფად რეაგირებს ნაკლებად მასიური კედელი. ეს კი დისკომფორტს და ასევე ზოგჯერ წყლის ორთქლის კონდენსაციას იწვევს კედლის ზედაპირზე და, შესაბამისად, მისი ტენიანობისა და სითბოგამტარობის გაზრდას.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების (ცნობარი) მიხედვით გარე ჰაერის საანგარიშო ტემპერატურად მიიღება:

- 1) მასიური კედლებისათვის – ყველაზე ცივი ხუთდღიურის საშუალო ტემპერატურა;
- 2) საშუალო მასიურობის კედლებისათვის – ყველაზე ცივი სამდღიურის საშუალო ტემპერატურა;
- 3) მსუბუქი კედლებისათვის – ყველაზე ცივი დღე-ღამის საშუალო ტემპერატურა.

ყველაზე ცივი ხუთდღიურები შეირჩევა ზამთრის დღეღამური საშუალო ტემპერატურის რიგიდან და გამოითვლება მათი საშუალო ტემპერატურა. მიღებული ყველაზე ცივი პენტანდების რიგიდან განისაზღვრება ცივი ხუთდღიურების გარკვეული პროცენტი. დადგენილია, რომ ოპტიმალური სიდიდე იანგარიშება 92% და 98%-იანი უზრუნველყოფით. საანგარიშო ტემპერატურების საფუძველზე სხვადასხვა კლიმატური პირობების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს კედლის საჭირო თერმული წინაღობა და მისი სისქე. მასიურობის კოეფიციენტის საშუალებით განისაზღვრება კედლის მასიურობა.

კედელი არის მასიური იმ რაიონებში, სადაც იგი მეტია 7-ზე, კედელი იქნება საშუალოდ მასიური, როდესაც მასიურობის კოეფიციენტი მერყეობს 4-დან 7-მდე, ხოლო კედელი იქნება მსუბუქი, როდესაც მასიურობის კოეფიციენტი არის 4-ის ტოლი.

ბ) გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა, სავნტილაციო ტემპერატურა

წელიწადის ისეთ მონაკვეთს, როდესაც ჰაერის საშუალო მრავალწლიური დღედამური ტემპერატურა, +8 გრადუსზე ნაკლებია ან ტოლი, ეწოდება გასათბობი პერიოდი.

საშუალო დღედამური ტემპერატურის +8 გრადუსზე ზევით და ქვევით მდგრადად გადასვლის თარიღები გაზაფხულსა და შემოდგომაზე წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისსა და დასარულს. გასათბობი პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის დღეების რაოდენობა კი არის გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა. გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა ზოგიერთ წლებში შეიძლება იყოს უფრო გრძელი ან მოკლე, ვიდრე საშუალო მრავალწლიური ხანგრძლივობა.

გასათბობი პერიოდის ყველაზე ცივი ნაწილის ჰაერის საშუალო ტემპერატურა წარმოადგენს ზამთრის სავნტილაციო ტემპერატურას. გასათბობი პერიოდის ყველაზე ცივ ნაწილად კი მიიჩნევა მისი ხანგრძლივობის 15% (მაქსიმუმ 25 დღე).

შენობის პერიოდული გათბობა არის აუცილებელი, თუ შემოდგომასა და გაზაფხულზე +8 გრადუსის ფარგლებში მერყეობს ჰაერის საშუალო დღედამური ტემპერატურა. როდესაც ხუთი დღის მანძილზე არის ჰაერის საშუალო დღედამური ტემპერატურა +8 გრადუსი ან მასზე დაბალი, მაშინ საჭიროა შენობის რეგულარული გათბობა. გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა დიდ ქალაქებში არის განსხვავებული, ქალაქის ცენტრში უფრო ხანმოკლეა და ძირითადად ქარის დიდი სიჩქარის გამო გარეუბნებში უფრო ხანგრძლივი [17,19].

გ) გრადუს-დღეების განსაზღვრა

იმისათვის, რომ შესწავლილ იქნეს შენობის თერმული რეჟიმი, საჭიროა დადგენილ იქნეს არის თუ არა საჭირო კლიმატის ხელოვნური რეგულირება. საკითხის ასეთი დასმა განპირობებულია იმით, რომ შენობების სითბური ეფექტი ძირითადად წარმოიქმნება იმ თბოტექნიკური თვისებების მექანიზმების ხარჯზე, როგორცაა გათბობა და ვენტილაცია. გარე ჰაერის ტემპერატურის ცვლილება განაპირობებს შენობაში გათბობის და გაგრილების მოთხოვნის ჩამოყალიბებას. შენობის გათბობისა და გაგრილების გრადუს-დღეების საშუალებით არის მხოლოდ შესაძლებელი, დამყარდეს კავშირი გარე ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობას და შენობის ენერჯის მოთხოვნას შორის. აქედან

გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შენობებში გრადუს-დღე გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი ენერჯის მოხმარების ანალიზისთვის [17,19].

შენობების შემომზადებული გარე კონსტრუქციების თერმული წინააღობის ნორმირებისთვის და აგრეთვე გათბობისა და გაგრილების გრადუს-დღეების განსაზღვრისას კლიმატური პირობებიდან გამომდინარე საბაზისო ტემპერატურის განმარტება არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. გაგრილებისთვის და გათბობისათვის საჭირო ენერჯის განსაზღვრის მიზნით გამოიყენება გრადუს-დღის ცნება. ამ საკითხის შესწავლისას მთავარია, განსაზღვრულ იქნეს, რომელი მეთოდით გამოითვლება გრადუს-დღე და როგორ ვაჰვირშია იგი ენერჯის შენობაში მოხმარებასთან. ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში თუ რამდენად მაღალი ტემპერატურებით ხასიათდება ზაფხულის პერიოდი, განსაზღვრავს გაგრილების (კონდიციონირების) გრადუს-დღე.


გაგრილების (კონდიციონირების) გრადუს-დღეების რიცხვი გამოინგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$CDD_{cold} = \sum_j TM_{ij} - T_b \quad (3.1)$$

სადაც CDD_{cold} (Cooling Degree Days) არის გაგრილების სეზონის გრადუს-დღეების რიცხვი;

გათბობის გრადუს-დღე განსაზღვრავს, ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს რამდენად დაბალი ტემპერატურა ახასიათებს, ანუ რამდენად მკაცრია ზამთრის კლიმატური პირობები.

მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე გათბობისა და გაგრილების გრადუს-დღეების განაწილების რუკა.



ნახ.3.2.1 და ნახ. 3.2.2. გათბობის და გაგრილების გრადუს-დღეების განაწილების რუკა.

Fig. 3.2.1 and Fig. 3.2.2. Map of distribution of heating and cooling degree-days.

გამოვლინდა, რომ იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ზამთრის პერიოდი არის მოკლე და საშუალო თვიური ტემპერატურა $< 8^{\circ}\text{C}$ პერიოდისთვის საშუალოდ მაღალია, განსხვავება იყო 37 – 40 % ფარგლებში, რადგანაც უფრო შემცირებული აღმოჩნდა *გათბობის სეზონის ხანგრძლივობის პერიოდი*.

საკითხის გარკვევისთვის გამოყენებითი სამეცნიერო კლიმატური ცნობარის ნორმები [17,19] შედარებული იყო ძველ საბჭოურ ნორმებთან, როგორცაა: (СНиП 2.01.01-82 „Строительная Климатология и Геофизика“), გამოვლინდა, რომ საქართველოს ახალ ნორმებში ძველ საბჭოურ ნორმებთან შედარებით შემცირდა გათბობის სეზონის ხანგრძლივობის პერიოდი აბსოლუტურად ყველა დასახლებული პუნქტისთვის, მაგრამ უფრო არსებითად შეიცვალა იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ზამთრის პერიოდი არის მოკლე და საშუალო თვიური ტემპერატურა $< 8^{\circ}\text{C}$ პერიოდისთვის საშუალოდ მაღალია. მაგალითად: ქ. ქუთაისისთვის ხანგრძლივობა ადრე (ძველი საბჭოური ნორმებით) შეადგენდა $Z=122$ დღეს, და საშუალო ტემპერატურა $T_{\text{საშ}} = 6.6^{\circ}\text{C}$, ხოლო ამჟამინდელი საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიის მონაცემებით შეადგენს: $Z=91$ დღეს, $T_{\text{საშ}} = 5.9^{\circ}\text{C}$, ანუ გათბობის სეზონის ხანგრძლივობა შემცირდა $Z=122-91=31$ დღით.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის გამოთვლილი გაგრილების და გათბობის გრადუს-დღეების დანერგვა არის აუცილებელი. ამავე დროს საიმედო მონაცემთა უზრუნველყოფის მიზნით დაკვირვების თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვით აუცილებელია მონაცემთა ბაზის განახლება (საქართველოში უკვე მიმდინარეობს ავტომატური მეტეო -დაკვირვებათა ხელსაწყოების დანერგვა 2010 წლიდან). გრადუს-დღეები გამოიყენება საინჟინრო თბოტექნიკურ ანგარიშებში, რადგან იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან კლიმატურ პარამეტრს.

დ) ქარის საანგარიშო სიჩქარე

კონსტრუქციების ვიბრაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს შენობებზე ქარის ზემოქმედება, რომელიც დატვირთვის სახით ვლინდება. ეს კი იწვევს მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებს, როგორცაა ხიდების, მაღალი შენობების დანგრევა, ელექტროენერჯის და რადიოანძების ხაზების დაწყვეტა.

როგორც მთელი რიგი გამოკვლევებით დადგინდა, ქარისმიერი დატვირთვა ყველა ამ უბედური შემთხვევის მიზეზს [19] წარმოადგენს. ქარის ზემოქმედება შენობებზე დამოკიდებულია არა მარტო ნაგებობათა ზომებზე, არამედ კონსტრუქციის ფორმაზე, რომელიც ხასიათდება აეროდინამიკური კოეფიციენტით. ქარის სიჩქარესა და სიმძაფრეზე დამოკიდებულია ქარის დატვირთვა და იმისათვის, რომ შეფასდეს შენობებზე ქარის ზემოქმედება, საჭიროა განსაზღვრული იყოს მისი საანგარიშო სიჩქარე და სიმძაფრე, სხვადასხვა სიჩქარის ქარის აღბათობა პროფილის სიმაღლის მიხედვით.

შენობის რეაქცია ქარის მიმართ არის სხვადასხვა, ვინაიდან ქარი იწვევს დინამიკურ დატვირთვას. ქარისმიერი დატვირთვის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი შენობების დაპროექტებისას. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი სხვადასხვა ალბათობით არის ქარის საანგარიშო სიჩქარე, რომელსაც საფუძვლად უდევს ქარის წლიური მაქსიმუმების რიგები დაწყებული 1961 წლიდან. ექსტრემალური მნიშვნელობების თეორიის საშუალებით განსაზღვრულ იქნა ქარის საანგარიშო სიჩქარის მნიშვნელობები, რომლებიც შესაძლებელია აღინიშნოს 1-, 5-, 10-, 20-, 50,100 წელიწადში ერთხელ.

ექსტრემალური მნიშვნელობების თეორიის გამოყენებით. ანალიზი შესრულდა ყოველ სადგურზე განსაზღვრული წლიური ექსტრემუმების რიგების მორგებით GEV განაწილების მრუდებზე. ეს მონაცემები კი უდევს საფუძვლად შენობა-ნაგებობებზე ქარისმიერი დატვირთვის გაანგარიშებას.

შენობების მიკროკლიმატის მკვეთრ გაუარესებას იწვევს ქარის სიჩქარისა და მიმართულების გაუთვალისწინებლობა, სადაც ხდება ტემპერატურის მკვეთრი დაცემა ქარპირა მიმართულების მიხედვით. ქარი განაპირობებს შენობის საექსპლუატაციო დონის ამაღლებას მაღალი ტენიანობის რეგიონებში, რადგან ხელს უწყობს გამოშრობას.

ე) ორი და მრავალგანზომილებიანი კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განაწილებათა კანონზომიერებები

ორ და მრავალგანზომილებიან კლიმატურ კომპლექსებს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ელემენტების შეხამება, როგორც არის ტემპერატურა – წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ტემპერატურა – მოღრუბლელობა, ტემპერატურა – ქარის სიჩქარე, ქარი და წვიმა (ირიბი წვიმა) [17].

ცხრილში წარმოდგენილია კორელაციის კოეფიციენტების მნიშვნელობები წყვილ კლიმატურ ელემენტებს შორის

როგორც ცხრილიდან ჩანს, კორელაცია ტემპერატურასა და წყლის ორთქლის პარციალურ წნევას შორის დადებითია; ტემპერატურასა და შეფარდებით სინოტივს შორის – უარყოფითია; ტემპერატურასა და მოღრუბლელობას შორის – ზამთარში დადებითია, ხოლო ზაფხულში – უარყოფითი; ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეს შორის კი კორელაცია მნიშვნელოვანია.

როდესაც კორელაციის კოეფიციენტი აღემატება 0.70-ს, კავშირი კომპლექსის მდგენელებს შორის შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონალურად და დამოკიდებულება მათ შორის შეიძლება გამოისახოს წრფივი რეგრესიის განტოლებით. ასეთი სახით შეიძლება გამოისახოს დამოკიდებულება ტემპერატურას და წყლის ორთქლის პარციალურ წნევას შორის ზამთარში და ტემპერატურასა და შეფარდებით სინოტივს შორის ზაფხულში.

ცხრილი 3. 2. კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები კომპლექსის მდგენელებს შორის

Table 3. 2. Values of the correlation coefficient between the components of the complex

კომპლექსი	პუნქტი			
	თბილისი		შოვი	
	იანვარი	ივლისი	იანვარი	ივლისი
ტემპერატურა-პარციალური წნევა	0.75	0.13	0.56	0.13
ტემპერატურა-შეფარდებითი სინოტივე	-0.45	-0.69	-0.25	-0.82
ტემპერატურა-მოდულულობა	0.24	-0.31	0.20	-0.25
ტემპერატურა-ქარის სიჩქარე	-0.02	0.05	0.04	0.10

შენობის ექსპლუატაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სათავსის თერმულ რეჟიმს, რომელიც განაპირობებს მის კომფორტს, საწარმოო პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას, შენობის კონსტრუქციის მდგომარეობასა და გამძლეობას.

შენობის სითბური რეჟიმი ეწოდება იმ ფაქტორების და პროცესების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს მის სითბურ მდგომარეობას. მას განაპირობებს: ჰაერის ტემპერატურა, სინოტივე, ჰაერის პარამეტრების განაწილება სიმაღლის მიხედვით, მოსაზღვრე ზედაპირების რადიაციული გამოსხივება და სხვა.

შენობის სითბური რეჟიმის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია ჰაერის ტემპერატურა და ქარი. შტილის დროს შენობის თბოგაცემა დამოკიდებულია მხოლოდ გარე ჰაერის ტემპერატურაზე (საანგარიშო ტემპერატურაზე), როდესაც $v=0.5$ მ/წმ-ს. ამ დროს შენობათა თბოგაცემა კონდუქციურია, ე.ი. განისაზღვრება შენობის კედლების სახურავების სითბოგამტარობით.

დიდი სიჩქარის ქარების დროს ადგილი აქვს დამატებით თბოგაცემას ე.წ. ინფილტრაციას, რომელიც წარმოიშობა შენობის შიგა ჰაერის გამოდევნით გარეთ ე.ი. ფილტრაციით (ფანჯრებიდან, კარებიდან და იმ მასალის ფორებიდან, რომლისგანაც ისინია დამზადებული). ქარის მცირე სიჩქარის ე.ი. ჰაერის ნაკადის ლამინარული მოძრაობის დროს ინფილტრაციული თბოგაცემა ქარის სიჩქარის კვადრატის პირდაპირპროპორციულია, ხოლო დიდი სიჩქარის, ე.ი. ტურბულენტური მოძრაობისას შენობის ფულტრაციული თბოგაცემა იცვლება ქარის სიჩქარის პროპორციულად, საშუალო სიჩქარის ქარის დროს კი იგი პირდაპირპროპორციულია ქარის სიჩქარისა ერთ-ნახევარ ხარისხში, ე.ი. 0.5 მ/წმ-ზე მეტი ქარის სიჩქარის დროს შენობის საერთო თბოგაცემა შედგება კონდუქციური და ინფილტრაციული თბოგაცემის ჯამისაგან [17,19].

კონდუქციური თბოგაცემა ჭარბობს ინფილტრაციულს ძალიან დაბალი ტემპერატურის და შედარებით სუსტი ქარის დროს (მაგ. სამხრეთ საქართველოში ანტიციკლონური ამინდის დროს) და პირიქით, ინფილტრაციული თბოგაცემა ჭარბობს კონდუქციურს დიდი ქარების და არცთუ ძალიან მცირე ტემპერატურების დროს (მაგ. დასავლეთ საქართველოსა და ზღვის სანაპიროზე ანტიციკლონური ამინდის პირობებში).

შენობის საერთო თბოგაცემა იქნება უდიდესი, როდესაც დაბალ ტემპერატურებს ემთხვევა დიდი სიძლიერის ქარები, ამიტომ საჭიროა განსაზღვრულ იქნეს ქარის სიჩქარის და ტემპერატურის კომპლექსი, რომელსაც ეწოდება ეფექტური ტემპერატურა [17,19].

ეფექტური ტემპერატურა ეს ისეთი ტემპერატურაა, რომლის დროსაც შენობის თბოგაცემა შტილის დროს იქნება ისეთივე, როგორცაა გარე ჰაერის ტემპერატურისა (T) და ქარის სიჩქარის (V) შემთხვევაში [17,19].

ეფექტური ტემპერატურის გამოსათვლელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$T_{\text{ფე}} = T - CV^2(T_{\text{ბ}} - T)$$

სადაც $T_{\text{ბ}}$ – სათავსოს შიგა ტემპერატურაა (ჩვეულებრივი ანგარიშის დროს 18°C);

C – კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს ზღუდური კონსტრუქციების ინფილტრაციის თვისებებს, ჩვეულებრივ $C=0,005$;

T – გარე ჰაერის ტემპერატურა;

V – ქარის სიჩქარე, მ/წმ;

ე.ი. ეფექტური დამატება T-თან ქარის სიჩქარეზე არის

$$\Delta T = -CV^2(T_{\text{ბ}} - T)$$

ამ ფორმულით შეიძლება გამოვითვალოთ ეფექტური ტემპერატურები T-ს და V-ს სხვადასხვა მნიშვნელობის დროს. T ეფექტური T-სა და V-ს საშუალო მნიშვნელობისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს ინტერპოლაციის საშუალებით.

ჩვენ მიერ განსაზღვრულ იქნა ჰაერის ტემპერატურისა და ქარის სიჩქარეების შეხამებათა განმეორებადობები (%) საქართველოს ზოგიერთ პუნქტში თვეების და წლის მიხედვით. ტემპერატურა-ქარის სიჩქარის კომპლექსის მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოსავლენად შედარებული იყო ამ კომპლექსის განმეორებადობათა სიხშირეები ორი პერიოდისთვის [17,19].

როგორც მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში ძირითადად არ აღინიშნება ძალიან დაბალი ეფექტური ტემპერატურები, რაც განპირობებულია იმით, რომ დაბალ ტემპერატურებს არ ემთხვევა ძლიერი ქარები. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად მეორდება ისეთი შემთხვევები, როდესაც დაბალ ტემპერატურებს თან ემთხვევა სუსტი ქარები. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, შენობებში კონდუქციური თბოგაცემა სჭარბობს ინფილტრაციულს. დასავლეთ საქართველოსა და შავი ზღვის სანაპიროზე კი, პირიქით, დიდ ქარებს შეეხამება არცთუ ძალიან მცირე

ტემპერატურები, რაც განაპირობებს იმას, რომ შენობებში ინფილტრაციული თბოგაცემა ჭარბობს კონდუქციურს.

შენობის ყველაზე უდიდესი საერთო თბოგაცემა არის საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, სადაც დაბალ ტემპერატურებს თან ემთხვევა დიდი სიძლიერის ქარები. ამ კომპლექსის ცვლილებების ხასიათი განსხვავებულია სხვადასხვა კლიმატური ოლქის პირობებში.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თბილისში ქარის დიდი სიჩქარეების განმეორებადობა შემცირდა. ამავე დროს ასეთი სიჩქარეების დროს (10 – 11 და 12 – 13 მ/წმ) ბოლო ათწლეულში შემცირდა ტემპერატურის რყევადობის დიაპაზონიც. როდესაც ქარის სიჩქარე შეადგენს 10 – 11 მ/წმ-ს, ჰაერის ტემპერატურა 1956-1990 წლებში იცვლებოდა 2-დან 22⁰-მდე დიაპაზონში, ბოლო ათწლეულს ქარის ამავე სიჩქარეებისათვის ჰაერის ტემპერატურის ცვლილების დიაპაზონი შემცირდა – 2⁰-დან 8⁰-მდე. ე.ი. ქარის დიდი სიჩქარეების დროს ჰაერის ტემპერატურამ დაიკლო.

ქარის დაბალი სიჩქარეების პირობებში ტემპერატურის რყევადობის დიაპაზონი მნიშვნელოვნად არ შეიცვალა, მაგრამ არსებითი ცვლილება განიცადა ტემპერატურის განაწილების ფუნქციამ. კერძოდ, თუ ძველ პერიოდში (196-1990 წწ) 0-1 მ/წმ ქარის სიჩქარის პირობებში ტემპერატურის განმეორებადობის უდიდესი სიხშირეები შეესაბამებოდა გრადაციებს 0-დან 6⁰-მდე და 14-დან 20⁰-მდე ახალ პერიოდში (1990-2010წწ) მაქსიმალური ტემპერატურების პირველი გრადაცია შენარჩუნებულ იქნა და ამავე დროს წარმოიქმნა ახალი მაქსიმუმი 10-დან 12⁰-ის დიაპაზონში. აგრეთვე რამდენადმე გაიზარდა მაღალი ტემპერატურების (26⁰ და მეტი) განმეორებადობები, რაც საერთო დათბობით აიხსნება.

ვ) ტემპერატურა-სინოტივის კომპლექსი.

შენობაში ნორმალური ტენიანობის რეჟიმის შესაქმნელად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს დანესტიანების ყველა წყარო. ტენიანობის რეჟიმის შესწავლა შეუძლებელია სითბოს რეჟიმის შესწავლის გარეშე, რადგან კედლების დანესტიანების ერთ-ერთ მიზეზს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს წყლის ორთქლის კონდენსაცია, რომელიც მიმდინარეობს ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის შესაბამისი მნიშვნელობების თანხვედრისას, კერძოდ კი მაშინ, როდესაც ჰაერი მიაღწევს გაჯერების მდგომარეობას და მისი ტემპერატურა ნამის წერტილის ტემპერატურაზე დაბლა დაინევს.

ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა კლიმატის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტორებია და მოქმედებს შემომზღუდავი კონსტრუქციების ტენიანობის რეჟიმზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხის შესწავლა ცხელი ნოტიო კლიმატის რაიონებში [5,10,19], რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე IV სამშენებლო კლიმატურ ზონაში მდებარეობს. აქ IV_ა ქვერაიონად ნოტიო სუბტროპიკული ზონა გამოიყოფა.

ამ ქვერაიონისათვის დამახასიათებელია ცხელი ზაფხული და თბილი ზამთარი, უარყოფითი ტემპერატურები იშვიათობაა. ყველაზე ცხელ თვეში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა $22 - 28^{\circ}$ -ს აღწევს, ხოლო ფარდობითი ტენიანობა $55 - 76\%$ -ს; IV^ა ქვერაიონის კლიმატური ზონები ხასიათდება ქარის რეჟიმისა და ნალექების რაოდენობის სხვადასხვაობით. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში აქ გაბატონებულია ზომიერი განედის ჰაერი, ზაფხულში ტროპიკული ჰაერი ჭარბობს და რადიაციული ბალანსი თავისი სიდიდით ტროპიკული განედების რადიაციულ ბალანსს უტოლდება. ირიბი წვიმების მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ რეგიონის ზოგიერთ რაიონში, კერძოდ შავი ზღვის სანაპიროზე (ბათუმი, ფოთი) და ლენქორანის დაბლობზე (ბაქო, ლენქორანი, ასტარა) მოდის ისეთივე თავსხმა წვიმები, როგორც ეკვატორული განედის ზოგიერთ ქვეყანაში [5, 10], ამიტომ ამ რაიონებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის შესწავლას.

კლიმატის თავისებურების, სათავსის გარე და შიგა ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის შემცველობის შეფარდების მიხედვით წყლის ორთქლი შეიძლება გადაადგილდეს გარედან შიგნით, ან პირიქით. ზოგიერთ რაიონში ზამთარში წყლის ორთქლი სათავსიდან გარეთ გადაადგილდება, ზოგიერთში კი – პირიქით. ამიტომ შენობების დაპროექტებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის წლიური მსვლელობა [5,10,19.]

ჩრდილოეთ რაიონებში წლის მანძილზე გარე ჰაერის ტემპერატურა იშვიათად აღემატება სათავსის შიგა ტემპერატურას, მაშასადამე, წყლის ორთქლი სათავსიდან გარეთ გამოდის, ხოლო ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის-პირეთის რაიონებში – პირიქით. წლის უმეტეს პერიოდში (გარდა ზამთრისა) წყლის ორთქლი სათავსის შიგნით მიემართება, ამის გამო სათანადო ზომები მიიღება კონსტრუქციების კონდენსაციური დატენიანებისგან დასაცავად [10].

ტენიანობის რეჟიმი განისაზღვრება მეტეოროლოგიაში ცნობილი მახასიათებლებით – აბსოლუტური ტენიანობა, კუთრი ტენიანობა, წყლის ორთქლის პარციალური წნევა. ჰაერის გარკვეული ტემპერატურისა და წყლის ორთქლის მაქსიმალური დრეკადობა შეესაბამება ჰაერის მაქსიმალურ აბსოლუტურ ტენიანობას.

ჰაერის წყლის ორთქლით გაჯერების ხარისხი ხასიათდება ფარდობითი ტენიანობის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წყლის ორთქლის ფაქტობრივი დრეკადობის გაჯერებული წყლის ორთქლის პარციალურ წნევასთან შეფარდებას. ჰაერის ტემპერატურის და ფარდობით ტენიანობას შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულება – ტემპერატურის შემცველობით მისი ფარდობითი ტენიანობა იზრდება, თუ შენობის შიგა ზედაპირის გაცივებით ტემპერატურა დაეცემა ნამის წერტილის ტემპერატურაზე დაბლა, მაშინ ტენი,

რომელსაც შეიცავს სათავსის ჰაერი, კონდენსირდება და გამოიყოფა ზედაპირზე.

წლის თბილ პერიოდში ფარდობითი ტენიანობა, როგორც წესი, იცვლება დღე-ღამის განმავლობაში, მაგ. საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ზაფხულში, ღამის საათებში ხშირად ნორმას აღემატება, ამიტომ მიზანშეწონილია სათავსში ჰაერის ტენიანობის შესამცირებლად სპეციალური მოწყობილობების დაყენება; შუა აზიაში კი, პირიქით, ზაფხულში ჰაერის ზედმეტი სიმშრალის გამო დღის საათებში აუცილებელია დანესტიანება.

ტენიანობის რეჟიმის ზემოქმედების გათვალისწინებისას კონსტრუქციების დაპროექტებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც მაღალი ტემპერატურის დროს (ჭარბი ტენიანობა ხელს უწყობს კოროზიის პროცესების დაჩქარებას), ისე 0°C დროს (მკვეთრად ძლიერდება ნგრევის მექანიკური პროცესის გაყინვისას და ღნობის პროცესის ზემოქმედების გამო).

ჰაერის ტემპერატურას, წყლის ორთქლის პარციალურ წნევას და ფარდობით ტენიანობას შორის არსებობს ფუნქციონალური დამოკიდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰაერის ტემპერატურისა (t°) და წყლის ორთქლის პარციალური წნევის (e) მნიშვნელობათა მიხედვით განისაზღვრება ფარდობითი ტენიანობის (Φ) მნიშვნელობა.

ტემპერატურა-სინოტივის კომპლექსის რეჟიმის შესასწავლად გამოყენებულ იქნა როგორც ვადიანი, ისე საათობრივი დაკვირვებები. ამოირჩევა ტემპერატურის საწყისი მონაცემებისა მიმდინარეობდა ყოველი 5° -ის შემდეგ, ხოლო ფარდობითი ტენიანობისა – ყოველი 5%-ის შემდეგ.

ეს კომპლექსები გამოანგარიშებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ ზონებში მდებარე პუნქტებისათვის [5,10] ტემპერატურა-სინოტივის განაწილება დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილია ფოთისა და სამტრედიის მონაცემებით. ადგილობრივი კლიმატური პირობების გამო ტემპერატურა მერყობს – 5° -დან 40° -მდე. ტემპერატურის ამპლიტუდა აღწევს $40-45^{\circ}$ -ს, ხოლო ფარდობითი ტენიანობა – 90%-ს (11-დან 100%-მდე). ყველაზე მაღალი განმეორებადობა ტემპერატურებისა მოდის 5-დან 25° -მდე.

ყველაზე მეტად მეორდება გრადაციები $5.0^{\circ}-9.9^{\circ}\text{C}$. ამასთანავე ყველაზე მაღალი განმეორებადობა მოდის ფარდობითი ტენიანობის გრადაციაზე 91-95% და შეადგენს საერთო შემთხვევათა რიცხვის 4.1%-ს. ამ გრადაციებისთვის ტემპერატურის ზრდის გამო განმეორებადობები თანდათან მცირდება 3.6%-მდე, $20-25^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის დროს ფოთში გრადაცია -10, -5°C მაღალ ტენიანობასთან შეხამებით იშვიათად დაიკვირვება და 25 წლის მანძილზე შეადგენს მხოლოდ 10 დღეს.

როდესაც ჰაერის ტემპერატურა მეტია 25°C -ზე, ცხელი დღეების განმეორებადობის რიცხვი წლიურ ჯამში წარმოადგენს 9,3%-ს, 71-75% ტენიანობის გრადაციის განმეორებადობა წარმოადგენს 2,7%-ს. აღმოსავლეთ საქართველოში

ველოს კლიმატის ზოგადი კანონზომიერების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შიგა რაიონებში ტემპერატურისა და სინოტივის კომპლექსი კლიმატური კონტინენტალურობის და სიმშრალის გაზრდით მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ფარდობითი ტენიანობის შეხამებისას აღმოსავლეთით იზრდება (თბილისი, გორი, ხაშური, თელავი).

ტემპერატურის და სინოტივის შეხამების განმეორებადობა მიღებული ინტერვალის მიხედვით გვიჩვენებს, რომ თბილისში ყველაზე დიდი განმეორებადობა შეესაბამება ტემპერატურას 5-დან 25⁰-მდე და ფარდობითი ტენიანობის 60-90%-მდე გრადაციებს.

ცივი დღეების განმეორებადობა 0⁰C-ის და დაბლა წარმოადგენს წელიწადში საერთო შემთხვევათა 5,5%-ს. არახელსაყრელი ამინდის პირობები აღინიშნება იმ დღეებში, როდესაც დაბალი ტემპერატურები 10⁰C-ზე მაღალია ფარდობითი ტენიანობის დროს. თბილისში ასეთი დღეების რაოდენობა არის უმნიშვნელო და წარმოადგენს 0,1%-ზე ნაკლებს. განმეორებადობა ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის გრადაციებისათვის 20-25⁰C, ხოლო ფარდობითი ტენიანობა კი 70-75% ფოთში უფრო მეტია, ვიდრე თბილისში. ეს განპირობებულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ თბილისის რაიონი არის ყველაზე მშრალი და აგრეთვე იმიტომაც, რომ ზღვის ჰაერი აღმოსავლეთით გადაადგილების დროს განიცდის ტრანსფორმაციას, კარგავს ტენის ნაწილს და ამის გამო მოცემული კომპლექსის განმეორებადობა მცირდება. ყველა შემთხვევაში, როდესაც ტემპერატურა თბილისში აღწევს 20⁰-ს, ფარდობითი ტენიანობა არის 50%-ზე ნაკლები.

თუ შევადარებთ სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში მყოფი სადგურის კლიმატურ მონაცემებს, მივიღებთ შესამჩნევ განსხვავებებს, რაც, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო. ქუთაისში მაღალი ტემპერატურა აღინიშნება დაბალი ტენიანობის დროს – 1-5%. სიმაღლის და ნალექების რაოდენობის გაზრდის გამო ნალექიან დღეთა რაოდენობა თანდათან იზრდება და შესაბამისად იზრდება კომპლექსების შემთხვევათა რიცხვიც, რომელიც წარმოიქმნება მაღალი ფარდობითი ტენიანობით და ტემპერატურის დაბალი მნიშვნელობებით,

ეს ხდება იმის გამო, რომ ტემპერატურა მცირდება ადგილის სიმაღლის შესაბამისად. მთიანი და მაღალმთიანი მონაცემების მიხედვით (მესტია, მთა-საბუეთი, ბახმარო, ბაკურიანი) ტემპერატურების ცვლილებების დიაპაზონი მცირდება. ტემპერატურების მაქსიმალური მნიშვნელობები არ აღემატება 30⁰-ს. ცხელი დღეების განმეორებადობა ჰაერის ტემპერატურით 25⁰C და მაღალი ან ფარდობითი ტენიანობით [50-55%] არ აღემატება საერთო შემთხვევათა 1%-ს, მთა-საბუეთში კი ერთეულ შემთხვევაში ჰაერის ტემპერატურა აღემატება 25⁰-ს და ამ დროს აღინიშნება არცთუ იშვიათად ფარდობითი ტენიანობა 80-85%. ამ სადგურში დაბალ ტემპერატურას -10⁰-ის მაღალ ფარდობით ტენიანობასთან კომპლექსში აქვს საკმაოდ მაღალი განმეორებადობა -4,4% საერთო შემთხვევიდან.

ტემპერატურა-სინოტივის კომპლექსის განხილვისას აღმოჩნდა, რომ ძალიან დიდ როლს თამაშობს რელიეფი. მაგ. მესტიაში ზამთრის დღეებში ტემპერატურა არის 3-4⁰-ით ნაკლები, ვიდრე ზევით გაგრის ქედზე, ხოლო ზაფხულის თვეებში სვანეთში უფრო ცხელა, აქ ვერტიკალური თერმული გრადიენტი არის 10⁰-ზე მაღალი. ბახმაროზე, ბაკურიანსა და მესტიაში უფრო ხშირად ფარდობითი ტენიანობა არის 91-100%. ასევე საზღვრებში დაიკვირვება იგი ტემპერატურისას – 10-დან 20⁰-მდე.

მაღალმთიანი სადგურის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 1500 მ. სიმაღლესა და ზევით შეიძლება აღინიშნოს როგორც მაღალი, ისევე დაბალი ფარდობითი ტენიანობები, ხოლო ჰაერის ტემპერატურისას 25-30⁰C ფარდობითი ტენიანობა არ აღემატება 55-60%-ს. დაბალი ტემპერატურის დროს (0-დან -10⁰-მდე) შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც დაბალ, ისე მაღალ ფარდობით ტენიანობას, მაგრამ უფრო ხშირად 40-100%-ის ფარგლებში.

ქარისა და წვიმის ერთობლივი ზემოქმედება ვერტიკალურ ზედაპირზე (ირიბი წვიმები)

ისეთ წვიმებს, რომლებიც გადაიხრება ვერტიკალის მიმართ რაღაც კუთხით, ქარის მიმართულებით, ეწოდება ირიბი წვიმები. ნაგებობათა გარე ზედაპირები განიცდის სხვადასხვა ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის ირიბი წვიმების ზემოქმედებას. განსაკუთრებით ინტენსიურად ნესტიანდება შენობის გარე კედლები ძლიერი ქარების დროს [17]. იმ რაიონებში, სადაც მოდის ატმოსფერული ნალექები ინტენსიურად და გაბატონებულია აგრეთვე ძლიერი ქარები, წვიმის წყალი აღწევს შენობის შიგნითა ზედაპირებამდეც კი. ამ შემთხვევაში, თუ არ იქნება მიღებული სპეციალური ზომები შენობების დანესტიანებისაგან უკუღებელსაყოფად, შესაძლებელია ამან გამოიწვიოს არა მარტო შენობის საექსპლუატაციო დონის შემცირება, არამედ მისი ნაადრევი დანგრევაც კი.

შენობის ირიბი წვიმების ზემოქმედებისაგან დაცვის პრობლემა არსებობდა წინათაც, მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობის განვითარების გამო. ძველ ხალხურ საცხოვრებელ ბინებში შენობების დაცვის მარტივ, მაგრამ საკმაოდ ეფექტურ საშუალებებს იყენებდნენ.

ინდუსტრიული მშენებლობის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიშვა ატმოსფერული ნალექებისგან შენობების დაცვის პრობლემა იმ რაიონებშიც კი, რომლებშიც იგი წინათ არ არსებობდა. ეს გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორების ერთობლიობით, რაც დამახასიათებელია ამ ტიპის მშენებლობისათვის. შენობის ანაკრებ ელემენტებს შორის გაჟონვები აღინიშნება მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის ისეთებშიც, სადაც მშენებლობის მაღალი დონეა.

როგორც მშენებლობის პრაქტიკა უჩვენებს, გაჟონვების რაოდენობა უშუალოდაა დამოკიდებული სამშენებლო რაიონის კლიმატურ პირობებზე, ამიტომ შენობებისა და გარე კედლების სწორი დაპროექტებისას, დანესტიანებისაგან დასაცავად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ირიბი წვიმების ზემოქმედების ფაქტორი. ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებენ, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერები [17]. ინგლისში, ნორვეგიაში, შვეციასა და სხვა ქვეყნებში კლიმატურ ცნობარებში მოცემულია ირიბი წვიმების რუკები [17], რომლებსაც თან ახლავს სათანადო ახსნა-განმარტებები და რეკომენდაციები. ჩვენს ქვეყანაში არსებულ კლიმატურ ცნობარებში კი არ არის არავითარი ინფორმაცია ირიბი წვიმების შესახებ.

იმისთვის, რომ დამუშავებულ იქნეს თვით პანელების და მათ შორის პირაპირების ახალი კონსტრუქციები, საჭიროა დადგინდეს იქნეს მოცემული სამშენებლო რაიონის ირიბი წვიმების პარამეტრები სხვადასხვა კლიმატურ რაიონში. შენობის გარე კედლებზე ქარისა და წვიმის ერთობლივი ზემოქმედება შესწავლება ორი ურთიერთდაკავშირებული მეთოდით: ანალიზური მეთოდით, რომელიც ემყარება მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების სათანადო დამუშავებას ალბათობის თეორიის გამოყენებით, და ექსპერიმენტალური მეთოდით, რომელიც ემყარება სხვადასხვა შენობის გარე კედლებზე ატმოსფერული ნალექებისა და ქარის მოქმედების უშუალო გაზომვებს.

ირიბი წვიმების მახასიათებლების განსაზღვრა განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი რთული კლიმატური რაიონისათვის, როგორც საქართველოა.

წვიმის წყლის შეღწევა შენობების შიგნით დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ზოგიერთ რაიონებში აუცილებელია მიღებულ იქნეს შესაბამისი ზომები შენობების დანესტიანებისაგან დასაცავად, რომლებიც სხვა კლიმატური პირობების მქონე რაიონებში შეიძლება საერთოდ არ იყოს საჭირო.

ირიბი წვიმების ზემოქმედების ხარისხის დასადგენად მიღებულია ე.წ. ირიბი წვიმების ინდექსი. სხვადასხვა ქვეყნებში შედგენილია ირიბი წვიმების ინდექსის რუკა, საქართველოსთვის ასეთი რუკა არ არსებობდა, ამიტომ ჩვენ მიერ დამუშავებულ იქნა ირიბი წვიმების ინდექსის განაწილების სქემატური რუკა.

ნებისმიერი მთიანი ქვეყანა, ისევე როგორც საქართველო, ხასიათდება რთული ოროგრაფიული პირობებით და კლიმატის მრავალფეროვნებით. ამის გამო არარენტაბელურია, საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს ირიბი წვიმებისაგან დამცავი ერთიანი სისტემა, აუცილებელია განსაზღვრულ იქნეს საქართველოს უმეტესი კლიმატური რაიონებისთვის ირიბი წვიმების ინტენსიურობა და მიღებული მონაცემების საფუძველზე დამუშავებული იქნეს შესაბამისი ღონისძიებები. ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას, გაკეთდეს ეკონომია სამშენებლო მასალებზე ირიბი წვიმების უმნიშვნელო ზემოქმედების

რაიონებში და ამავე დროს დაცულ იქნეს შენობები დანესტიანებისაგან ირიბი წვიმების ინტენსიური ზემოქმედების რაიონში.

ირიბი წვიმების ინდექსის გამოანგარიშებისათვის საჭიროა ვიცოდეთ ქარის სიჩქარე წვიმის დროს, მაგრამ ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური არ ატარებს ასეთ დაკვირვებებს. როგორც ჩვენი [17], ისე საზღვარგარეთის მეცნიერების გამოკვლევებით [17, 18] დადგინდა, რომ წვიმის დროს ქარის სიჩქარის შეფარდება ქარის სიჩქარესთან ნებისმიერი ამინდის პირობებში არცთუ ისე ძალიან იცვლება. ამ ფარდობის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 1.2-1.3-ს, ხოლო გადახრა მერყეობს 10%-ის ფარგლებში, ამიტომ ეს ფარდობა შეიძლება ჩავთვალოთ მუდმივად და ირიბი წვიმების ინდექსი გამოვიანგარიშოთ ნალექების საშუალო რაოდენობისა და ქარის საშუალო სიჩქარის მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, ფორმულით:

$$I = \frac{HgV_w}{1000} \quad 3.3.$$

H_g – ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოსული ნალექების რაოდენობა, მმ;

V_w – ქარის სიჩქარე, მ/წმ,

ცხრილი 3.3. წვიმის და ნებისმიერი ამინდის პირობებში ქარის სიჩქარეთა შეფარდება

Table 3.3. Ratio of wind speeds in rain and any weather conditions

სადგურები	ქარის საშუალო თვიური სიჩქარე მ/წმ		ფარდობა $\frac{V_B}{V_0}$
	ნალექების დროს V_0	ნებისმიერი ამინდის დროს V_0	
საქართველო			
1. ახალციხე	1.8	1.6	1.1
2. ბათუმი	2.7	2.1	1.3
3. ფოთი	3.5	2.7	1.3
4. თბილისი	3.0	2.4	1.2
			$(V_B/V)_{საშ}=1.2$
ინგლისი			
1. კრეიდონი	11.5	8.9	1.3
2. ჰოლექჰიდი	16.9	14.1	1.2
3. რენფრიუ	12.2	8.7	1.3
			$(V_B/V)_{საშ}=1.3$

შენობებზე ირიბი წვიმების ხარისხობრივი მოქმედების მიხედვით საქართველოს ტერიტორია დაყოფილია ზონებად. შენობის კედლებზე ირიბი წვიმების მოქმედება უმნიშვნელოა, როცა $1 < 3$. შენობები იმყოფება საშუალო პირობებში, როცა $3 < 1 < 5$, ან როცა $1 > 7$ -ზე შენობები განიცდიან ირიბი წვიმების ძლიერ ზემოქმედებას.

მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს თითქმის ნახევარზე მეტ ტერიტორიაზე შენობები განიცდის დიდი ინტენსიურობის ირიბი წვიმების ზემოქმედებას, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებსა და დასავლეთ საქართველოში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ რაიონებისათვის დამახასიათებელია დიდი ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის წვიმები, რომლის დროსაც აღინიშნება აგრეთვე ძლიერი ქარები. ამიტომ ამ რაიონებში საჭიროა მივიღოთ შენობების ირიბი წვიმების ზემოქმედებისაგან დაცვის სპეციალური ზომები.

აფხაზეთსა და ქართლ-კახეთში ირიბი წვიმების ზემოქმედება შედარებით უმნიშვნელოა (ინდექსი აქ არის 3მ/წმ^{-1}). ეს გამოწვეულია იმით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა არ აღემატება $300-700$ მმ-ს, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ პუნქტებში ირიბი წვიმების ინდექსი 1-ზე ნაკლებია (გარდაბანი $0,8\text{მ}^2\text{წმ}^{-1}$, შირაქი $0,8\text{მ}^2\text{წმ}^{-1}$).

აფხაზეთის სანაპიროზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა კი აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით 2-3-ჯერ მეტია, ხოლო ქარის სიჩქარე ამდენჯერვე ნაკლებია, ამიტომ აფხაზეთისა და ქართლ-კახეთის ტერიტორიები იმყოფება დაახლოებით ერთნაირ პირობებში. როგორც სახლების მშენებლობის პრაქტიკამ უჩვენა ამ რაიონებში შენობების შიგნით წვიმის წყალი აღწევს მცირე რაოდენობით. მაშასადამე, აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტივი კონსტრუქციების გარე კედლები და პირობები.

ირიბი წვიმების ინდექსის საშუალებით არქიტექტორსა და კონსტრუქტორს შეუძლიათ დაადგინონ, განიცდიან თუ არა შენობის კედლები დანესტიანებას და როგორი კონსტრუქციული გადაწყვეტა უნდა იქნეს მიღებული მის უკულებელ-საყოფად. მაგრამ ამ რუკა-სქემას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებაც. კერძოდ, ის არ გვაძლევს არავითარ ინფორმაციას ქარის მიმართულების შესახებ. გარდა ამისა შენობების სწორი დაპროექტებისთვის აუცილებელია აგრეთვე ვიცოდეთ ის მიმართულება, საიდანაც კედლები განიცდიან ირიბი წვიმების მაქსიმალურ ზემოქმედებას.

დასავლეთ საქართველოში ირიბი წვიმების დიდი რაოდენობა მოდის იმ ქარებთან ერთად, რომლებიც ქრიან სამხრეთ და დასავლეთ მიმართულებებს შორის. ამიტომ ამ რეგიონებში შენობების დაპროექტებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ კედლების დაცვას, რომლებიც ორიენტირებული არიან დასავლეთით, სხვა ორიენტაციის კედლები კი განიცდიან ნაკლებ დანესტიანებას.

მიღებული რუკა-სქემების მიხედვით შენობების დაპროექტებისას შეგვიძლია, უფრო მეტი სიზუსტით გავითვალისწინოთ სამშენებლო რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებანი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ირიბი წვიმების ინდექსი წარმოადგენს პირობით კლიმატურ მახასიათებელს და განისაზღვრება გასაშუალოებული სიდიდეების საფუძველზე. ამიტომ მის მიხედ-

ვით ვერ განვსაზღვრავთ ვერტიკალურ ზედაპირებზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობას.

ცხრილი 3. 4. ირიბი წვიმების ინდექსის განაწილება ორიენტაციის მიხედვით
Table 3. 4. Distribution of indirect rain index by orientation

პუნქტის დასახელება	ირიბი წვიმების ინდექსი	ირიბი წვიმების ინდექსის განაწილება ორიენტაციის მიხედვით							
		ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ
ახალციხე	0.7	0.03	0.01	0.1	0.01	0.06	0.2	0.3	0.3
ბათუმი	7.8	0.1	0.2	0.1	2.8	0.1	3.7	0.5	0.3
გორი	1.7	0.01	0.01	0.1	0.5	0.01	0.01	0.1	1.0
თელავი	1.4	0.08	0.1	0.2	0.08	0.1	0.09	0.5	0.2
თბილისი	1.7	0.2	0.04	0.05	0.3	0.02	0.04	0.04	1.0
სოხუმი	2.6	0.1	0.6	0.9	0.3	0.1	0.2	0.1	0.3
სამტრედია	3.9	0.04	0.05	0.5	0.2	0.1	1.1	1.7	0.2
ქუთაისი	7.0	0.3	0.8	2.2	0.4	0.2	0.2	2.8	0.1

ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდის მიხედვით, ქარის სიჩქარის, ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობისა და ინტენსიურობის მეტეოროლოგიური მონაცემების მათემატიკური დამუშავების გზით განისაზღვრება ირიბი წვიმების შემდეგი პარამეტრები:

1. ირიბი წვიმების რაოდენობა;
2. ირიბი წვიმების ინტენსიურობა;
3. ქარის სიჩქარე ირიბი წვიმების დროს;
4. ირიბი წვიმების მყისი ინტენსიურობა;

გაანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ქარისმიერი დატვირთვა დამოკიდებული ქარის სიჩქარულ დანწევაზე, რისთვისაც აუცილებელია საანგარიშო ქარის სიჩქარის განსაზღვრა. საანგარიშო ქარის სიჩქარის განსაზღვრის მეთოდი დამოკიდებულია სამშენებლო ტექნიკის ამოცანებზე [5,10]. ასე მაგალითად, სამშენებლო კონსტრუქციების გამძლეობის გამოსათვლელად განისაზღვრება ქარის მაქსიმალური სიჩქარე 2-ნუთიანი გასაშუალებით, რომელიც მოსალოდნელია 5 წელიწადში ერთხელ [5,10,19]. ქარის საშუალო სიჩქარე წვიმის დროს კი განისაზღვრება საშუალოდ აწონილი სიდიდეების გამოთვლის ცნობილი ხერხით, ქარის სიჩქარეებისა და შესაბამისი დროის ინტერვალის ნამრავლების ჯამის გაყოფით ინტერვალის ჯამზე.

$$V_{wi} = \frac{\sum_i^n V_{wi} t_{wi}}{\sum_i^n t_{wi}} \quad 2.4.$$

სადაც V_{wi} – ქარის სიჩქარეა (ცალკეული გაზომვები) მ/წმ;

n – გაზომვების რაოდენობა;

$t_{wi} - V_{wi}$ ქარის სიჩქარის ხანგრძლივობა, წმ.

შენობების ირიბი წვიმებით დანესტიანებისაგან დამცავი ღონისძიებები უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი მაქსიმალური შემოქმედებისათვის. ამისთვის კი აუცილებელია განსაზღვრულ იქნეს ქარის მაქსიმალური სიჩქარე წვიმის დროს. მწკრივი დგება 5 მ/წმ და მეტი ქარის სიჩქარეების მონაცემების ამოკრეფით ყოველდღიური მეტეოროლოგიური ცხრილებიდან (TM-1).

წვიმის წვეთები ქარის დროს გადაიხრებიან და მოდიან ვერტიკალურ ზედაპირზე. წვიმის წვეთების ტრაექტორია ქარის შემოქმედებით ემნის ვერტიკალურ ზედაპირთან კუთხეს (დახრის კუთხე). ამ კუთხის ზრდასთან ერთად იზრდება წვიმის ის რაოდენობა, რომელიც მოდის ვერტიკალურ ზედაპირზე. წვიმის რაოდენობა, რომელიც შესაძლოა მოვიდეს ვერტიკალურ ზედაპირზე, როგორც შემოთ იყო აღნიშნული, განისაზღვრება ფორმულით:

$$H_v = H_g \operatorname{tg} \alpha \cos (\theta - \theta_0). \quad 2.5$$

3.4. ირიბი წვიმების მახასიათებლების ტერიტორიული განაწილება

იმისთვის, რომ დავადგინოთ ქარისა და წვიმის ერთობლივი შემოქმედება შენობის კედლებზე და მივიღოთ ზომები მათი დანესტიანებისაგან დასაცავად, აუცილებელია ვიცოდეთ შენობებზე არა მარტო ირიბი წვიმების შემოქმედების ხარისხი, არამედ მათი რაოდენობრივი მახასიათებლები.

ირიბი წვიმების შემოქმედების ხარისხის შესაფასებლად და ტერიტორიული დარაიონებისათვის დამუშავდა ირიბი წვიმების ინდექსი. ირიბი წვიმების ინდექსი არის მხოლოდ პირობითი, მიახლოებითი კლიმატური მახასიათებელი. მისი პირობითობა კი განისაზღვრება განზომილებით, ხოლო მიახლოებითი ხასიათი გამოწვეულია იმით, რომ არ არის გათვალისწინებული წვიმის წვეთების დაცემის სიჩქარე, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მათ ინტენსიურობასთან.

დაპროექტებისათვის უფრო აუცილებელია ირიბი წვიმების რაოდენობრივი მახასიათებლები, რომლებიც უნდა დაედოს საფუძვლად წვიმისგან დამცავი მოწყობილობის დაპროექტებას.

განსაზღვრულია ირიბი წვიმების მრავალწლიური რაოდენობა წლის განმავლობაში და მათი განაწილება თვეების მიხედვით. ამ მონაცემების საფუძველზე აგებულ იქნა მათი განაწილების გრაფიკები თვეების მიხედვით.

მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარზე შენობების ზედაპირები განიცდის ირიბი წვიმების

ინტენსიურ ზემოქმედებას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და მაღალმთიან რაიონებში. ეს განპირობებულია იმით, რომ დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია დიდი ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის წვიმები. მაღალმთიან რაიონებში წვიმები მოდის წელიწადში 1-3 თვის განმავლობაში, მაგრამ ძლიერი ქარების გამო შენობები განიცდის ირიბი წვიმების თითქმის იმავე ინტენსიურ ზემოქმედებას, როგორც სანაპიროზე მდგარი შენობები.

ბათუმში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მოსული ჰორიზონტალურ ზედაპირზე 10-ჯერ მეტია, ვიდრე მამისონის უღელტეხილზე. ვერტიკალური ზედაპირისათვის კი ეს თანაფარდობა მცირდება დაახლოებით 4-მდე. საშუალო თვიური მაქსიმალური რაიონების შეფარდება კი მცირდება 1,6-მდე. თუ შედარებებს გავაკეთებთ, მხოლოდ საშუალო წლიური მონაცემებით ან ინდექსით, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმი მდებარეობს ირიბი წვიმების ინტენსიური ზემოქმედების პირობებში, ხოლო მამისონის უღელტეხილზე შენობები არ განიცდიან მნიშვნელოვან ზემოქმედებას. მაქსიმალური თვიური ნალექების რაოდენობის შედარება ვერტიკალურ ზედაპირზე გვიჩვენებს, რომ მამისონის უღელტეხილზე შენობები ამ შემთხვევაში განიცდის ირიბი წვიმების ძლიერ ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, ირიბი წვიმების მაქსიმალური თვიური რაოდენობა უფრო მეტად ასახავს შენობებზე ირიბი წვიმების ზემოქმედების ინტენსიურობას, ვიდრე საშუალო წლიური მონაცემები. მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ირიბი წვიმების მაქსიმალური თვიური რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე იცვლება ფართო საზღვრებში 15 მმ-დან (აბასთუმანი-15 მმ) 300-მმდე (ბათუმი-300 მმ).

კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში ირიბი წვიმების მაქსიმალური თვიური რაოდენობა იცვლება ძირითადად 100-დან 200 მმ-მდე. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ აჭარაში მოდის ნალექების მაქსიმალური რაოდენობა არა მარტო საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიისათვის. ამით აიხსნება ამ რეგიონებში ირიბი წვიმების დიდი რაოდენობა.

აფხაზეთის ზოგიერთ პუნქტებში შენობის კედლები უმნიშვნელოდ ნესტიანდება (გალი, ოჩამჩირე), ამიტომ ამ რაიონებში შესაძლებელია გამოვიყენოთ უფრო მარტივი კონსტრუქციული გადაწყვეტები. ხოლო ისეთ პუნქტებში, როგორც არის გაგრა, სოხუმი, ლესელიძე, სადაც ირიბი წვიმების მაქსიმალური თვიური რაოდენობა აჭარბებს 50 მმ-ს, შენობის კედლები ზომიერად ტენიანდება და აქ აუცილებელია მივიღოთ წვიმისგან დამცავი სპეციალური ზომები. იმ რაიონებში, სადაც ირიბი წვიმების მაქსიმალური თვიური რაოდენობა 80 მმ-ზე მეტია, აუცილებელია გამოვიყენოთ ნყალსარინი მონყობილობები.

ცხრილი 3. 5. ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოსული ნალექების H_g შედარება ირიბი წვიმის მახასიათებლებთან (I, H_v, H_{vmax})

Table 3. 5. Comparison of precipitation falling on the horizontal surface H_g with characteristics of indirect rain (I, H_v, H_{vmax})

სადგურის დასახელება	ნალექების წლიური რაოდენობა (მმ)		ირიბი წვიმის ინდექსი m^2mm^{-1}	ირიბი წვიმის მაქსიმალური თვიური რაოდენობა (მმ) H_{vmax}
	H_g	H_v		
ბათუმი, შუქურა	2360	1120	5.0	136
მამისონის გადას.	246	260	1.13	85
შეფარდება	9.6	4,4	4,4	1,6

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ ქართლის რაიონებში, ირიბი წვიმების საშუალო თვიური რაოდენობა მცირდება და იცვლება შემდეგ ფარგლებში 15-50 მმ. ახალქალაქის და გარდაბნის რაიონებში ირიბი წვიმების რაოდენობა აღწევს თავისი მნიშვნელობების მინიმუმს – მთელი საქართველოს ტერიტორიაზე (15-20 მმ). ეს აიხსნება იმით, რომ ამ რაიონში ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოდის ნალექების მცირე რაოდენობა, ხოლო ქარები დაიკვირვება არაწვიმიან დღეებში.

ალაზნის ველზე და კახეთის მთელ რიგ რაიონებში ირიბი წვიმების მაქსიმალური საშუალო თვიური რაოდენობა აღწევს 50 მმ, რაც გამონვეულია ნალექების რაოდენობის გაზრდით, რომელიც მოდის ჰორიზონტალურ ზედაპირზე. ეს განპირობებულია ადგილის სიმაღლის და ჰაერის მასების კონვერგენციის გაზრდის გამო. აქედან გამომდინარეობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ ქართლ-კახეთის ზონაში, შენობის კედლები განიცდის ირიბი წვიმების უმნიშვნელო შემოქმედებას. ამიტომაც არ არის საჭირო წვიმისაგან დამცავი მოწყობილობები.

იმისთვის, რომ დაგვედგინა, შესაბამება თუ არა ქართა ვარდული ნებისმიერი ამინდის პირობებში ქართა ვარდულს წვიმიანი ამინდის დროს, საქართველოს რამდენიმე პუნქტისათვის გაკეთდა ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმეორებადობის გამოთვლები წვიმის მოსვლის დროს. ეს პუნქტები იმყოფება სხვადასხვა კლიმატურ პირობებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამახასიათებელია ნებისმიერი ამინდის პირობებში განსაზღვრული მიმართულების ქარი, მკვეთრად არის გამოსახული ქარის მიმართულება წვიმის მოსვლის დროსაც.

თუ გავაკეთებთ მონაცემების ანალიზს, დავრწმუნდებით, რომ ირიბი წვიმების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მაგალითად, ქ. თბილისისთვის და ქ.

ფოტოსინთეზის, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთიმეორისგან. უხეში შეფასებით, თბილისში ირიბი წვიმების რაოდენობა 10-ჯერ მცირეა, ვიდრე ფოთში (55 მმ – 550 მმ). ცხადია, რომ ამ პუნქტებში შენობის კედლები განიცდის ირიბი წვიმების სხვადასხვა ზემოქმედებას.

იმისდა მიუხედავად, რომ დასავლეთ საქართველოს ისეთი პუნქტები, როგორცაა, ბათუმი, გაგრა, გალი, იმყოფება სამშენებლო კლიმატოლოგიის ნორმებისა და წესების მიხედვით ერთ IV < კლიმატურ რაიონში, შენობის კედლები აქ განიცდის სხვადასხვანაირ დანესტიანებას ირიბი წვიმების ზემოქმედების შედეგად. ირიბი წვიმების წლიური რაოდენობა ქ. ბათუმში აღწევს 840 მმ-ს, ხოლო გაგრაში შენობის კედლები შედარებით ზომიერად ტენიანდება და მათი წლიური რაოდენობა არ აღემატება 480 მმ-ს.

ირიბი წვიმების უდიდესი რაოდენობა დაიკვირვება ქ. ფოთში – 1120 მმ, შემდეგ ქ. ბათუმში 840 მმ. ნალექების უდიდესი რაოდენობა მოდის ჰორიზონტალურ ზედაპირზე ბათუმში, ხოლო ვერტიკალურზე – ფოთში, რაც ამ უკანასკნელში ძლიერი ქარების ზემოქმედებით აიხსნება.

იმისთვის, რომ გადავწყვიტოთ მთელი რიგი სამშენებლო ამოცანები, ვერძოდ, ლაბორატორიულ პირობებში წვიმისგან დამცავი ხელსაწყო რეჟიმის მუშაობა, აუცილებელია ვიცოდეთ წვიმის წვეთების დაცემის დახრის კუთხე და აზიმუტი მოცემული ქარის სიჩქარის და წვიმის ინტენსიურობის დროს.

ამ სამუშაოს ჩატარებისას საქართველოს სხვადასხვა პუნქტისათვის იქნა განსაზღვრული $\frac{H_v}{Hg}$ შეფარდება, რომელიც ძირითადად ქარის სიჩქარეზეა

დამოკიდებული და ახასიათებს წვიმის წვეთის ტრაექტორიის დახრის კუთხეს.

მიღებული შედეგების ანალიზმა უჩვენა, რომ როცა ქარის სიჩქარე დიდია, დაიკვირვება დიდი დახრის კუთხეც, რაც განაპირობებს $\frac{H_v}{Hg}$ შეფარდების

მაქსიმუმს ამ პირობებში, როცა ქარის სიჩქარეა 4-5 მ/წმ, დახრის კუთხე გახდება დაახლოებით 45° .

ამრიგად, შენობის დაპროექტებისას და ირიბი წვიმების მოდელირებისას ლაბორატორიულ პირობებში, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ არახელსაყრელი ორიენტაციით ირიბი წვიმების მაქსიმალურ რაოდენობას თან ახლავს მათი მაქსიმალური ხანგრძლივობა.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური წინაფრების (ეკრანების) გაანგარიშებისას საანგარიშოდ მიიღება ის დახრის კუთხე, რომელიც შეესაბამება მაქსიმალური წვიმის განმეორებადობას 20 წელიწადი ერთხელ. პუნქტებისთვის: ფოთი, გაგრა, სოხუმი და თბილისი განსაზღვრულ იქნა წვიმის წვეთების ტრაექტორიების დაცემის კუთხეები სხვადასხვა ორიენტაციის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ დაცემის კუთხეები არახელსაყრელი ორიენტაციების მიხედვით და გასაშუალოებული ყველა მიმართულების მიხედვით ერთმანეთს პრაქტიკულად ემ-

თხვევა. ამის გამო გასაშუალოებული მნიშვნელობები მიიღება, როგორც საანგარიშო.

სამშენებლო ამოცანების გადაწყვეტისას აუცილებელია აგრეთვე განსაზღვრულ იქნეს ირიბი წვიმების რაოდენობა თითოეულ რაიონში გარკვეული ხანგრძლივობის პერიოდისათვის – (თვე და წლის წვიმიანი პერიოდი).

შენობების ანაკრებ ელემენტებს შორის აღინიშნება გაჟონვები, რაც ამცირებს შენობების საექსპლუატაციო დონეს და ზოგიერთ შემთხვევაში მათ ნაადრევ დანგრევასაც კი იწვევს. სამშენებლო რაიონის კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული უშუალოდ გაჟონვების წარმოქმნა შენობებში. ამიტომ შენობებზე ქარის და წვიმის ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი უნდა გათვალისწინებულ იქნეს შენობების დანესტიანებისაგან დასაცავად.

არსებობს ირიბი წვიმების გაანგარიშების როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული მეთოდი. ირიბი წვიმების გაანგარიშების თეორიული მეთოდი მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე მიმდინარეობს. თეორიული მეთოდი ეყრდნობა დაკვირვებების მონაცემების (ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოსული თხევადი ნალექების რაოდენობა, ნალექიან დღეთა რიცხვი, ნალექის ხანგრძლივობა და ქარის სიჩქარე) სტატისტიკურ დამუშავებას.

საქართველოს რთული ოროგრაფიული და კლიმატური პირობები განაპირობებს ირიბი წვიმების განაწილებათა თავისებურებებს კლიმატური ზონების მიხედვით.

აჭარის სანაპირო ზოლში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ირიბი წვიმების ინტენსივობა და თვეში მისი რაოდენობა აღწევს 200-300 მმ-ს, ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნეს შენობების ირიბი წვიმებისაგან დაცვის მეთოდები.

დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ნაწილი ირიბი წვიმების ზემოქმედების ზომიერ ზონას მიეკუთვნება. შედარებით უმნიშვნელოა ირიბი წვიმების ზემოქმედება სამხრეთ საქართველოს მთიანეთსა და აღმოსავლეთის ვაკე რაიონებში.

სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები გაითვალისწინება ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების არქიტექტურული დაგეგმარებისას, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, კონსტრუქციების მასალების შერჩევის, გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების, ასევე, წყალმომარაგების დაგეგმარების დროს.

კლიმატის ცვლილების ფონზე აუცილებელი გახდა ასეთი პარამეტრების მიხედვით გათვლილი ძველი ნორმების განახლება, მით უფრო, რომ საშუალო კლიმატური სიდიდეების მცირე ვარიაცია დაკავშირებულია ექსტრემალური პარამეტრების უფრო ინტენსიურ ცვლილებებთან. გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

ტერიტორიის ძირითად ნაწილში ჭარბობს დათბობის ტენდენცია;

უმნიშვნელო აგრილება აღინიშნება დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს რაიონებში;

ცვლილების ტენდენცია ნიშნავდა თბილი პერიოდის ტემპერატურული ინდექსებისთვის, ხოლო გასათბობი (ცივი) პერიოდის მახასიათებლების ცვლილება უმეტეს შემთხვევაში ტრენდებით არ დასტურდება;

ყველაზე მდგრადი დადებითი ცვლილებები აღინიშნება კონდიციონების პერიოდის გრადუს-დღეებისთვის (cddcold), ddcold მაშინ როცა გათბობის პერიოდის გრადუს-დღეების ცვლილებები (hddheat) ddheat არამდგრადი ხასიათისაა. შედეგები ადასტურებს საშუალო კლიმატური პარამეტრებით გამოვლენილ ზაფხულის დათბობის ტენდენციას.

თავი 4.

სტიქიური აბიოსფერული მოვლენები

საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები არის ამინდის ისეთი პროცესები, რომლებიც მათი ინტენსივობით, ხანგრძლივობითა და წარმოქმნის დროით საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას (ხშირად მათ არსებობასაც კი) და ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს. ასეთ მოვლენებს მიეკუთვნება ძლიერი და გრიგალისებრი ქარი, ტორნადოები, შვავალი, ელჭექი, სეტყვა, ქარბუქი, თქეში წვიმა, ნისლი, მტვრიანი ქარიშხალი, ანომალური სიცხე, ლიპყინული, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხილვადობის ცვლილება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში, ამა თუ იმ ხარისხით, თითქმის ყველა ჩამოთვლილი საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენა დაიკვირვება, მათ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ამ კვლევებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან არ არის გამორიცხული მომავალში ამ ცვლილებების გამო არაერთი NH-ის გაძლიერება. გარდა ამისა, ზოგიერთი NH-ის გააქტიურებამ მომავალში შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი საშიში ბუნებრივი პროცესების ზრდას, როგორიცაა მენყერი, ღვარცოფები, თოვლის ზვავები, წყალდიდობები და გვალვები, ნიადაგის ეროზია, ჰაერის დაბინძურება და ა.შ. მეორე მხრივ, გარკვეული ტიპის NH-ის (მაგალითად, ძლიერი ქარი, ხანგრძლივი წვიმა, თოვა) შეიძლება ასევე შემცირდეს მომავალში, ხელს უწყობს ისეთი არახელსაყრელი ბუნებრივი პროცესების ზრდას, როგორიცაა გვალვა, ჰაერის დაბინძურება და ა.შ.

ქართველმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს არაერთი ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა ჩამოთვლილ საშიშ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებს. კერძოდ, ნაშრომში [260] მოცემულია საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების მონაცემების შედარებითი ანალიზი. [3,270] განახლებული მონაცემების გამოყენებით წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი მეტეოროლოგიური მოვლენების დეტალური ანალიზი. [219] 12 სახის სტიქიური კატასტროფების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ტერიტორიაზე შედგენილ იქნა მათი საშიშროების რუკები, განხორციელდა გვალვის, ქარიშხლების, სეტყვის, ყინვების, წყალდიდობებისა და მიწისძვრების ეკონომიკური ზარალის შეფასება და ა.შ.

ნაშრომში [27] ავტორი გვანჯდის ზოგად ინფორმაციას სტიქიური უბედურებების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გეოფიზიკური კატასტროფების აღწერას (მათ შორის საქართველოში), სამხედრო მიზნებისთვის მათი ხელოვნური ინიცირების შესაძლებლობას, პრევენციულ

ზომებსა და მეთოდებს, რათა შემცირდეს მათი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის გარემოზე.

გრძელდება ძლიერი და გრიგალისებრი ქარის და ტორნადოების შესწავლა [87,89,100,101,142], ქარბუქი [189], წყალდიდობა [74,90], თოვლი და ზვავი [88] საქართველოში.

ნალექების გაზრდა გამოწვეულია მზის ნაწილაკების შემოსვლით ატმოსფეროს დაბალ ფენებში, რომლებიც ამავედროულად ახშობენ კოსმოსურ სხივებს, რაც ამცირებს ღრუბლის საფარს. თუმცა, მიუხედავად ამისა, იმდენად ბევრი ნაწილაკი შემოიჭრება მზიდან, რომ ამ დანაკლისს აკომპენსირებს და ეს ნაწილაკები მოქმედებენ, როგორც კონდენსაციის ან კრიტალიზაციის ბირთვები. ასევე, გასათვალისწინებელია მათი ურთიერთქმედება ატმოსფეროში სხვადასხვა მოლეკულებთან, როდესაც მოხდება ამ მოლეკულებით მათი ჩაჭერა და წარმოიქმნება დიდი რაოდენობით ახალი ნაერთები. თან ამ ნაწილაკების დედამიწის მაგნიტური ველის გავლენა მათ აჩქარება/შენელებას გამოიწვევს, რაც ამ ურთიერთქმედებებს კიდევ უფრო გაართულებს [212,214,215].

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ამინდის პროგნოზისთვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პრედიქტორი, პროგნოზის შედგენამდე მისი დაზუსტებისთვის.

ამინდისა და კლიმატის ცვლილების მოდელები და სამომავლო სცენარები

ამინდის მოკლევადიანი პროგნოზირების მეთოდის შემუშავების დროს უაღრესად მნიშვნელოვანია საწყისი ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინება საპროგნოზო მოდელებში. ამინდის პირობების გრძელვადიანი განვითარება უშუალოდაა და მოკიდებული გლობალური ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების განვითარებასთან. ამიტომ, გასაგებია, რომ ამინდის საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება გლობალური ცირკულაციური პროცესების დინამიკის შესწავლაზე და, პირველ ყოვლისა კი, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის სექტორში. გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მათ შორის საქართველოში, ამინდის პირობების გრძელვადიანი ჩამოყალიბება ხდება სწორედ აღნიშნულ სივრცეში (სექტორში), დაფიქსირებული ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების ფონზე. ამასთან ერთად, ამ სექტორში აღნიშნული განსხვავებული ტიპის ცირკულაციური პროცესების რაოდენობა არ აღემატება 7-ს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცალკეული გლობალური ცირკულაციური მექანიზმების (ტიპების) განვითარების შემთხვევებში საქართველოს ტერიტორიაზე საქმე გვაქვს ერთმანეთისგან განსხვავებული ამინდის პირობების ჩამოყალიბებასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მიმდინარე პერიოდში დადგინდება რომელიმე კონკრეტული გლობალური ცირკულაციური მექანიზმის (ტიპის) განვითარების ტენდენცია ზემოთაღნიშნულ სექტორში. ამინდის პირობების ნებისმიერი ვადით პროგნოზირების მიზნით ძალზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების ანალიზს, რომელთა განვითარების მოცემულ კონკრეტულ ფონზე ხდება ამინდის პირობების ჩამოყალიბება საპროგნოზო ტერიტორიაზე. ტრადიციულად, ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების ანალიზი ხორციელდება პროგნოზის მიერ ამინდის რუკებზე წარმოდგენილი მეტეოროლოგიური ველების ვიზუალური შეფასების საფუძველზე, რაც, ბუნებრივია, ატარებს სუბიექტურ ხასიათს და არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ცალსახად იქნეს დაფიქსირებული ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების დინამიკა, ეს კი შემდგომში ნეგატიურ ასახვას პოულობს ამინდის შედგენილი პროგნოზების ხარისხზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პროგნოზისტები ყოველთვის ეძებდნენ გამოსავალს ამ შექმნილი მდგომარეობიდან. კერძოდ, დღის წესრიგში ყოველთვის იდგა შესაბამისი ინდექსების, პარამეტრების შემუშავების საკითხები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების განვითარების

ობიექტური შეფასებისა. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს საკმაოდ მარტივი საკითხი შეიძლება სინამდვილეში ძალზე რთული აღმოჩნდეს. ამიტომ აღნიშნული საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ატმოსფერული ცირკულაციური პროცესები ხასიათდება განსხვავებული მასშტაბურობით, მათი სივრცითი განაწილება გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდიან დროში და ა.შ

ღრუბლებზე დაკვირვების სისტემები

კლიმატის პარამეტრებზე დაკვირვება ტროპოსფეროსა და სტრატოსფეროს ქვედა ფენებში აღწერს ატმოსფეროს ნაწილს, სადაც მიმდინარეობს ამინდისა და კლიმატის მათორმირებელი დინამიკური და ქიმიური პროცესები. ამ პარამეტრების გაზომვების მონაცემები მნიშვნელოვანია საპროგნოზო მოდელებში, ასევე თანამგზავრულ-მინისპირა გაზომვების ვალიდაციისათვის ვერტიკალური პროფილის დასაზუსტებლად. მოდელური პროგნოზები კლიმატის ცვლილების შეფასებაში დამოკიდებულია ყოველი გაზომვის სტაბილურობასა და სიზუსტეზე, ასევე მათ სივრცულ და დროით დაფარვაზე.

ღრუბლის საერთაშორისო თანამგზავრული კლიმატოლოგიური პროექტი (ISCCP) ახორციელებს კლიმატური მონაცემების შეგროვებას ხილულ და ინფრანითელ სპექტრში, ესენია: ღრუბლის მახასიათებლები, რადიაციული მახასიათებლები და აეროზოლები. აპირებს ფუნქციონირება გააგრძელოს 2010 წ. ივლისამდე. 2010 წ. დამთავრდება მონაცემთა პროდუქტის გადამუშავება 10 კმ-იანი დისკრეტული რადიანსის გამოყენებით ნაცვლად 30-კმ-იანისა [127,129,130,131].

2006 წ. გაუშვეს Cloudsat და CALIPSO თანამგზავრები [156,165], რომლებმაც ახლებურად წარმოაჩინეს ღრუბლის სამგანზომილებიანი თვისებები, ღრუბლის ფაზის (თხევადი/მყარი) და ღრუბლის აეროზოლური ურთიერთქმედება. Cloudsat რადარმა და CALIPSO დააახლოებით სამი წელი იფუნქციონირეს. მათ გარდა კიდევ EarthCARE თანამგზავრი მოამზადეს ორი მოქმედი ზონდით (ლიდარი და რადარი) და ორი დამხმარე ხელსაწყოთი (მულტისპექტრალური პროექტორი და ფართო დიაპაზონიანი რადიომეტრი). მათი გაშვება იგეგმება 2013 წ. EarthCARE მიზანია სხვადასხვა ტიპის ღრუბლის ვერტიკალური პროფილებისა და აეროზოლების პარამეტრების უზრუნველყოფა [139,140,146].

ასევე დაიწყო იაპონიის გლობალური ცვლილების დაკვირვების მისიათა (Japanese Global Change Observation Mission GCOM) სერია. მეორე თაობის გლობალური პროექტორი (Second Generation Global Imager SGLI on GCOM)-ზე დააკვირდება გლობალურ ღრუბლებს და აეროზოლების თვისებებს და შეასრულებს აეროზოლების პოლარიმეტრულ დაკვირვებებს. GCOM-ზე დამონტაჟებული იქნება გაუმჯობესებული მიკროტალღური მასკანირებელი

რადიომეტრი-2 (AMSR-2) წყლის ორთქლის, ღრუბლის თხევადი ფაზისა და ნალექებზე დასაკვირვებლად [221,222,223,224].

აშშ ატმოსფეროს რადიაციული გაზომვების (Atmospheric Radiation Measurement) პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს ღრუბლის სამგანზომილებიანი თვისებების აქტიური გამოკვლევები მინისპირა ხელსაწყოებით. მაგ. ღრუბლის ტომოგრაფია ხდება მიკროტალღური სენსორის საშუალებით, რათა დადგინდეს ღრუბლის წყლის სივრცული ცვალებადობა რამდენიმე ათეული მ. ვერტიკალურად და რამდენიმე ასეული მ. ჰორიზონტალური მიმართულებით. ARM ასევე იკვლევს მინისპირა და თანამგზავრული დაკვირვებების კომბინაციას ღრუბლის თვისებების დასადგენად.

ასევე მოქმედებს ევროპის CLOUDNET პროექტი, რომელშიც ღრუბლის დოპლერის რადარი, ცვილომეტრი ან დოპლერის ლიდარის გაზომვები ჯგუფდება ღრუბლის ფაზის და ღრუბლის წვეთების ზომების მისაღებად.

კოსმოსური სააგენტოების მიერ ხორციელდება სხვადასხვა ხელსაწყოების ფუნქციონირება, რათა მიიღონ ხილულ და ინფრანითელ უბნებში კლიმატური მონაცემები [225].

კალიფორნიის ლიდარის თანამგზავრი უზრუნველყოფს აეროზოლების და ღრუბლების ვერტიკალურ პროფილებს გლობალურ მასშტაბში. ლიდარის მონაცემები საშუალებას იძლევა ღრუბლების შემადგენლობის განსაზღვრისა, აეროზოლების გავრცელების და ზომების დადგენისა და ღრუბლების და აეროზოლების სიმაღლეების და გავრცელების განსაზღვრისა. თანამედროვე თანამგზავრები იძლევიან არა მარტო დეტალურ ვიზუალურ გამოსახულებებს, არამედ მონაცემებს ატმოსფეროს ტემპერატურაზე, ტენზომცველობაზე, ტენის პროფილებსა და გარემოს ცვლადებზე. CloudSat გამოყენება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობებს ღრუბლებზე დაკვირვებაში. მისი საშუალებით შეიძლება დადგინდეს ღრუბლის წვეთებისა და ყინულის კრისტალების ზომები. მისი საშუალებით შეიძლება ღრუბლის ვერტიკალური სტრუქტურისა და ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა, ასევე იძლევა ღრუბლის სისქის მონაცემს. მისი საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს:

- ღრუბლის სიმაღლე,
- შენონილი ნაწილაკების ზომები,
- ღრუბლის ფიზიკური სტრუქტურა,
- ღრუბლის საფარის გავრცელება,
- ღრუბლის წვიმისა და ყინულის რაოდენობა,
- სხვადასხვა სიმაღლეზე ღრუბლების ურთიერთგადაფარვის გავრცობა.

CloudSat მისია აგროვებს მონაცემებს ღრუბლების შესახებ Cloud Profiling Radar (CPR) (NASA FACTS, 2003) (ღრუბლის პროფილის რადარი) ინსტრუმენტის საშუალებით, რადგან ღრუბლები მცირედ არის შესწავლილი კლიმატურ და ჰიდროლოგიურ ციკლში. მათი შესწავლის გარეშე ამინდის პროგნოზირება და კლიმატის მოდელირება, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება.

ღრუბლებს აკვირდებოდნენ მინიდან და ახლა შესაძლებლობაა მისი ზემოდან დაკვირვებისა. აქამდე მისი შიგნიდან შესწავლის შესაძლებლობა არ არსებობდა. CloudSat რადარი არის სპეციალური ტიპის მოქმედი მიკროტალღური რადარი (94 GHz), რომელიც, უზრუნველყოფს ღრუბლის თვისებების გლობალურ გამოკვლევას, ღრუბლის მოდელირების და ამინდის პროგნოზის სიზუსტის გასაუმჯობესებლად. იგი იძლევა ღრუბლის ფიზიკური მახასიათებლების ვერტიკალურ განაწილებას, წყლის, ყინულის შემცველობისა და ღრუბლის ოპტიკური სიღრმის ჩათვლით. CloudSat მისია მოიცავს კანადას და მის ინდუსტრიულ პარტნიორს – ბელის აეროსივრცის და ტექნოლოგიების კორპორაციას, ასევე კოლორადოს უნივერსიტეტს, კანადის კოსმოსურ სააგენტოს, აშშ საჰაერო ძალებს, გოდარდის კოსმოსური ფრენის ცენტრს, მეცნიერებს საფრანგეთიდან, ინგლისიდან, იაპონიიდან და კანადიდან.

ყველა ეს მახასიათებელი უმნიშვნელოვანესია კლიმატისა და ამინდის პროგნოზირებისათვის. ღრუბლის წყალი უმნიშვნელოვანესი ფიზიკური პარამეტრია, რომელიც კავშირს ამყარებს კლიმატური სისტემის ჰიდროლოგიურ და რადიაციულ თვისებებს შორის. ღრუბლები სხვადასხვა ზომისა და ფაზის ჰიდროსხეულებს შეიცავენ, როგორცაა დიდი ზომის ნალექების ნაწილაკები, მცირე ზომის ღრუბლის ელემენტები ან თხევადი და მყარი ყინულის ფაზები. თხევადი და მყარი კონდენსატების შესახებ იმფორმაცია გადამწყვეტია მოდელირებაში. კლიმატური მოდელირებისთვის ღრუბლის წყლის ფორმაციების დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე პასიური თანამგზავრული სენსორი ორი სხვადასხვა მეთოდით იღებს ღრუბლის წყლის ფორმაციებზე ინფორმაციას. მიკროტალღური მიდგომა შემოსაზღვრულია ოკეანეების არეებით, მაგრამ მიიღება დღისითაც და ღამითაც, ზომავს სიკაშკაშის ტემპერატურას სხვადასხვა სიხშირეზე. ოპტიკური მეთოდი გამოიყენება, როგორც ხმელეთზე ისე წყალზე, მაგრამ მხოლოდ დღისით, ზომავს ღრუბლის წვეთების ეფექტურ რადიუსს, ოპტიკურ სისქეს. ამ ორი მეთოდით გაზომილი სიდიდეების შედარებამ აჩვენა, რომ ისინი საკმაოდ თანხვედრიან ერთმანეთს თბილი ღრუბლებისთვის. ხოლო ნალექწარმოქმნელი ღრუბლებისთვის კი, სამწუხაროდ, განსხვავდებიან, რაც აიხსნება მათში წვიმის ან ყინულის არსებობით. ამიტომ მათი პირდაპირი გამოყენება მოდელებში, სამწუხაროდ, არ შეიძლება, თუმცა მათი დაზუსტებული მნიშვნელობების მიღება სავსებით შესაძლებელია.

პარამეტრიზაციის პრობლემები

კლიმატის, ამინდის პროგნოზირებისა და ატმოსფერული პროცესების მოდელელებში მნიშვნელოვანია ღრუბლების გავლენის გათვალისწინება ატმოსფეროსა და დედამიწის ზედაპირზე. ცირკულაციისა და ამინდის რიცხვითი პროგნოზირების მოდელეები იყენებენ ჰიდროდინამიკური განტოლებების რიცხვით სქემებს. ღრუბლის აღმწერი უწყვეტი დიფერენციალური განტოლებები

სხვადასხვა სივრცულ-დროითი რიგისაა. ღრუბლის დინამიკის აღმწერი განტოლებები უფრო დაბალი რიგისაა, ვიდრე გლობალური ატმოსფერული მოდელები. ჩვეულებრივ, ჰორიზონტალური ბიჯი გლობალურ მოდელში 50 კმ-ია, ხოლო რიცხვითა პროგნოზის მოდელში - 250 კმ. ამ მასშტაბზე დაბალი რიგის პროცესები ქვებადურ პროცესებში გადადის და არ არის ჩართული საბოლოო გამოთვლებში. თუმცა ეს პროცესები ძლიერად მოქმედებენ ატმოსფეროს თერმო და ჰიდროდინამიკაზე. რადგან ამ ქვებადურ პროცესებს ეკრძალება დეტალური აღწერა, ამიტომ მათი მხოლოდ სტატისტიკური გავლენა გაითვალისწინება ბადურ დონეზე. ამ ტექნიკას პარამეტრიზაცია ეწოდება [9].

ღრუბლები წრმოიქმნება იქ, სადაც კუთრი სინოტივე აჭარბებს გადაჯერების სიდიდეს, რაც ხდება, თუ არსებობს საკმარისი რაოდენობის ღრუბლის კონდენსაციის ბირთვები. მოდელში კი გარკვეული ბადის უჭრები გადაჯერებული აღმოჩნდება სხვებზე ადრე. ამით აღმოჩნდება, რომ ღრუბლები წარმოიქმნება უჭრედებში, ვიდრე ბადის საშუალო სინოტივე 100%-ს გადააჭარბებს. ღრუბლის ფრაქციის სხვა გათვალისწინება ისაა, რომ უნდა არსებობდეს განაწილება ლოკალური გაჯერების წერტილიდან მოდელის ბადის უჭრაში. ამით მოხდება ტემპერატურის და სინოტივის ვარიაცია მათი საშუალო მნიშვნელობიდან [206,211].

ერთ-ერთი მიკროფიზიკური პროცესი, რომელიც ყველა პარამეტრულ სქემაში აღინერება, არის კონდენსაცია. ის ორი პროცესის აღწერას მოითხოვს: ღრუბლის ნაწილაკების ნუკლეაციას და მათ კონდენსაციურ ზრდას წყლის ორთქლის ხარჯზე.

ადრეულ ზოგად ცირკულაციურ მოდელებში ლატენტური სითბური ეფექტი კონდენსაციურ პროცესებში გაითვალისწინებოდა. კონდენსაციის სქემის იდეა იყო ის, რომ ნებისმიერი გადაჯერებული მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნებოდა უჭრედის მასშტაბით, მაშინვე ნალექად ჩათვლილიყო. ამიტომ მოდელი აღწერდა არა ღრუბელს, არამედ ნალექის გამოყოფას. იგივე სქემა გამოიყენებოდა კონვექციისთვისაც. ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი გაჯერებულ უჭრედში არ უნდა ყოფილიყო ნოტიო ადიაბატურზე მეტი. ნებისმიერი კონდენსატი ასევე ნალექად იყო ჩათვლილი. რადგან ყველა კონდენსატი ნალექად ითვლებოდა და მოდელიდან ვარდებოდა, მიკროფიზიკის აღწერაც საჭირო აღარ ხდებოდა. ასე რომ, ადრეული კლიმატის გლობალური მოდელები აღწერდნენ მხოლოდ კონდენსაციის პროცესს და არა ღრუბლის ურთიერთქმედებას.

როგორც აღმოჩნდა, ღრუბლის რადიაციულ ეფექტებს შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციაში. ღრუბლის პარამეტრიზაციის მეორე თაობა დამიზნული იყო მოდელის ცვლადებისა და ღრუბლიანობის ურთიერთქმედებაზე. ეს მიიღწეოდა ღრუბლის ფრაქციის

პარამეტრიზაციით, როგორც ფარდობითი ტენიანობის ფუნქციისა. ეს მიდგომა 1980-მდე არ გამოიყენებოდა გლობალურ ცირკულაციურ მოდელებში.

ფარდობითი ტენიანობის სქემები ეყრდნობოდა კონცეფციას, რომ თუ ბადის საშუალო ფარდობითი ტენიანობა აჭარბებს კრიტიკულ მნიშვნელობას, დაახლოებით 80%, არსებობს ალბათობა, რომ ბადის რაღაც მოცულობამ მიაღწია გაჭერებას და დაიწყება ღრუბლების წარმოქმნა. თუ ბადის საშუალო ფარდობითი ტენიანობა მიაღწევს 100%, მაშინ ბაღე მთლიანად ღრუბლითაა დაფარული. კონვექციის უფრო რთული პარამეტრიზაცია ღრუბლებს კონვექციურად წარმოქმნიდა. ეს მიიღწეოდა ღრუბლის ფრაქციის გაერთიანებით კონვექციით წარმოქმნილ ნალექებთან და ისევ მიენერებოდა კონდენსაციას. ღრუბლის პარამეტრიზაციის ამ ტიპს დიაგნოსტიკური ეწოდა. დიაგნოსტიკური მიდგომის მთავარი სიძნელე ღრუბლის ლატენტური სითბური ეფექტისა და რადიაციული ეფექტების დაუკავშირებლობაა. სანდკვისტმა შემოიტანა დამატებითი პროგნოზული მოდელი ღრუბლების კონდენსატისთვის, რომელიც გამოიყენებოდა ღრუბლების მოდელირებისთვის. ის ზუსტად წინასწარმეტყველებდა წარმოქმნილი კონდენსატის რაოდენობას, რითაც შესაძლებელი იყო ღრუბლის რადიაციული ეფექტის დაკავშირება რადიაციასთან. ხოლო ღრუბლის ფრაქცია იყო უჭრედის საშუალო ფარდობითი ტენიანობის ფუნქცია, რომელზეც კონდენსაციის პროცესს უკვე ჰქონდა გავლენა. სანკვისტის პარამეტრიზაციასთან ერთად წარმოიშვა მეორე მიდგომა, რომელიც ეყრდნობოდა ახალ იდეებს, რომლებიც მაღალი რეზოლუციის ბაღეებში გამოიყენებოდა. ქვებადურ დონეზე ღრუბლის არსებობა მოითხოვს, რომ ტენიანობა და მისი გაჭერებულობის სიდიდე რაღაცნაირად იყოს განაწილებული უჭრედის საშუალო მნიშვნელობის მიმართ. განაწილების ალბათობის ფუნქციის ცოდნა საკმარისია ღრუბლის ფრაქციისა და კონდენსაციის აღწერისთვის უჭრედში. ზოგადად ამას იყენებენ ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლადების გაერთიანებული განაწილების ალბათობის ფუნქციის მიმართ.

1990 წლის დასაწყისში წარმოიქმნა ღრუბლის პარამეტრიზაციაში ახალი მიდგომა, რომელშიც ღრუბლის კონდენსაციის განვითარების დრო და ღრუბლის ფრაქცია აღინერებოდა პროგნოსტული განტოლებებით. ამას საფუძველი ჩაუყარა ტიდკემ. სრულ პროგნოსტულ მიდგომაში უჭრედის საშუალო კონდენსატის და ღრუბლის ფრაქციის ნაცვლად შემოდის ალბათობის სიმკვრივის ფუნქციის მომენტები, როგორც პროგნოზული მოდელის ცვლადები და ღრუბლის შესაბამისი პარამეტრები გამოითვლება განაწილების ალბათობის ფუნქციიდან.

ორივე მიდგომის მთავარი პრობლემა კვლავ რჩებოდა: ისინი ვერ ჩართავდნენ ღრუბელს, როგორც კონვექციის პროცესის შედეგად წარმოქმნილს. მრავალი მიდგომა განვითარდა. ყველაზე გავრცელებული, რომელიც სქემებში გამოიყენებოდა, კონდენსაციის აღწერისთვის თხევადი სითხის წყაროდ

განიხილავდა კონვექციური აღმავალი ნაკადით შეტაცებულს. ეს შეტაცება კი სხვადასვა სქემაში სხვადასხვანაირად იყო განმარტებული.

მხოლოდ ახლახან ყურადღება მიექცა ღრუბლის მიკროფიზიკას. თუმცა ამან კიდევ წარმოქმნა სიძნელეები, რადგან გლობალური ცირკულაციური მოდელისა და მიკროფიზიკის მასშტაბები სხვადასხვანაირია. თანაც მიკროფიზიკური პროცესები არაანტიფიკა და მათი პარამეტრიზაცია მოითხოვს კონდენსაციის ლოკალური რაოდენობის ცოდნას. გცმ-ებში უჭრედის საშუალო კონდენსაციის მნიშვნელობაა ცნობილი. ამან მოითხოვა კიროფიზიკური კონსტანტების მნიშვნელოვანი ცვლილება, რათა არ მიეღოთ დიდი განუზღვრელობები კონდენსირებულ წყალსა და ნალექების რაოდენობებში. მიკროფიზიკის დეტალური აღწერა მოითხოვს ძალიან მოკლე დროით ბიჭებს. ასეთის გამოყენება კი გცმ და ამინდის რიცხვით პროგნოზებში აკრძალულია. მაღალი რეზოლუციის მოდელებში, დაიწყეს რთული და უფრო რეალური პარამეტრიზაციის გამოყენება.

გლობალურ მოდელებში, დაწყებული ამინდის რიცხვითი პროგნოზირებიდან, სემონური პროგნოზიდან და დამთავრებული კლიმატის მოდელირებამდე, თუმცა მრავალი მნიშვნელოვანი ატმოსფერული პროცესი, როგორცაა სასაზღვრო ფენის პროცესები, კონვექცია და ღრუბლის პროცესები, რჩება გადუჭრელი. საჭიროა ქვებადური პროცესების, როგორც ბადის მასშტაბის ცვლადების, ისე წარმოდგენა. ამ ტექნიკას პარამეტრიზაცია ეწოდება (სტენსრუდი 2007). როგორც მიწისპირა, ისე კოსმოსური დაკვირვებების სიტემებიდან მიღებულმა დაკვირვებებმა (აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის ატმოსფერული რადიაციის გაზომვების პროგრამა, 2003, ევროპული CLOUDNET ქსელი, 2007) დააგროვეს საკმარისი მასალა პარამეტრიზაციის სადარ პროცესებზე გასარკვევად. ამასთან ერთად მოდელირებაში მიღწეულმა წარმატებებმა უსაზღვროდ განავითარა პარამეტრიზაცია (გრანბოვსკი 2001, რენდალი 2003). მოდელების განვითარება რთული პროცესია. ამინდის და კლიმატის განვითარების პროგნოზირების იარაღები არის დედამიწა-ატმოსფეროს გლობალური სისტემის რიცხვითი მოდელები. ატმოსფერულ კომპონენტს, საერთოდ, ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაცია ეწოდება. ამ მოდელებს სჭირდება ატმოსფეროში არსებული ღრუბლების აღწერა. გცმ ხსნის კერძო წარმოებულ ან დიფერენციალურ განტოლებებს, რომლებიც მართავენ ატმოსფეროს მდგომარეობის განვითარებას დისკრეტულ ფორმაში, რადგან, ყოფენ ატმოსფეროს ფინიტური ზომის უჭრედებად. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიკროფიზიკური პროცესები მცირე მასშტაბისაა, მათი აღწერა მოითხოვს მოდელის რეზოლუციას, რამდენიმე ან უფრო მცირე მეტრს. თანამედროვე ტექნიკა გლობალურ მოდელებში ასეთ რეზოლუციას ვერ უშვებს. თანამედროვე გცმ-ს რეზოლუცია 50-დან 100კმ-მდეა, როცა გამოიყენება ამინდის გლობალური პროგნოზის სისტემაში და 200 კმ-ზე მეტი როცა გამოიყენება კლიმატურ მოდელებში. ამ რეზოლუციაზე ღრუბლები შეუძლებელია განიხილებოდეს. ტექნიკა, რომელიც ღრუბლებს

გცმ-ში შეიყვანს, არის პარამეტრიზაცია. პარამეტრები, რომლებიც ამოირჩევა ღრუბლის დასახასიათებლად, არის ღრუბლის დაფარვის არის ჰორიზონტალური ფრაქცია, ანუ ღრუბლის ფრაქცია და ღრუბლის საშუალო კონდენსაციის შემცველობა უჯრედში (არაკავა 1975) [9].

განხილული პარამეტრული სქემებიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთგანზომილებიან მოდელში შექმნილი პარამეტრული სქემები უფრო დაზუსტებულია მოყვანილ სქემებთან შედარებით, რაც მის გამოყენებას უფრო მიზანშეწონილს ხდის.

ღრუბელთა ფიზიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა არის საღრუბლო ნაწილაკების სპექტრის ფორმირება ნალექების გამოყოფით, ანუ საღრუბლო ნაწილაკების განაწილების ფუნქციის ცვლილება სივრცესა და დროში. ეს საკითხი დაკავშირებულია კოაგულაციის კინეტიკის განტოლების ამოხსნასთან და მის კავშირზე სხვადასხვა პროცესთან, რომლებიც ურთიერთგადაჭაჭვულია, რაც შესაბამისი კინეტიკის განტოლებების არაწრფივობაში გამოიხატება. გარდა ამისა საღრუბლო ნაწილაკების სპექტრის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ასევე ნალექწარმოქმნის თეორიისა და აქტიური ზემოქმედებისთვისაც. ამ პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეები ჩნდება იმის გამოც, რომ არასაკმარისად არის შესწავლილი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის, როგორც ანალიზური, ასევე რიცხვითი მეთოდები. კინეტიკური განტოლების ანალიზური ამოხსნები მიიღება მხოლოდ მცირე რაოდენობის განტოლებებისთვის, თუმცა მათი საშუალებითაც შეიძლება საკმარისი რაოდენობის მოვლენების ახსნა. ამასთან, ანალიზური ამოხსნები შეიძლება გახდეს ამოსავალი წერტილი ამ პრობლემის უფრო დეტალური შესწავლისა.

კონვექციური ღრუბლის სტრუქტურისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღება შეიძლება საღრუბლო ნაწილაკების სპექტრის განაწილებისა და მისი ინტეგრალური მახასიათებლების (კონცენტრაცია, წყლიანობა, ყინულიანობა) გამოკვლევით, ამასთან არ არსებობს ერთიანი შეხედულება ღრუბლის სრულ სტრუქტურაზე. კონვექციური ღრუბლების განვითარების თეორიის, მისი ურთიერთქმედების გარემოსთან და ნალექწარმოქმნის თეორიის განვითარებისთვის საჭირო ხდება ნალექწარმოქმნის მათემატიკური მოდელის შექმნა კოაგულაციის კინეტიკის ანალიზური და რიცხვითი მეთოდების სრულყოფასთან ერთად. ამასთან ანალიზური ამოხსნები გამოდგება როგორც დამოუკიდებლად ნალექწარმოქმნის მოდელისთვის, ასევე რიცხვითი მეთოდების განვითარებისთვისაც [20].

კონვექციური ღრუბლების წარმოქმნა, განვითარება და ნალექების ფორმირება მეტეოროლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემის შესწავლას მრავალი თეორიული და ექსპერიმენტალური გამოკვლევა მიეძღვნა. ამ გამოკვლევების შედეგები შეიძლება გამოყენებული

იყოს ამინდის პროგნოზირების ახალი მეთოდების შექმნისა და სრულყოფილ-სათვის. მაგალითად, რადიოლოკაციური მონაცემების გამოყენება ღრუბლიანობისა და ნალექების მოკლევადიანი პროგნოზირებისთვის, საშუალებას იძლევა ატმოსფეროს კონვექციის ისეთი საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თავიდან აცილებისა, როგორცაა, ძლიერი და თავსხმა წვიმა, სეტყვა, ქარიშხალი, მენყერი და სხვ.

ღრუბლის და ნალექწარმოქმნის მექანიზმების, ასევე თხევადი და მყარი ნალექების ფორმირების ეფექტურობის შესწავლა აუცილებელია ნალექწარმოქმნელი პროცესების ხელოვნური რეგულირების მეთოდების განვითარებისთვის, მძლავრი კონვექციის ღრუბლებში სეტყვის პროცესების შესუსტება-შეჩერებაში, ელექტრულ პროცესებზე ზემოქმედებაზე ღრუბლებში, ნისლის შექმნის ან გაფანტვისთვის ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში და სხვ.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევებისა, ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნელი პროცესების პრობლემა ჯერ კიდევ სრულად არ არის გადწყვეტილი. ამ პრობლემის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ღრუბლების, ასევე ნალექების წარმოქმნელი პროცესები სხვადასხვა ხასიათისა და სივრცულ-დროითი მასშტაბებისაა - მიკროფიზიკური პროცესებიდან (წყლის ფაზური გადასვლები, კონდენსაცია, კრისტალიზაცია, კოაგულაცია) დანყებული მსხვილმასშტაბიანი პროცესებით დამთავრებული (ღრუბლის დინამიკა და თერმოდინამიკა).

N ნალექწარმოქმნის თეორიის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა მიიღო მათემატიკური მოდელების შექმნამ კონვექციური ღრუბლებისთვის, რომლებიც აღწერდნენ ღრუბლის ბუნებრივ და ხელოვნურ ევოლუციას, ზემოქმედების სქემებს და სხვადასხვა რეაგენტის გავლენას. ძირითადად განვითარდა ორი ტიპის მოდელების შექმნის ტენდენცია: რთული და მარტივი. A მარტივ-ერთგანზომილებიან მოდელებში თერმოჰიდროდინამიკის, მიკროფიზიკის და მათი ურთიერთქმედების აღმწერი განტოლებების სრული სახით ჩართვა მათში ვერ ხერხდებოდა. ამიტომ ხშირად გამოიყენება მიკროფიზიკური პროცესებისთვის პარამეტრიზებული სქემები, ხოლო ძირითადი ყურადღება გადატანილია ღრუბლის თერმოჰიდროდინამიკაზე.

მიუხედავად ამისა, ნალექის წარმოქმნის ეფექტურობის შესწავლასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. მათ ეკუთვნის კერძოდ, წვეთების და კრისტალების მსხვილი ნაწილაკების ფორმირება, მათი შემდგომი ზრდა ღრუბლის სხვადასხვა პარამეტრისა და მასში მიმდინარე პროცესების გავლენით.

კლიმატის ცვლილების სცენარი

გლობალური მოდელების მიერ მონოდეტული ინფორმაცია ის პირველადი წყაროა, რომელიც მომავლის კლიმატის საპროგნოზოდ და კლიმატის

ზემოქმედების შესაფასებლად გამოიყენება ნებისმიერ მასშტაბზე – გლობალურიდან ლოკალურამდე. არსებული გლობალური მოდელები ჩვეულებრივ მეტად უხეშ მასშტაბზე ოპერირებენ (რამდენიმე ასეული კილომეტრი) და ვერ უზრუნველყოფენ სასარგებლო ინფორმაციას და იმ მცირე მასშტაბის დეტალებს, რომლებიც აუცილებელია კლიმატის ზემოქმედებისა და ადაპტაციის კვლევისთვის. ასეთი კლიმატური ინფორმაციის მისაღებად საჭიროა 10-15 კმ-ის ჰორიზონტალური მასშტაბი, განსაკუთრებით ისეთი რთული ოროგრაფიის და ზღვის სანაპიროების მქონე რეგიონებში, როგორც სამხრეთ კავკასიის-შავი ზღვის აუზის რეგიონია. რეგიონული კლიმატური მოდელებისა და სტატისტიკური მეთოდებით გადამუშავების შედეგად გლობალური მოდელებიდან მიღებული ინფორმაცია ამ მასშტაბსა და სიზუსტეს აღწევს [6].

კლიმატის მოდელირება, გარდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალისა, თვლისა და განთავსების შესაბამის რესურსებს მოითხოვს, რაც საქართველოს პირობებში საკმაოდ შეზღუდულია და ამდენად, გვინევს შემოვიფარგლოთ გლობალური/რეგიონული მოდელის ერთ სცენარზე დამყარებული სიმულაციით, თუმცა ვადგენთ უკვე არსებულ კვლევებთან და შედეგებთან მის შესაბამისობას. კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში შესულია A1B სცენარის მიხედვით გლობალური კლიმატური მოდელით – MPI-ESM-MR დათვლილი პროგნოზი, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტერიტორიისათვის დაყვანილ იქნა 20 კმ-იან ბადეზე RegCM_v.4.0 რეგიონული კლიმატური მოდელის გამოყენებით. ამ სიმულაციის საფუძველზე იქნა აგებული კლიმატური სცენარები 33 მეტეოროლოგიური სადგურისათვის.

გლობალური მოდელი MPI-ESM-MR მაქს პლანკის მეტეოროლოგიის ინსტიტუტში (MPIM) ევროპის საშუალოვადიანი ამინდის პროგნოზის ცენტრის (ECMWF) ამინდის მოდელის დამუშავების შედეგად იქნა მიღებული. თავად ECMWF ამინდის მოდელის შედეგები საქართველოს ტერიტორიისათვის რამდენიმე ათეული წელია სისტემატურად მონმდება და ამინდის პროგნოზირებისათვის ცალსახად საუკეთესო პროდუქტად არის აღიარებული. რაც შეეხება მის კლიმატურ ვერსიას (MPI-ESM-MR), მისი დახვეწა/გაუმჯობესება სისტემატურად მიმდინარეობს, იგი CMIP (Coupled Models Intercomparison Project) პროექტის ყველა ფაზაში მონაწილეობდა და ერთ-ერთი საუკეთესოა, განსაკუთრებით ევროპის ტერიტორიისათვის. თავად CMIP პროექტის მიზანი სხვადასხვა გლობალური მოდელის მიერ პროგნოზირებული კლიმატის ცვლილების დეტალების შეჯერებაა რეგიონების მიხედვით და პროექტის შედეგები აისახება IPCC-ის შეფასების ანგარიშებში. კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მეორე და მესამე მოხსენებებში MPI-ESM-MR მოდელის წინა ვერსიებზე დაყრდნობით მოხდა შეფასებები. მე-4 ეროვნულ მოხსენებაში ამ მოდელის მე-5 ვერსიით პროგნოზირებული შედეგებია წარმოდგენილი. მოდელის ამ ვერსიაში მინისპირა ფიზიკური პროცესების აღწერა და შეაბამისი მონაცემებია

გაუმჯობესებული, აგრეთვე, ადვექციური სქემები, ღრუბლების პარამეტრიზაცია, გრძელტალღოვანი რადიაციული კოდი, რასაც არსებული კლიმატის სიმულირებისას მნიშვნელოვან გაუმჯობესებამდე მივყავართ;

მესამე ეროვნულ შეტყობინებაში [5] კლიმატური პროგნოზი SRES – სცენარზე დაყრდნობით შედგა. ეს სცენარები IPCC -ის რეკომენდაციით იქნა დამუშავებული, რომლებიც სათბური გაზებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების შესახებ არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მომავლის ემისიათა რიცხვით შეფასებას იძლევა. ისინი დაჯგუფებული არიან 4 ე.წ. სიუჟეტის გარშემო და ქმნიან სცენართა 4 ოჯახს, რომლებშიც ერთიანდება 40 სცენარი. პირობითად მათ აღნიშნავენ, როგორც A1, A2, B1 და B2. ზოგადად, ინდექსი A შეესაბამება მსოფლიოს განვითარების ისეთ გზას, როცა პრიორიტეტი ენიჭება ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ეკოლოგიური პრობლემატიკა იგნორირებულია. საპირისპირო ტენდენციებს აღწერს ინდექსი B. ხოლო ნომრები 1 და 2 შესაბამისად აღნიშნავენ განვითარების 2 საპირისპირო ტენდენციას – გლობალიზაციას და რეგიონალიზაციას. 2014 წლიდან IPCC-ის მითითებით შემუშავდა ახალი სცენარები RCP (Representative Concentration Pathway scenarios), რომლებიც არ ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკურ სიუჟეტებს, არამედ გლობალური თერმული რეჟიმის პროგნოზირებას რადიაციული ბიუჯეტის (ესაა სხვაობა ჯამურ შემომავალ და გამავალ რადიაციას შორის, რომელიც იზომება ვტ/კვ.მ-ზე) სტაბილიზაციის საშუალებით ახდენენ. ახალ სცენარებშიც არსებობს სამი კატეგორია: მკაცრი (RCP 8.5W/m² 2100 წლისათვის), ზომიერი (RCP 4.5W/m²) და რბილი (RCP 2.6 W/m²), რომლებიც SRES-ის A2, A1B და B1 სცენარების ბაზაზეა გაკეთებული. მე-4 ეროვნულ მოხსენებაში RCP 4.5W/m² სცენარია გამოყენებული, რომელიც წინა მოხსენებაში არსებული A1B სცენართან შედარებით ნაკლებად მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა რეგიონული კლიმატური მოდელი – RegCM-4.6.0 ვერსია. **Regional Climate Model (RegCM)** თავდაპირველად შეიმუშავა NCAR-მა და უმეტესად გამოიყენება რეგიონული კლიმატის კვლევებისა და სეზონური პროგნოზირებისთვის. ამჟამად მოდელის განახლება და დამუშავება მიმდინარეობს აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (ტრიესტი, იტალია) და წარმოადგენს ლოკალური არის (LAMs) მოდელების ოჯახს, რომელშიც GCM-იდან მსხვილმასშტაბიანი მეტეოროლოგიური მონაცემები იძლევა საწყის და დროზე დამოკიდებულ მეტეოროლოგიურ სასაზღვრო პირობებს (LBCs) მაღალი გარჩევადობის RCM სიმულაციებისათვის. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი, ხოლო ჩვენი მხრივ ამ მოდელში გათვალისწინებულ იქნა მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა მტვრის ეფექტის გათვალისწინების შესახებ სამხრეთ ვაკვასიის რეგიონული კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა RegCM-4.6.0 პორიზონტალური

მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting), რეგიონული კლიმატური მოდელის ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბისა (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10-კილომეტრიან ბადეზე [10].

თვლა განხორციელდა სამ ეტაპად: 1. მოდელის სანყის და სასაზღვრო პირობებად გამოყენებულ იქნა დაკვირვების მონაცემების არქივი (ERA-Interim) 1986-2015 წ.წ. პერიოდისათვის, ამ თვლის შედეგები გამოიყენება რეგიონული მოდელის დიაგნოსტიკისა და ვალიდაციისათვის. 2. რეგიონული მოდელი თვლაზე გაეშვა გლობალური მოდელის MPI-ESM-MR სანყისი და სასაზღვრო პირობებით 1960-2005 წ.წ. პერიოდისათვის, ამ თვლის შედეგები გამოიყენება მომავლის კლიმატის პარამეტრების განაწილებისა და საშუალო მნიშვნელობებში ცვლილებების შესაფასებლად. 3. იმავე გლობალური მოდელის MPI-ESM-MR სანყისი და სასაზღვრო პირობებით 2006-2100 წ.წ. პერიოდისათვის. გლობალური მოდელის ეს სიმულაცია ჩატარებულია RCP 4.5 სცენარზე დაყრდნობით. რეგიონული კლიმატური მოდელის ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10-კილომეტრიან ბადეზე. ERA-Interim სასაზღვრო პირობებით შესრულებული სიმულაცია ჩატარდა ორ ვერსიად: აეროზოლების ეფექტის გათვალისწინებით და მის გარეშე. მოხდა სიმულაციების შედარება დაკვირვების მონაცემებთან როგორც კლიმატური სადგურების დაკვირვების დროით რიგებთან, ასევე დაკვირვების ბადეზე ინტერპოლირებულ მონაცემებთან. შედარების შედეგების ანალიზით, სიმულაცია, სადაც აეროზოლების ეფექტი გათვალისწინებულია, უფრო უკეთეს თანხვედრაშია დაკვირვებებთან. ამდენად, გლობალური მოდელის სანყისი და სასაზღვრო პირობებით შესრულებულ სიმულაციები ჩატარდა აეროზოლების ეფექტის გათვალისწინებით. მოხდა 1960-2005 წ.წ. პერიოდის სიმულაციის შედარება ERA-Interim სასაზღვრო პირობებით შესრულებული სიმულაციასთან დროის იმ პერიოდში, სადაც მოხდა მათი თანხვედრა – 1985-2005 პერიოდში. შესრულდა მოდელის bias correction – პროცედურა.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით ორი 30-წლიანი პერიოდისათვის – 2041-70 და 2071-2100 წ.წ. პერიოდებისათვის კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები შეფასდა საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისათვის. სცენარები აგებულ იქნა როგორც ძირითადი კლიმატური პარამეტრებისათვის, როგორცაა ჰაერის ტემპერატურის, ქარისა და შეფარდებითი სინოტივის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები, ასევე ნალექების ჯამისა და ტემპერატურის მაქსიმუმისა და მინიმუმისათვის. აგრეთვე გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები, ე.წ. ინდექსები, რომელთა შეფასება მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორებისათვის.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-70 წწ. პერიოდში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.6 გრადუსიდან 3.1 გრადუსამდე გაიზარდება. ცვლილებას

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აქვს ყველაზე მაღალი მნიშვნელობები (სტეფანწმიდა, გუდაური – 3.0°C ; 3.1°C), კახეთსა და ქვემო ქართლში ეს ნაზრდი უფრო ნაკლებია – $2.0-2.4^{\circ}\text{C}$ დიაპაზონში. აღმოსავლეთ საქართველოში 1970-2000 წლებში საშუალო წლიური ტემპერატურის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა გარდაბანში იყო დაფიქსირებული, ყველაზე დაბალი კი – გუდაურში. 2041-70 წწ. პერიოდში ეს კანონზომიერება უცვლელი რჩება. დასავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა შედარებით ნაკლებად თბება, ყველაზე ნაკლებად – ლენტეხში. სხვა მხრივ ბარსა და მთიანეთში ეს პარამეტრი დაახლოებით 2 გრადუსის ფარგლებში იმატებს. სამცხე-ჯავახეთში ტემპერატურა უფრო მეტად თბება ვიდრე დასავლეთში – საშუალოდ ეს ნაზრდი 2.3°C -ს შეადგენს.

2071-2100 წწ. პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ $0.4^{\circ}\text{C}-1.7^{\circ}\text{C}$ -ით თბება. შედეგად ამ პერიოდსათვის ტემპერატურის ნაზრდი 1970-2000 წწ. პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.2°C – 3.9°C -ით გათბება, ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ისევ ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად თბილისში. აღმოსავლეთ საქართველოში ეს სიდიდე საშუალოდ 0.5 გრადუსით მეტად თბება ვიდრე დასავლეთში.

კახეთი. მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.6°C -ით (სადგურებში 3.4°C -დან 3.9°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 3.7°C -ით (2.9°C -დან 3.6°C -მდე); შემოდგომაზე 4.0°C -ით (3.7°C -დან 4.4°C -მდე) და ზამთარში 3.2°C -ით (2.8°C -დან 3.6°C -მდე). წლიური დათბობაა 3.6°C -ით (3.4°C -დან 3.7°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა მაისი 4.8°C -ით (4.3°C -დან 5.2°C -მდე) და სექტემბერი 4.2°C -ით (3.8°C -დან 4.9°C -მდე), ყველაზე ნაკლებად-იანვარი 2.8°C -ით (2.6°C -დან 3.1°C -მდე).

მცხეთა-მთიანეთი. მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.4°C -ით (სადგურებში 3.1°C -დან 3.7°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 3.6°C -ით (2.9°C -დან 4.1°C -მდე); შემოდგომაზე 3.5°C -ით (3.2°C -დან 3.8°C -მდე) და ზამთარში 3.0°C -ით (2.7°C -დან 3.5°C -მდე). წლიური დათბობაა 3.3°C -ით (3.0°C -დან 3.6°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა ივნისი 4.1°C -ით (3.4°C -დან 4.7°C -მდე) და მაისი 3.8°C -ით (2.9°C -დან 4.5°C -მდე), ყველაზე ნაკლებად დეკემბერი 2.8°C -ით (2.5°C -დან 3.5°C -მდე).

ქვემო ქართლი: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 2.7°C -ით (სადგურებში 2.5°C -დან 3.0°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 3.2°C -ით (3.0°C -დან 3.6°C -მდე); შემოდგომაზე 2.9°C -ით (2.8°C -დან 3.2°C -მდე) და ზამთარში 2.8°C -ით (2.7°C -დან 3.1°C -მდე). წლიური დათბობაა 3.0°C -ით (2.8°C -დან 3.4°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა ივნისი 3.4°C -ით (3.3°C -დან 3.5°C -მდე) და მაისი 3.4°C -ით (2.7°C -დან 4.0°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – იანვარი 2.7°C -ით (2.5°C -დან 3.0°C -მდე).

შიდა ქართლი: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.2°C -ით (სადგურებში 3.1°C -დან 3.2°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 2.9°C -ით (2.8°C -

დან 3.0°C -მდე); შემოდგომაზე 2.9°C -ით (2.7°C -დან 3.1°C -მდე) და ზამთარში 2.1°C -ით (1.9°C -დან 2.3°C -მდე). წლიური დათბობაა 2.7°C -ით (2.7°C -დან 2.8°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა ივნისი 3.8°C -ით (3.6°C -დან 4.0°C -მდე) და აპრილი 3.6°C -ით (3.5°C -დან 3.7°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – თებერვალი 2.3°C -ით.

სამცხე-ჯავახეთი: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.0°C -ით (სადგურებში 2.7°C -დან 3.4°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 2.8°C -ით (2.3°C -დან 3.3°C -მდე); შემოდგომაზე 3.2°C -ით (2.9°C -დან 3.8°C -მდე) და ზამთარში 2.4°C -ით (1.9°C -დან 2.8°C -მდე). წლიური დათბობაა 2.8°C -ით (2.6°C -დან 3.2°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა ოქტომბერი 3.7°C -ით (3.2°C -დან 4.3°C -მდე) და აპრილი 3.2°C -ით (2.6°C -დან 3.7°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – იანვარი 2.1°C -ით (1.8°C -დან 2.5°C -მდე).

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.7°C -ით (სადგურებში 3.2°C -დან 4.1°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 3.1°C -ით (2.6°C -დან 3.4°C -მდე); შემოდგომაზე 2.9°C -ით (1.4°C -დან 3.8°C -მდე) და ზამთარში 2.5°C -ით (1.6°C -დან 3.2°C -მდე). წლიური დათბობაა 3.0°C -ით (2.1°C -დან 3.5°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა აპრილი 3.8°C -ით (3.6°C -დან 4.2°C -მდე) და მაისი 3.7°C -ით (2.2°C -დან 4.5°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – თებერვალი და დეკემბერი 2.5°C -ით (1.0°C -დან 4.3°C -მდე).

იმერეთი: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.1°C -ით (სადგურებში 2.9°C -დან 3.4°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 3.1°C -ით (2.9°C -დან 3.4°C -მდე); შემოდგომაზე 3.3°C -ით (3.3°C -დან 3.4°C -მდე) და ზამთარში 2.6°C -ით (2.4°C -დან 2.9°C -მდე). წლიური დათბობაა 3.2°C -ით (3.1°C -დან 3.2°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა აპრილი 4.0°C -ით (3.6°C -დან 4.3°C -მდე) და მაისი 4.2°C -ით (3.8°C -დან 4.6°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – იანვარი 2.3°C -ით (2.1°C -დან 2.5°C -მდე) და დეკემბერი 2.7°C -ით (2.6°C -დან 3.0°C -მდე).

სამეგრელო-ზემო სვანეთი: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.1°C -ით (სადგურებში 2.5°C -დან 3.9°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 2.7°C -ით (2.2°C -დან 3.4°C -მდე); შემოდგომაზე 3.2°C -ით (2.8°C -დან 3.6°C -მდე) და ზამთარში 2.9°C -ით (2.3°C -დან 3.2°C -მდე). წლიური დათბობაა 2.9°C -ით (2.6°C -დან 3.5°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა ოქტომბერი 4.1°C -ით (3.4°C -დან 4.6°C -მდე) და მაისი 3.4°C -ით (3.2°C -დან 3.8°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – იანვარი 2.6°C -ით (1.8°C -დან 3.2°C -მდე), აგვისტო 2.6°C -ით (2.1°C -დან 3.1°C -მდე) და ნოემბერი 2.6°C -ით (2.4°C -დან 2.8°C -მდე).

გურია: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.4°C -ით (სადგურებში 3.1°C -დან 3.8°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 2.6°C -ით (2.3°C -დან 3.0°C -მდე); შემოდგომაზე 3.0°C -ით (2.7°C -დან 3.4°C -მდე) და ზამთარში 2.2°C -ით (1.9°C -დან 2.5°C -მდე). წლიური დათბობაა 2.8°C -ით (2.4°C -დან 3.1°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა მაისი 4.2°C -ით (3.9°C -დან 4.4°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – იანვარი 2.1°C -ით (2.0°C -დან 2.2°C -მდე).

აჭარა: მხარეში საშუალო დათბობაა გაზაფხულზე 3.4°C -ით (სადგურებში 3.1°C -დან 3.8°C -მდე ფარგლებში); ზაფხულში 2.7°C -ით (2.3°C -დან 3.2°C -მდე); შემოდგომაზე 3.1°C -ით (2.7°C -დან 3.7°C -მდე) და ზამთარში 2.3°C -ით (1.7°C -დან 2.5°C -მდე). წლიური დათბობაა 2.9°C -ით (2.5°C -დან 3.3°C -მდე). ყველაზე მეტად დათბა მაისი 4.4°C -ით (4.1°C -დან 4.7°C -მდე) და ოქტომბერი 3.6°C -ით (3.0°C -დან 4.4°C -მდე), ყველაზე ნაკლებად – იანვარი 2.0°C -ით (1.4°C -დან 2.3°C -მდე).

საშუალო წლიური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ზღვის-პირეთსა და კოლხეთის დაბლობზე დაკვირვების პერიოდისათვის საშუალოდ 2 გრადუსით უფრო მეტია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ეს ტენდენცია ნარჩუნდება 2041-70 წწ. და 2071-2100 წწ. პერიოდებისათვისაც.

დაკვირვების პერიოდში ქუთაისში საშუალო წლიური ტემპერატურა ყველაზე მაღალი იყო განხილული 39 სადგური მონაცემებით, 2041-70 წწ. პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურის მნიშვნელობა 0,1 გრადუსით უფრო თბილი იქნება სამტრედიამი, ხოლო 2100 წლისათვის კვლავ ქუთაისში იქნება ტემპერატურა ყველაზე მაღალი.

ყველაზე ცივი საშუალო წლიური ტემპერატურა დაკვირვების პერიოდში გუდაურში იყო. ხოლო ორივე სამომავლო პერიოდში გოდერძის გადასასვლელზე უფრო დაბალი მნიშვნელობები ექნება ამ პარამეტრს, რამდენადაც, სცენარის თანახმად დათბობა გუდაურში გაცილებით უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებს.

საშუალო მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურების წლიური დათბობა 2041-70 წ.წ. პერიოდისათვის შეადგენს $2.0 - 2.3^{\circ}\text{C}$ და $1.1-1.7^{\circ}\text{C}$ შესაბამისად. მინიმალური ტემპერატურა თითქმის 1 გრადუსით უფრო ნაკლებად თბება, ვიდრე მაქსიმალური. 2071-2100 წ.წ. პერიოდისათვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება და მაქსიმუმები თბება $3.2-4.0^{\circ}\text{C}$, ხოლო მინიმუმები $1.7-3.7^{\circ}\text{C}$. მინიმალური ტემპერატურის ნაზრდი ყველაზე დაბალია მაღალმთიან სადგურებზე. სამივე განხილულ პერიოდში ყველაზე დაბალი საშუალო წლიური ტემპერატურა დაიკვირვა ფარავანში და ასევე რჩება მომავალშიც, ხოლო ყველაზე მაღალი მაქსიმუმი – სამტრედიამი.

2041-70 წლებისათვის დღეთა რიცხვი, როდესაც დღის **მაქსიმალური ტემპერატურა** მეტია 25, 30 და 35 გრადუსზე, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ ღამეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 20°C -ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისათვის, მაღალმთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა მაშინ, როდესაც დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის კი ყინვიანი დღეების რაოდენობა დაბლობში საერთოდ აღარ გვხვდება.

ცხელი დღეების პროცენტული რაოდენობა – Tx90p, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 90 პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს, პირველ საპროგნოზო პერიოდში ყველგან იზრდება ყველა თვეში. გამონაკლისს წარმოადგენს დაახლოებით 1%-იანი კლება კახეთის რეგიონში. წლის თბილ პერიოდში (მაისი-სექტემბერი) აღინიშნება ყველაზე დიდი მატება (მაქსიმუმ 30%). წლის დანარჩენ პერიოდში ეს რიცხვი 10-15%-ის ფარგლებშია. საუკუნის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი უფრო ინტენსიურად იზრდება ყველა სეზონსა და სადგურზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია წლის თბილ პერიოდში კახეთსა და ქვემო ქართლში ცხელი დღეების პროცენტული რაოდენობის ზრდა, ის გარკვეულ თვეებში 50%-ის ფარგლებში იზრდება.

Tn90p – თბილი ღამეების პროცენტული რაოდენობა, როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს. კიდევ უფრო ინტენსიურ დათბობას აჩვენებს. პირველივე საპროგნოზო პერიოდში ეს ინდექსი ყველგან იმატებს და ზოგ სადგურზე წლის თბილ პერიოდში 40-45%-საც აღწევს. 2100 წლისათვის ივლისის თვეში კახეთის რეგიონში ასეთი ღამეების რაოდენობა 60%-ით იზრდება, საშუალოდ ბათუმსა და შემოდგომაზე თბილი ღამეები 35% და 27%-ით იზრდება, გაზაფხულსა და ზამთარში შედარებით ნაკლებად -22% და 16%-ით.

ამ ორი ინდექსის საპირისპიროდ ცივი დღეების პროცენტული რაოდენობა – Tx10p, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა და Tn10p ცივი ღამეების პროცენტული რაოდენობა, როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა ორივე საპროგნოზო პერიოდში იკლებს. 2041-70 წწ. პერიოდში ორივე ეს ინდექსი მცირედ იმატებს სვანეთის სადგურებზე და კახეთის რეგიონში წლის თბილი პერიოდის განმავლობაში. ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე ეს სიდიდეები წლიურად დაახლოებით 6%-ით მცირდება. ყველაზე მეტად ორივე პარამეტრი შემოდგომაზე იკლებს. საუკუნის ბოლოსათვის მხოლოდ გუდაურში რჩება უცვლელი ცივი დღეებისა და ღამეების პროცენტული რაოდენობა წლიურად. ყველა დანარჩენ სადგურზე ისინი მცირდება 8-9%-ით წლიურად, თითქმის თანაბრად სეზონების მიხედვით.

დაკვირვების მონაცემებით **ნალექების წლიური ჯამის** განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2 300 მმ და მეტი), ზღვიდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს, თუმცა მაღალ მთაში კვლავ იმატებს. სცენარის თანახმად, ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების ჯამი მცირდება სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-70 წწ. პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) – ფასანაურში,

ყველაზე ნაკლებად კი – საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში იკლებს. კერძოდ, მთა-საბუეთსა და ახალქალაქში დაახლოებით 29%-ით – მცირდება. დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება დაახლოებით 10%-ით მიმდინარეობს. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წწ. პერიოდში 2041-70 წწ. პერიოდთან შედარებით ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, კერძოდ, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტით. შედეგად დაკვირვების პერიოდთან შედარებით ნალექების ჯამი იკლებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მათგან ყველაზე მეტად ახალქალაქში (31%) და თითქმის უცვლელი რჩება თიანეთში.

ვახეთი: ოთხივე სადგურზე ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა (სადგურების მიხედვით 16%-დან 20%-მდე ფარგლებში). ნალექების კლება ასევე ყველა სეზონში, გამონაკლისია ზამთარში ნალექების მატება ლაგოდეხში (20%-ით) და საგარეჯოში (43%-ით).

მცხეთა-მთიანეთი: ფასანაურში ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა 10%-ით, ნალექების კლება ასევე ყველა სეზონში (3%-დან 20%-მდე ფარგლებში). თიანეთში ნალექების წლიური რაოდენობის უმნიშვნელო მატებაა (1%-ით), აქ ნალექების მატებაა ზაფხულშიც (14%-ით), დანარჩენ სეზონებში კლებაა (4%-დან 8%-მდე ფარგლებში).

ქვემო ქართლი: თბილისში ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა 19%-ით, კლება ასევე ყველა სეზონში (4%-დან 39%-მდე ფარგლებში). ბოლნისში ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა 7%-ით, აქ ნალექების მატებაა ზაფხულში 8%-ით, დანარჩენ სეზონებში კლებაა (4%-დან 16%-მდე ფარგლებში).

შიდა ქართლი: ხაშურში ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა 3%-ით. ზაფხულში ნალექების მატებაა 12%-ით, დანარჩენ სეზონებში კლებაა (2%-დან 11%-მდე ფარგლებში). გორში, ანალოგიურად, ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა 7%-ით. ზაფხულში ნალექების მატებაა 8%-ით, დანარჩენ სეზონებში კლებაა (5%-დან 17%-მდე ფარგლებში).

სამცხე-ჯავახეთი: ოთხივე სადგურზე ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა (6%-დან 18%-მდე ფარგლებში). ყველა სეზონში ნალექების კლებაა, ნალკის გარდა, სადაც ზაფხულში ნალექების მატებაა 4%-ით. გაზაფხულზე კლებაა (14%-დან 27%-მდე ფარგლებში), ზაფხულში სამ სადგურზე კლებაა (1%-დან 11%-მდე ფარგლებში). კლება ასევე შემოდგომაზე (12%-დან 18%-მდე ფარგლებში) და ზამთარში (3%-დან 28%-მდე ფარგლებში).

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: ამბროლაურში ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა 16%-ით, გაზაფხულზე 28%-ით, ზაფხულში 9%-ით, შემოდგომაზე 17%-ით და ზამთარში 10%-ით. შოვეში წლიური კლებაა 6%-ით;

სეზონებიდან გაზაფხულზე კლებაა 6%-ით, შემოდგომაზე 14%-ით და ზამთარში 7%-ით. შოვში ზამთარში ნალექების მატებაა 4%-ით.

იმერეთი: ოთხივე სადგურზე ნალექების წლიური რაოდენობის კლებაა (2%-დან 12%-მდე ფარგლებში). ყველა სეზონში ნალექების კლებაა, მთა საბუეთის გარდა, სადაც ზაფხულში ნალექების მატებაა 2%-ით და საჩხერის გარდა, სადაც შემოდგომაზე მატებაა 23%-ით, ზამთარში კი 22%-ით. გაზაფხულზე 4 სადგურზე კლებაა (6%-დან 28%-მდე ფარგლებში). სამ სადგურზე კლებაა ზაფხულში (13%-დან 24%-მდე ფარგლებში), შემოდგომაზე (2%-დან 19%-მდე ფარგლებში) და ზამთარში (9%-დან 19%-მდე ფარგლებში).

სამეგრელო-ზემო სვანეთი: ზუგდიდში ნალექების წლიური კლებაა 7%-ით. გაზაფხულზე მატებაა 1%-ით, დანარჩენ სეზონებში კლებაა (3%-დან 16%-მდე ფარგლებში). ფოთში ნალექების უმნიშვნელო წლიური კლებაა 1%-ით. სეზონებიდან ნალექების კლებაა მხოლოდ ზაფხულში 10%-ით, დანარჩენ სეზონებში მატებაა (3%-დან 4%-მდე ფარგლებში).

გურია: ჩოხატაურში ყველა სეზონში კლებაა, გაზაფხულზე 4%-ით, ზაფხულში 3%-ით, შემოდგომაზე 6%-ით, ზამთარში 2%-ით. წლიური კლება 4%-ია. თვეებიდან ნალექების მატებაა მარტში 7%-ით, ივნისში 1%-ით და დეკემბერში 2%-ით.

აჭარა: სამივე სადგურში წლიური ნალექების კლებაა (6%-დან 12%-მდე ფარგლებში), კლებაა სეზონებშიც: გაზაფხულზე (3%-დან 14%-მდე ფარგლებში), ზაფხულში (2%-დან 7%-მდე ფარგლებში), შემოდგომაზე (9%-დან 12%-მდე ფარგლებში) და ზამთარში (3%-დან 15%-მდე ფარგლებში). ქობულეთში ნალექების მატებაა იანვარში 1%-ით და მარტში 9%-ით. ბათუმში მატებაა მაისში 11%-ით, სექტემბერსა და დეკემბერში კი 1%-ით.

ნალექის ყველაზე ნაკლები რაოდენობა 1971-2000 წწ. პერიოდში ბოლნისშია, ყველაზე მეტი კი ბათუმში. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების წლიური მაქსიმუმი კვლავ ბათუმშია მოსალოდნელი, ხოლო ყველაზე მცირე გარდაბანში (355 მმ და 358 მმ შესაბამისად).

1-სა და 5 დღეში მოსული მაქსიმალური ნალექის რაოდენობა – Rx1day და Rx5day ინდექსები აჩვენებს, ნალექის რა მაქსიმალურ რაოდენობაზე უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროექტების გათვლები. თუმცა დაფიქსირებული მაქსიმუმის შემცირება 50 წლის მანძილზე არ ნიშნავს, რომ მისი მოხდენის ალბათობა აღარ არსებობს.

ერთ და ხუთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექის რაოდენობის ცვლილებას როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში არა აქვს რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება. ორივე ეს პარამეტრი იზრდება თელავსა და საგარეჯოში, მაშინ როდესაც მცირდება ვახეთის სხვა სადგურებზე. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია უფრო მძაფრდება პირველიდან მეორე საპროგნოზო პერიოდში გადასვლისას. ამ პერიოდში ყველაზე მეტად მცირდება გარდაბნის ერთ დღეში მოსული ნალექის რაოდენობა. დასავლეთ საქარ-

თველოს სადგურთა უმრავლესობაზე ეს სიდიდე მცირდება დაახლოებით 10%-ით. თუმცა დანარჩენ სადგურებზე მისი მატებაც ხდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მატება შოვში (40%). 5-დღიანი მაქსიმუმები დაახლოებით იმეორებენ ნალექების ერთდღიანი მაქსიმუმების ცვლილების ხასიათს მცირედი განსხვავებებით. 2041-2070 წწ. პერიოდისათვის ერთ და ხუთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექის რაოდენობა სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე მცირდება, ხოლო მთიან ზონებში იზრდება. 2071-2100 წწ. პერიოდისათვის ეს ტენდენცია სადგურების უმრავლესობაზე ნარჩუნდება.

R50 და R90 ინდექსები ექსტრემალურად უხვნალექიანი (50 მმ-ზე და 90 მმ-ზე მეტი შესაბამისად) დღეებია, რომელთა შედეგად წყალდიდობა/წყალმოვარდნების, ღვარცოფებისა და მენყრების რისკი იქმნება, სადაც გეოლოგიურად არსებობს ამის პირობა.

ამ ინდექსების მაქსიმალური წლიური მნიშვნელობები აჭარის სანაპიროზე მოდის, რაც მომავალშიც ასეა მოსალოდნელი. R50 და R90 ზამთარში ძირითადად დასავლეთ საქართველოში დაიკვირვება; მომავალში ზამთარში ორივე ეს ინდექსი იკლებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე იშვიათი გამონაკლისის გარდა.

2071-2100 წწ. პერიოდისათვის R90 დასავლეთის მთიანეთის გარდა ყველგან იზრდება, მაგრამ უფრო ნაკლებ ინტენსიურად, ვიდრე წინა საპროგნოზო პერიოდში.

ექსტრემალურად უხვნალექიანი დღეების რაოდენობა 50 მმ-ზე მეტი ნალექით აღმოსავლეთ საქართველოში პირველ საპროგნოზო პერიოდში მცირდება და საუკუნის ბოლოშიც თითქმის უცვლელად ნარჩუნდება. დასავლეთში კი ასეთივე სურათი დამახასიათებელია მთიანი ტერიტორიისათვის, ხოლო სანაპირო ზოლში ასეთი 90 მმ-ზე მეტი ნალექით, რომელიც ძირითადად დასავლეთშია მოსალოდნელი, მცირედ იკლებს 2041-70 წლებში და შემდეგ პერიოდშიც უცვლელი რჩება.

CDD და CWD ინდექსები წლის განმავლობაში უნალექო და ნალექიანი პერიოდების მაქსიმალურ ხანგრძლივობას აღნიშნავენ. პირველი მათგანი წყლის რესურსების მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციაა, იქ, სადაც სასმელი ან სარწყავი წყლის სიმცირეა. ამ ინდექსის გახანგრძლივება გვალვასთანაა კავშირში. მეორე ინდექსი 5 დღეში მოსულ ნალექების ჯამთან ერთად კვლავ უხვი ნალექის მოსვლის რისკს შეიცავს. ამ ინდექსებისათვის, როგორც წესი, მხოლოდ წლიური მნიშვნელობები გამოითვლება.

განხილული სადგურების უმეტესობაზე უნალექო პერიოდის ხანგრძლივობა 2041-2071 წწ. საპროგნოზო პერიოდისათვის მცირდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია კლება კახეთის რეგიონის ყველა სადგურზე – 5-დან 8 დღემდე აგრეთვე კლება თბილისსა და ზემო სვანეთში (საშუალოდ 5 დღე). აღნიშნულ ტერიტორიებზე ეს სიდიდე მცირდება თვეებისა და სეზონების მიხედვითაც, განსაკუთრებით კი ზაფხულის პერიოდში. სხვა ტერიტორიებზე ადგილი აქვს

უნაღეწო პერიოდის გახანგრძლივებას 1 დღით. 2071-2100 წწ. საპროგნოზო პერიოდისათვის უნაღეწო პერიოდის ხანგრძლივობის ცვლილებას ყველა სადგურზე იგივე ტენდენცია აქვს, რაც წინა საპროგნოზო პერიოდში, თუმცა უფრო ნაკლებ ინტენსიურია (არ აღემატება 5 დღეს). ამ უკანასკნელში შეიძლება გამოიყოს უნაღეწო პერიოდის 2-3 დღით გაზრდა (18 დღე) ახალციხეში, რაც წყლის დეფიციტის პრობლემას გამოიწვევს.

ნაღეწიანი პერიოდების ხანგრძლივობა კი იზრდება ორივე საპროგნოზო პერიოდში. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მაღალმთიანი სადგური – ლენტეხი, გუდაური, მთა-საბუეთი, სადაც მოსალოდნელია ნაღეწიანი პერიოდების 1 დღით შემცირება, რაც წყალთან დაკავშირებული რისკების პროვოცირებას არ გამოიწვევს.

დაკვირვების მონაცემებით **საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის** ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისში დაიკვირვებოდა (66%). მომავალშიც, ორივე საპროგნოზო პერიოდში, ყველაზე დაბალი ფარდობითი ტენიანობა კვლავ თბილისშია მოსლოდნელი (68%). ისევე როგორც მთა-საბუეთში სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო დაფიქსირებული (86%), 2071-2100 პერიოდშიც ფარდობითი სინოტივით ყველაზე მაღალი კვლავ მთა-საბუეთშია, ხოლო 2041-70 წწ. პერიოდში მაქსიმალურ მნიშვნელობას (88 %) ქობულეთში აღწევს.

ისევე, როგორც დაკვირვების პერიოდში, ფარდობითი ტენიანობა 2041-70 წლებისათვის სადგურების უმრავლესობაზე მატებას განაგრძობს 1-5 %-ის ფარგლებში. გამოკლისის სახით 1-2%-იანი კლება ამ პერიოდში ხაშურსა და ფარავანშია მოსალოდნელი.

კახეთი. მხარეში ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მნიშვნელობა მხოლოდ საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში იზრდება 2-3%-ით, სხვა სადგურებზე უცვლელი რჩება. გაზაფხულზე იგი საშუალოდ 1%-ით იმატებს (0-2%), ზაფხულში 5%-ით (1-8%), შემოდგომაზე 1%-ით (0-3%), ხოლო ზამთარში იკლებს 2.4%-ით (-4 – -1%). ყველაზე მეტ მატებას ადგილი აქვს აგვისტოში (12%), ხოლო კლებას – იანვარში (-6%).

მცხეთა–მთიანეთი. მხარეში ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური ცვლილება მხოლოდ 0.5%-ია, 1%-ით იმატებს თიანეთში და უცვლელია ფასანაურში. გაზაფხულზე იგი +1% და -1%-ის ფარგლებში იცვლება. ზაფხულში ის ყველაზე მეტად იზრდება 6%-ით (5-7%), შემოდგომაზე მცირდება ფასანაურში (-1%) და იზრდება თიანეთში (2%), ხოლო ზამთარში იკლებს – 4.5%-ით. ყველაზე მეტ მატებას ადგილი აქვს აგვისტოში (8%), ხოლო კლებას ნოემბერში (-8%).

ქვემო ქართლი: მხარეში თბილისისა და ბოლნისის სადგურების მონაცემებზე დაყრდნობით ცვლილების ტენდენციები ერთნაირია, მხოლოდ ბოლნისში ამ პარამეტრის უფრო ინტენსიური მატება მოდის. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 4%-მდე (2-6%) იმატებს. გაზაფხულზე 3%-ით (1-5%)

იმატებს, ზაფხულში 11%-ით (7-16%), ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი მატებაა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, შემოდგომაზე საშუალოდ 3.5% -ით (2-5%). ზამთარში ორივე სადგურზე კლებს -1--3%-ით.

შიდა ქართლი: მხარეში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 1%-მდე (0-2%) მცირდება. გაზაფხულზეც მცირდება 0.5%-ით, რადგან გორში უცვლელი რჩება და ხაშურში 1%-ით იკლებს. მხოლოდ ზაფხულში იზრდება ორივე სადგურზე – 1.5%-ით (1-2%), შემოდგომაზეც შემცირების ტენდენციაა, საშუალოდ -2%-ით. ზამთარშიც ორივე სადგურზე კლებს -2--4%-ით.

სამცხე-ჯავახეთი: მხარეში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 1%-მდე (0--3%), მხოლოდ წალკაშია 1%-იანი მატება. გაზაფხულზეც მცირდება 2.8%-ით (0—6), მხოლოდ ზაფხულში იზრდება ყველა სადგურზე – 3.5%-ით (1-5%), შემოდგომაზეც შემცირების ტენდენციაა, საშუალოდ -2%-ით(-4+1%), გამონაკლისი კვლავ წალკაა. ზამთარშიც ყველა სადგურზე კლებს -3%-ით.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: მხარეში ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მნიშვნელობა იზრდება 1%-ით. გაზაფხულზე იგი 2%-ით იმატებს ერთნაირად ორივე სადგურზე, ზაფხულში 5.5%-ით (5-8%), შემოდგომაზე 1%-ით (0-1%), ხოლო ზამთარში იკლებს 3%-ით, კვლავ ერთნაირად ორივე სადგურზე.

იმერეთი: მხარეში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 1%-მდე (0-2%) იმატებს. გაზაფხულზე ისევე იცვლება ფარდობითი ტენიანობა, როგორც წლიურად 1%-მდე (0-2%) იმატებს, ზაფხულში 4%-ით (3-6%), შემოდგომაზე საშუალოდ 0.6% -ით იმატებს, მთა საბუეთში მცირდება -2%-ით, ხოლო დანარჩენ სადგურებზე ამდენითვე იზრდება. ზამთარში ყველა სადგურზე კლებს 2-3%-ით.

სამეგრელო-ზემო სვანეთი: მხარეში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 3.5%-ით იმატებს. განხილული ორი სადგურის მონაცემებით ცვლილების ტენდენციები სრულ თანხვედრაშია ყველა სემონზეც. კერძოდ, გაზაფხულზე იზრდება 4.5%-ით, ზაფხულში 8-10%-ით, შემოდგომაზე 1%-ით იზრდება და ზამთარში 1,5%-ით მცირდება.

გურია: მხარეში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 2%-ით იმატებს. განხილული ორი სადგურის მონაცემებით ცვლილების ტენდენციები სრულ თანხვედრაშია ყველა სემონზეც. კერძოდ, გაზაფხულზე იზრდება 1%-ით, ზაფხულში 6-7%-ით, შემოდგომაზე 1%-ით იზრდება და ზამთარში 1,5%-ით მცირდება.

აჭარა: მხარეში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 2.5%-ით (0-5%) იმატებს. გაზაფხულზე ორ სადგურს შორის ცვლილების ტენდენციები საპირისპიროა, კერძოდ ქობულეთში 7%-ით იზრდება და ხულოში 2%-ით იკლებს, ზაფხულში ამ რეგიონშიც იზრდება ტენიანობა 7%-ით. შემოდგომაზე კვლავ საპირისპირო ტენდენციებია. ქობულეთში იზრდება 4%-ით და ხულოში

მცირდება 3%-ით. ზამთარში ამ რეგიონშიც შემცირებაა საშუალოდ 2%-ით, უფრო მეტად მცირდება ხულოში (4%).

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე დაკვირვების პერიოდში მნიშვნელოვნად არის შემცირებული. აღმოსავლეთ საქართველოში მისი მნიშვნელობები 1-4-მ/წმ-ში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.9 (ფსხუ) – 5.5მ/წმ-ში (გოდერძის გადასასვლელი). მისი უდიდესი მნიშვნელობა მთა-საბუეთშია (9.2მ/წმ) დაფიქსირებული.

მომავალში საუკუნის ბოლომდე საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ± 0.5 მ/წმ დიაპაზონში, რომელსაც არ გააჩნია რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება, არც გეოგრაფიული მდებარეობის არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების RCP4.5 სცენარი

კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას 4.5 W/m^2 დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ჩვენ ამ მოდელში გავითვალისწინეთ მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტვრის ნაწილაკების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთ კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა, RegCM 4.6.0 ვერსია ჰორიზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა, ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting). რეგიონული კლიმატური მოდელის ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10-კილომეტრიან ბადეზე [10].

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) პერიოდის შედარებით 1971-2000 წლების 30-წლიან პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები აგებულ იქნა როგორც ძირითადი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორცაა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით, გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები – ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971–2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.6°C -დან 3.0°C -მდე ფარგლებში გაიზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა 1.8°C – 3.0°C ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია, 1.6°C – 2.9°C ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.4°C - 1.7°C -ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.1°C - 3.7°C ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას. დეტალური ინფორმაცია სადგურების მიხედვით მოყვანილია დანართის ცხრილ B1-ში.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის 1.9°C - 3.0°C ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი 1.1°C - 2.3°C ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებ იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-2100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება 2.6 - 4.3°C -ით, ხოლო მინიმუმები 1.7 - 3.7°C .

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 25°C , 30°C და 35°C -ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ ღამეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 2°C -ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალმთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა, მაშინ როდესაც დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

FDO – ყინვიან ღამეთა რიცხვი, როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა ნაკლებია 0°C -ზე, პირველ საპროგნოზო პერიოდში (2041–2070 წლები) მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალოდ 19 დღით, სადგურების მიხედვით კი 8-დან (ბათუმში) 47 დღემდე (ამბროლაურში) მცირდება, ხოლო მეორე პერიოდში (2071–2100) – საშუალოდ 28 დღით, სადგურების მიხედვით 9-დან (ბათუმში) 60 დღემდე (ამბროლაურში). შემცირება ძირითადად ზამთრის პერიოდში ხდება, ნაკლებად და თითქმის ერთნაირად გარდამავალ სეზონებზე, თუმცა, მაღალმთიან სადგურებზე კლება გარდამავალ სეზონებზეც ინტენსიურია და ზოგ სადგურზე ზამთრის კლებაზე მეტიც კია.

გარდა ფიქსირებული ზღურბლით გამოთვლილი ინდექსებისა, გაანალიზდა ტემპერატურული ინდექსები პროცენტული ზღურბლით.

Tx90p – ცხელი დღეების პროცენტული რაოდენობა, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტიან ზღურბლს აჭარბებს, პირველ საპროგნოზო პერიოდში ყველგან იზრდება ყველა თვეში. გამონაკლისს წარმოადგენს დაახლოებით 1%-იანი კლება კახეთის რეგიონში. წლის თბილ პერიოდში (მაისი-სექტემბერი) აღინიშნება ყველაზე დიდი მატება (მაქსიმუმ 30%). წლის დანარჩენ პერიოდში ეს რიცხვი 10-15%-ის ფარგლებშია. საუკუნის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი უფრო ინტენსიურად იზრდება ყველა სემონსა და სადგურზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია წლის თბილ პერიოდში კახეთსა და ქვემო ქართლში ცხელი დღეების პროცენტული რაოდენობის ზრდა, ის გარკვეულ თვეებში 50%-ის ფარგლებში იზრდება.

Tn90p – თბილი ღამეების პროცენტული რაოდენობა, როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა თავის 90 პროცენტიან ზღურბლს აჭარბებს. კიდევ უფრო ინტენსიურ დათბობას აჩვენებს. პირველ საპროგნოზო პერიოდში ეს ინდექსი ყველგან იმატებს და ზოგ სადგურზე წლის თბილ პერიოდში 40-45%-საც აღწევს. 2100 წლისათვის ივლისის თვეში კახეთის რეგიონში ასეთი ღამეების რაოდენობა 60%-ით იზრდება, საშუალოდ ბათუმსა და შემოდგომამზე თბილი ღამეები 35% და 27%-ით იზრდება, გაზაფხულსა და ზამთარში – შედარებით ნაკლებად, 22% და 16%-ით.

ამ ორი ინდექსის საპირისპიროდ ცივი დღეების პროცენტული რაოდენობა (**Tx10p**), როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 10 პროცენტიან ზღურბლს ქვემოთაა და ცივი ღამეების პროცენტული რაოდენობა (**Tn10p**), როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტიან ზღურბლს ქვემოთაა, ორივე საპროგნოზო პერიოდში, მცირე გამონაკლისის გარდა, იკლებს. 2041-2070 წლების პერიოდში Tx10p-ს წლიური კლება 0.3–7.0 პროცენტის ფარგლებშია, Tn10p-ს კლება კი 1.6–7.5 პროცენტის ფარგლებში. 2071-2100 წლების პერიოდში Tx10p-ს წლიური კლება 2.4–8.6 – პროცენტის ფარგლებშია, Tn10p-ს კლება კი – 0.5–8.1 პროცენტის ფარგლებში.

წლის მანძილზე იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის საშუალო ტემპერატურა 10°C -ზე მეტია (**Tmge10**) ან 10°C -ზე ნაკლები (**Tmlt10**), სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი ინდექსებია. მათი რაოდენობის ცვლილებას საპირისპირო ხასიათი აქვს. პირველ პერიოდში დღეთა რიცხვი 10°C -ზე მეტი ტემპერატურით, წლიურად საშუალოდ 21 დღით იზრდება. ყველაზე მეტად ეს მატება ოქტომბერში ხდება (საშუალოდ 4 დღე), კახეთის რეგიონში კი მაქსიმალური მატება ნოემბერშია, საშუალოდ 5.5 დღით. იმავე პერიოდში დღეთა რიცხვი 10°C -ზე ნაკლები ტემპერატურით 21 დღით მცირდება და ყველაზე მეტად ასევე ოქტომბერში (4 დღით). მეორე საპროგნოზო პერიოდში Tmge10 ინდექსი წლიურად გაიზრდება 31 დღით, მაქსიმალური მატება მარტსა (6 დღით) და ნოემბერშია (5 დღით). Tmlt10 იმეორებს Tmge10-ს საპირისპირო ნიშნით (ანუ შემცირდება).

როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა ზედიზედ 6 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა (CSDI) და ამის საპირისპიროდ, როცა 6 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს (WSDI), დგება „ამინდის ცივი და ცხელი ეპიზოდები“. CSDI პირველ საპროგნოზო პერიოდში მხოლოდ 6 სადგურზე მცირედ, 0.1-2.6 დღის ფარგლებში იზრდება, დანარჩენ სადგურებში კლებაა 0.7–5.0 დღის ფარგლებში. მეორე საპროგნოზო პერიოდში ცვლილებას იმავე ხასიათისაა, ამ შემთხვევაში კლება 1.0–6.5 დღის ფარგლებშია. ცხელი ეპიზოდების ხანგრძლივობა გაცილებით მნიშვნელოვნად იზრდება (8-33 დღით პირველ პერიოდში და 11-84 დღით მეორეში), ვიდრე მცირდება ცივი ეპიზოდების ხანგრძლივობა.

პირველ პერიოდში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (GSL) იზრდება 6-დან 33 დღემდე, **GDDGrow10** – აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (10 გრადუსზე თბილ გრადუს დღეთა ჯამი) კი 193–დან 529 გრადუს დღემდე. მეორე პერიოდში GSL იზრდება 8-დან 48 დღემდე, გრადუს დღეთა რიცხვი კი – 223-დან 1239–მდე. მეორე პერიოდში ამ პარამეტრების მატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ვახეთში.

მაის-სექტემბერში, როდესაც ზედიზედ არანაკლებ 3 დღის მანძილზე მაქსიმალური ან მინიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს, ყალიბდება თბური ტალღები. ცვლილებები თბური ტალღების წლიურ რაოდენობასა (HWN) და ხანგრძლივობაში (HWD) ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 2041-2070 პერიოდში, თბური ტალღების საშუალო წლიური რაოდენობა პუნქტების მიხედვით 1.0 დღიდან (ლაგოდეხი) 6.2 დღემდე (სტეფანწმინდა) იზრდება, ხოლო მათი ჯამური საშუალო წლიური ხანგრძლივობა 13.0 დღიდან (ბახმარო) 46.4 დღემდე (გუდაური). 2071-2100 წლების პერიოდში თბური ტალღების საშუალო წლიური რაოდენობა 1.5 დღიდან (საგარეჯო) 8.3-მდე (ზუგდიდი) იზრდება, ხოლო ჯამური საშუალო წლიური ხანგრძლივობა – 14.8 დღიდან (ხულო) 81.7 დღემდე (საგარეჯო).

ცივი ტალღები მაშინ დგება, როდესაც წლის განმავლობაში ზედიზედ არანაკლებ 3 დღის მანძილზე მაქსიმალური ან მინიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა. ამ პროცესის შესათვალისწინებლად ორი ინდექსი: ცივი ტალღების წლიური რაოდენობა (CWN) და ხანგრძლივობა (CWD) იქნა გამოყენებული. პირველ საპროგნოზო პერიოდში დღეთა რიცხვი საშუალოდ (CWN) 1 დღით მცირდება, გამონაკლისს ხაიში და ყვარელი წარმოადგენს (0.2 დღით ხდება მატება). მისი ხანგრძლივობა (CWD) კი საშუალოდ 7.5 დღით მცირდება, ეს პარამეტრი მცირდება სადგურთა უმეტესობაზე, თუმცა რიგ სადგურებზე ხდება მატებაც (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მატება ქობულეთში 19 დღით). საუკუნის ბოლოსათვის

შემთხვევათა რიცხვი კიდევ იკლებს (საშუალოდ 1.3 დღით) და ხანგრძლივობაც ყველგან მცირდება ხაშურის გარდა (3 დღით იზრდება).

გათბობისა გრადუს დღეთა წლიური ჯამი (**hddheat18**) და გაგრილების გრადუს დღეთა წლიური ჯამი (**cddcold18**) ენერგეტიკის სექტორისთვის ინფორმაციული ინდიკატორებია.

გათბობის გრადუს დღეების ჯამი ორივე პერიოდში ყველა რეგიონში მცირდება, პირველ პერიოდში – 189–755 ფარგლებში, ხოლო მეორე – პერიოდში 327–1097 ფარგლებში. შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევია მაღალმთიან სადგურებში, მაქსიმალურია პირველ პერიოდში გუდაურში და სტეფანწმინდაში (755–ით). მეორე პერიოდში კი მესტიაში (1097). პირველ პერიოდთან შედარებით მეორე პერიოდში გათბობის გრადუს დღეების მკვეთრი კლებაა კახეთში, საშუალოდ მხარეში 318–დან 776–მდე.

გაგრილების გრადუს დღეთა წლიური ჯამი ორივე პერიოდში ყველა რეგიონში იზრდება, პირველ პერიოდში 10–336 ფარგლებში, მეორე პერიოდში 13–782 ფარგლებში. მატება უმნიშვნელოა მთიან ადგილებში (მაგალითად, გოდერძის უღელტეხილზე მატებაა 10 გრადუს დღე, ხოლო გუდაურში – 15 გრადუს დღე). პირველ პერიოდთან შედარებით მეორე პერიოდში გაგრილების გრადუს დღეთა მკვეთრი მატებაა კახეთში, საშუალოდ 267–დან 697–მდე, ასევე თბილისში, 264–დან 712–მდე.

დაკვირვების მონაცემებით, **ნალექების წლიური ჯამის** განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2,300 მმ–ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა მცირდება სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%-ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6–15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში. დანართის ცხრილ B2–ში მოყვანილია 2071–2100 წლებში ნალექების საშუალო თვიური, სეზონური და წლიური რაოდენობები და 1971–2000 წლების საშუალოების მიმართ ცვლილება რეგიონებისა და სადგურების მიხედვით.

ნალექის ყველაზე ნაკლები რაოდენობა 1971-2000 წლებში ბოლნისშია (492 მმ), ყველაზე მეტი კი – ბათუმში (2481 მმ). ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების წლიური მაქსიმუმი კვლავ ბათუმშია მოსალოდნელი (2363 მმ და 2322 მმ), ხოლო ყველაზე მცირე – ახალციხეში (436 მმ და 424 მმ) შესაბამისად.

Rx1day და **Rx5day**, ერთ და ხუთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექის რაოდენობა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში სადგურთა უმეტესობაზე იკლებს ორივე პერიოდში. **Rx5day** ინდექსი უფრო გამოკვეთილ კლებას აჩვენებს, გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდისა და ფოთის სადგურები, სადაც ეს პარამეტრი მკვეთრად (60%) იზრდება. ერთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექები სადგურთა თითქმის მესამედზე იზრდება, მათ შორის ყველაზე მეტად ზუგდიდში. დანარჩენ სადგურებზე კი ეს სიდიდე მცირდება. 2041-2070 წლების პერიოდისთვის ყველაზე მეტად აღსანიშნავია ერთ დღეში მოსული ნალექის შემცირება თელავში (64 მმ; ≈60%).

R30mm და **R50mm** ინდექსები ექსტრემალურად უხვნალექიანი (30 მმ-ზე და 50 მმ-ზე მეტი შესაბამისად) დღეებია, რომელთა შედეგად წყალდიდობა/წყალმოვარდნების, ღვარცოფებისა და მეწყერების რისკი იზრდება.

ამ ინდექსების მაქსიმალური წლიური მნიშვნელობები აჭარის სანაპიროზე მოდის, რაც მომავალშიც ასევეა მოსალოდნელი, თუმცა ორივე ეს ინდექსი მომავალში ორივე საპროგნოზო პერიოდში შემცირდება. 30 მმ-ზე მეტ ნალექიან დღეთა რაოდენობა ორივე პერიოდში ერთნაირად საშუალოდ 1.4 დღით იკლებს, რამდენიმე სადგურის გარდა, სადაც მატებაა მოსალოდნელი (ყველაზე მეტად ფოთში 4.1 და 0.9 დღით). 50 მმ-ზე მეტ ნალექიან დღეთა რაოდენობა კი 2041-2070 და 2071-2100 პერიოდებში 0.3 და 0.4 შემთხვევით შემცირდება. ეს პარამეტრიც გამონაკლისის სახით რამდენიმე სადგურზე მცირედ იმატებს.

CDD და **CWD** ინდექსები წლის განმავლობაში მშრალი პერიოდების (ნალექი ნაკლებია 1 მმ-ზე) და ნოტიო პერიოდების (ნალექი მეტია ან ტოლი 1 მმ-ზე) მაქსიმალურ ხანგრძლივობას აღნიშნავენ. პირველი მათგანი წყლის რესურსების მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციაა, განსაკუთრებით იმ ტერიტორიაზე, სადაც სასმელი ან სარწყავი წყლის სიმცირეა. ამ ინდექსის გახანგრძლივება გვალვასთანაა კავშირში. მეორე ინდექსი კი, 5 დღეში მოსული ნალექების ჯამთან ერთად, წყალდიდობის საფრთხეს უკავშირდება. ამ ინდექსებისათვის, როგორც წესი, მხოლოდ წლიური მნიშვნელობები გამოითვლება.

განხილული სადგურების უმეტესობაზე მშრალი პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 2041-2071 წლების საპროგნოზო პერიოდისთვის შემცირებულია კახეთში (2.1 დღიდან 5.6 დღემდე ფარგლებში) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (0.1 დღიდან 2.5 დღემდე), ასევე თბილისში 4.8 დღით. აღნიშნულ ტერიტორიებზე ეს სიდიდე მცირდება თვეებისა და სეზონების მიხედვითაც, განსაკუთრებით კი ზაფხულის პერიოდში. სხვა ტერიტორიებზე ადგილი აქვს

უნაღვეო პერიოდის გახანგრძლივებას საშუალოდ 1 დღით. 2071-2100 წლების საპროგნოზო პერიოდისათვის მშრალი პერიოდის ხანგრძლივობა ისევ იცვლება, როგორც წინა საპროგნოზო პერიოდში. სადგურებზე, სადაც ეს პარამეტრი მცირდებოდა, უნაღვეო პერიოდი ნაკლებ ინტენსიურად მცირდება – არ აღემატება 5 დღეს, ხოლო იმ სადგურებზე, სადაც ეს პარამეტრი იზრდებოდა, პროცესი უფრო ინტენსიური გახდება და გახანგრძლივდება 2 დღით (ახალციხეში).

ნაღვეიანი პერიოდების ხანგრძლივობა კი იზრდება ორივე საპროგნოზო პერიოდში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მატება კახეთსა და ზემო სვანეთში (5 და 3 დღით პირველსა და მეორე საპროგნოზო პერიოდებში). გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მაღალმთიანი სადგური – ლენტეხი, გუდაური, მთა-საბუეთი, სადაც მოსალოდნელია ნაღვეიანი პერიოდების 1 დღით შემცირება.

ნაღვეების წლიური რაოდენობა, რომელიც იმ დღეებში გამოიყოფა (**R95p**), როცა დღიური ნაღვეი 95%-იან ზღურბლს აჭარბებს და ნაღვეების წლიურ ჯამში ასეთ დღეთა პროცენტული წილი (**R95pTOT**), ნაღვეის ინტენსივობასა და მის წლიურ განაწილებაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ორივე ეს პარამეტრი ძირითადად მცირდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, პირველ პერიოდში ამ უხვნაღვეიან დღეებში გამოიყოფა უფრო ნაკლები ნაღვეი (1-დან 241 მმ), რაც 1.4-23%-იანი კლებაა, გამონაკლისს წარმოადგენს სამი სადგური: გოდერძის უღელტეხილი, ფოთი და ზუგდიდი, სადაც ასეთ დღეებში მოსული ნაღვეი 24-287 მმ-დე იმატებს, რაც პროცენტულად 1.4-11%-ია. 2071-2100 წლების პერიოდში ყველა სადგურზე იგივე ტენდენცია ნარჩუნდება, კლება ხდება 2-დან -263 მმ-მდე, რაც მაქსიმუმ 16%-ს შეადგენს. აღნიშნულ სამ სადგურზე მატება ამ პერიოდში უფრო ნაკლებია (121 მმ; 8%).

R99p და R99pTOT ინდექსები, როდესაც ნაღვეის რაოდენობა ექსტრემალურად ნაღვეიან დღეებში (როცა დღიური ნაღვეი 99% ზღურბლს აჭარბებს) მოდის, დაახლოებით ისევ იცვლება, როგორც წინა ორი ინდექსი, ოღონდ მათ შემთხვევათა რაოდენობა უფრო ნაკლებია და, შესაბამისად, რაოდენობრივი და პროცენტული ცვილებები უფრო ნაკლებად ცვალებადია.

დაკვირვების მონაცემებით, **საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის** ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1971–2000 წლებში დაიკვირვებოდა თბილისში (67%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (86%) მთა-საბუეთში იყო დაფიქსირებული.

მომავალში, ორივე საპროგნოზო პერიოდში, ყველაზე დაბალი ფარდობითი ტენიანობა ქვემო ქართლში (საშუალოდ 70%) და საგარეჯოშია (68%) მოსალოდნელი. 2071-2100 პერიოდშიც ფარდობითი სინოტივ ყველაზე მაღალი კვლავ მთა-საბუეთშია, ხოლო 2041-2070 წლების პერიოდში მაქსიმალურ მნიშვნელობას (88%) ქობულეთში აღწევს. ისევ, როგორც დაკვირვების პერიოდში, ფარდობითი ტენიანობა 2041-2070 წლებისათვის

სადგურების უმრავლესობაზე მატებას განაგრძობს 1-5%-ის ფარგლებში. გამონაკლისის სახით 1-2%-იანი კლება ამ პერიოდში ხაშურსა და ფარავანშია მოსალოდნელი. დანართის ცხრილ B3-ში მოყვანილია 2071–2100 წლებში ფარდობითი ტენიანობის საშუალო თვიური, სეზონური და წლიური რაოდენობები და 1971–2000 წლების საშუალოების მიმართ ცვლილება რეგიონებისა და სადგურების მიხედვით.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) – 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) – 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ± 0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის არც გეოგრაფიული მდებარეობის, არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება.

კლიმატის მოსალოდნელი RCP4.5 ცვლილება

კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას 4.5 W/m^2 დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ჩვენ ამ მოდელში გავითვალისწინეთ მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტვრის ნაწილაკების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთ კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა, RegCM 4.6.0 ვერსია ჰორიზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting). რეგიონული კლიმატური მოდელის ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10 კილომეტრიან ბადეზე.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) პერიოდის განხილვით, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები აგებულ იქნა როგორც ძირითადი კლიმატური პარამეტრე-

ბისტვის, როგორცაა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით, გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები – ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971–2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.60C-დან 3.00C-მდე გაიზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა 1.80C –3.00C ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია, 1.60C–2.90C ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.4⁰C-1.7⁰C-ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.1⁰C-3.7⁰C-ის ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად – საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას. დეტალური ინფორმაცია სადგურების მიხედვით მოყვანილია დანართის ცხრილ B1-ში.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის 1.90C-3.00C ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი – 1.10C-2.30C ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებ იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-2100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება 2.6-4.30C-ით, ხოლო მინიმუმები – 1.7-3.70C.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 250C, 300C და 350C–ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ ღამეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 200C-ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის მალაღმთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა, მაშინ როდესაც დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

FD0 – ყინვიან ღამეთა რიცხვი, როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა ნაკლებია 0C-ზე, პირველ საპროგნოზო პერიოდში (2041–2070 წლები) მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალოდ 19 დღით, სადგურების მიხედვით კი 8-დან (ბათუმში) 47 დღემდე (ამბროლაურში) მცირდება, ხოლო მეორე პერიოდში (2071–2100) – საშუალოდ 28 დღით, სადგურების მიხედვით 9-დან (ბათუმში) 60 დღემდე (ამბროლაურში). შემცირება ძირითადად ზამთრის პერიოდში ხდება, ნაკლებად და თითქმის ერთნაირად გარდამავალ სეზონებზე,

თუმცა, მაღალმთიან სადგურებზე კლება გარდამავალ სეზონებზეც ინტენსიურია და ზოგ სადგურზე ზამთრის კლებაზე მეტიც კი.

გარდა ფიქსირებული ზღურბლით გამოთვლილი ინდექსებისა, გაანალიზდა ტემპერატურული ინდექსები პროცენტული ზღურბლით.

Tx90p – ცხელი დღეების პროცენტული რაოდენობა, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს, პირველ საპროგნოზო პერიოდში ყველგან იზრდება ყველა თვეში. გამონაკლისს წარმოადგენს დაახლოებით 1%-იანი კლება ვახეთის რეგიონში. წლის თბილ პერიოდში (მაისი-სექტემბერი) აღინიშნება ყველაზე დიდი მატება (მაქსიმუმ 30%). წლის დანარჩენ პერიოდში ეს რიცხვი 10-15%-ის ფარგლებშია. საუკუნის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი უფრო ინტენსიურად იზრდება ყველა სეზონსა და სადგურზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია წლის თბილ პერიოდში ვახეთსა და ქვემო ქართლში ცხელი დღეების პროცენტული რაოდენობის ზრდა, ის გარკვეულ თვეებში 50%-ის ფარგლებში იზრდება.

Tn90p – თბილი ღამეების პროცენტული რაოდენობა, როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს. კიდევ უფრო ინტენსიურ დათბობას აჩვენებს. პირველივე საპროგნოზო პერიოდში ეს ინდექსი ყველგან იმატებს და ზოგ სადგურზე წლის თბილ პერიოდში 40-45%-საც აღწევს. 2100 წლისათვის ივლისის თვეში ვახეთის რეგიონში ასეთი ღამეების რაოდენობა 60%-ით იზრდება, საშუალოდ ზაფხულსა და შემოდგომაზე თბილი ღამეები 35% და 27%-ით იზრდება, გაზაფხულსა და ზამთარში შედარებით ნაკლებად -22% და 16%-ით.

ამ ორი ინდექსის საპირისპიროდ ცივი დღეების პროცენტული რაოდენობა (Tx10p), როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა და ცივი ღამეების პროცენტული რაოდენობა (Tn10p), როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა ორივე საპროგნოზო პერიოდში, მცირე გამონაკლისის გარდა იკლებს. 2041-2070 წლების პერიოდში Tx10p-ს წლიური კლება 0.3–7.0 პროცენტის ფარგლებშია, Tn10p-ს კლება კი – 1.6–7.5 პროცენტის ფარგლებში. 2071-2100 წლების პერიოდში Tx10p-ს წლიური კლება 2.4–8.6 პროცენტის ფარგლებშია, Tn10p-ს კლება კი – 0.5–8.1 პროცენტის ფარგლებში.

წლის მანძილზე იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის საშუალო ტემპერატურა 100C-ზე მეტია (Tmge10) ან 100C-ზე ნაკლები (Tmlt10), სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი ინდექსებია. მათი რაოდენობის ცვლილებას საპირისპირო ხასიათი აქვს. პირველ პერიოდში დღეთა რიცხვი 100C-ზე მეტი ტემპერატურით, წლიურად საშუალოდ 21 დღით იზრდება. ყველაზე მეტად ეს მატება ოქტომბერში ხდება (საშუალოდ 4 დღე), ვახეთის რეგიონში კი მაქსიმალური მატება ნოემბერშია, საშუალოდ 5.5 დღით. იმავე პერიოდში დღეთა რიცხვი 100C-ზე ნაკლები ტემპერატურით 21 დღით მცირდება და ყველაზე მეტად ასევე ოქტომბერში (4 დღით). მეორე საპროგნოზო პერიოდში

Tmge10 ინდექსი წლიურად გაიზრდება 31 დღით, მაქსიმალური მატება მარტსა (6 დღით) და ნოემბერშია (5 დღით). Tmlt10 იმეორებს Tmge10-ს საპირისპირო ნიშნით (ანუ შემცირება).

როდესაც დღის მინიმალური ტემპერატურა ზედიზედ 6 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა (CSDI) და ამის საპირისპიროდ, როცა 6 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში დღის მაქსიმალური ტემპერატურა თავის 90 პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს (WSDI), დგება „ამინდის ცივი და ცხელი ეპიზოდები“. ცხელი ეპიზოდების ხანგრძლივობა გაცილებით მნიშვნელოვნად იზრდება (8-33 დღით პირველ პერიოდში და 11-84 დღით მეორეში), ვიდრე მცირდება ცივი ეპიზოდების ხანგრძლივობა. CSDI პირველ საპროგნოზო პერიოდში მხოლოდ 6 სადგურზე მცირედ, 0.1-2.6 დღის ფარგლებში იზრდება, დანარჩენ სადგურებში კლებაა 0.7-5.0 დღის ფარგლებში. მეორე საპროგნოზო პერიოდში ცვლილება იმავე ხასიათისაა, ამ შემთხვევაში კლება 1.0-6.5 დღის ფარგლებშია.

პირველ პერიოდში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (GSL) იზრდება 6-დან 33 დღემდე, 101 გრადაუსზე თბილი გრადაუს დღეთა ჯამი (GDDGrow10) კი 193-დან 529 გრადაუს დღემდე. მეორე პერიოდში GSL იზრდება 8-დან 48 დღემდე, გრადაუს დღეთა რიცხვი კი 223-დან 1239-მდე. მეორე პერიოდში ამ პარამეტრების მატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა კახეთში.

მაის-სექტემბერში, როდესაც ზედიზედ არანაკლებ 3 დღის მანძილზე მაქსიმალური ან მინიმალური ტემპერატურა თავის 90-პროცენტთან ზღურბლს აჭარბებს, ყალიბდება თბური ტალღები. ცვლილებები თბური ტალღების წლიურ რაოდენობასა (HWN) და ხანგრძლივობაში (HWD) ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 2041-2070 პერიოდში თბური ტალღების საშუალო წლიური რაოდენობა პუნქტების მიხედვით 1.0 დღიდან (ლაგოდეხი) 6.2 დღემდე (სტეფანწმინდა) იზრდება, ხოლო მათი ჯამური საშუალო წლიური ხანგრძლივობა 13.0 დღიდან (ბახმარო) 46.4 დღემდე (გუდაური) იზრდება. 2071-2100 წლების პერიოდში თბური ტალღების საშუალო წლიური რაოდენობა 1.5 დღიდან (საგარეჯო) 8.3-მდე (ზუგდიდი) იზრდება, ხოლო ჯამური საშუალო წლიური ხანგრძლივობა – 14.8 დღიდან (ხულო) 81.7 დღემდე (საგარეჯო).

ცივი ტალღების წლიური რაოდენობა (CWN) და ხანგრძლივობა (CWD), როდესაც წლის განმავლობაში ზედიზედ არანაკლებ 3 დღის მანძილზე მაქსიმალური ან მინიმალური ტემპერატურა თავის 10-პროცენტთან ზღურბლს ქვემოთაა, პირველ საპროგნოზო პერიოდში დღეთა რიცხვი საშუალოდ 1 დღით მცირდება, გამონაკლისის სახით ხაიშსა და ყვარელში 0.2 დღით ხდება მატება. მისი ხანგრძლივობა კი საშუალოდ 7.5 დღით მცირდება, ეს პარამეტრი მცირდება სადგურთა უმეტესობაზე, თუმცა რიგ სადგურებზე ხდება მატებაც (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მატება ქობულეთში 19 დღით). საუკუნის

ბოლოსათვის შემთხვევათა რიცხვი კიდევ იკლებს (საშუალოდ 1.3 დღით) და ხანგრძლივობაც ყველგან მცირდება ხაშურის გარდა (3 დღით იზრდება).

გათბობის გრადუს დღეთა წლიური ჯამი (hddheat18) და გაგრილების გრადუს დღეთა წლიური ჯამი (cddcold18) ენერგეტიკის სექტორისთვის ინფორმატიული ინდიკატორებია.

გათბობის გრადუს დღეების ჯამი ორივე პერიოდში ყველა რეგიონში მცირდება, პირველ პერიოდში 189–755 ფარგლებში, ხოლო მეორე პერიოდში 327–1097 ფარგლებში. შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევია მაღალმთიან სადგურებში, მაქსიმალურია, პირველ პერიოდში გუდაურსა და სტეფანწმინდაში (755–ით). მეორე პერიოდში კი მესტიაში (1097). პირველ პერიოდთან შედარებით, მეორე პერიოდში გათბობის გრადუს დღეების მკვეთრი კლებაა კახეთში, საშუალოდ მხარეში 318–დან 776–მდე.

გაგრილების გრადუს დღეთა წლიური ჯამი ორივე პერიოდში ყველა რეგიონში იზრდება, პირველ პერიოდში 10–336 ფარგლებში, მეორე პერიოდში – 13–782 ფარგლებში. მატება უმნიშვნელოა მთიან ადგილებში (მაგალითად, გოდერძის უღელტეხილზე მატებაა 10 გრადუს დღე, ხოლო გუდაურში 15 გრადუს დღე). პირველ პერიოდთან შედარებით, მეორე პერიოდში გაგრილების გრადუს დღეთა მკვეთრი მატებაა კახეთში, საშუალოდ 267–დან 697–მდე, ასევე თბილისში, 264–დან 712–მდე).

დაკვირვების მონაცემებით, ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2,300 მმ–ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა მცირდება, სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) – ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი – საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%–ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6–15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში. დანართის ცხრილ B2–ში მოყვანილია 2071–2100 წლებში ნალექების საშუალო თვიური, სეზონური და წლიური რაოდენობები და 1971–2000 წლების საშუალოების მიმართ ცვლილება რეგიონებისა და სადგურების მიხედვით.

ნალექის ყველაზე ნაკლები რაოდენობა 1971-2000 წლების პერიოდში ბოლნისშია (492 მმ), ყველაზე მეტი კი – ბათუმში (2481 მმ). ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების წლიური მაქსიმუმი კვლავ ბათუმშია მოსალოდნელი (2363 მმ და 2322 მმ), ხოლო ყველაზე მცირე – ახალციხეში (436 მმ და 424 მმ) შესაბამისად.

Rx1day და Rx5day, ერთ და ხუთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექის რაოდენობა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში სადგურთა უმეტესობაზე იკლებს ორივე პერიოდში. Rx5day ინდექსი უფრო გამოკვეთილ კლებას აჩვენებს, გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდისა და ფოთის სადგურები, სადაც ეს პარამეტრი მკვეთრად (60%) იზრდება. ერთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექები სადგურთა თითქმის მესამედზე იზრდება, მათ შორის ყველაზე მეტად ზუგდიდში. დანარჩენ სადგურებზე კი ეს სიდიდე მცირდება. 2041-2070 წწ. პერიოდისათვის ყველაზე მეტად აღსანიშნავია ერთ დღეში მოსული ნალექის შემცირება თელავში (64 მმ; $\approx 60\%$).

R30mm და R50mm ინდექსები ექსტრემალურად უხვნალექიანი (30 მმ-ზე და 50 მმ-ზე მეტი შესაბამისად) დღეებია, რომელთა შედეგად წყალდიდობა/წყალმოვარდნების, ღვარცოფებისა და მენყრების რისკი იზრდება.

ამ ინდექსების მაქსიმალური წლიური მნიშვნელობები აჭარის სანაპიროზე მოდის, რაც მომავალშიც ასეა მოსალოდნელი, თუმცა ორივე ეს ინდექსი მომავალში ორივე საპროგნოზო პერიოდში შემცირდება. 30 მმ-ზე მეტ ნალექიან დღეთა რაოდენობა ორივე პერიოდში ერთნაირად საშუალოდ 1.4 დღით იკლებს, რამდენიმე სადგურის გარდა, სადაც მატებაა მოსალოდნელი (ყველაზე მეტად ფოთში 4.1 და 0.9 დღით). 50 მმ-ზე მეტ ნალექიან დღეთა რაოდენობა კი 2041-2070 და 2071-2100 პერიოდებში 0.3 და 0.4 შემთხვევით შემცირდება. ეს პარამეტრიც, გამონაკლისის სახით რამდენიმე სადგურზე მცირედ იმატებს.

CDD და CWD ინდექსები წლის განმავლობაში მშრალი პერიოდების (ნალექი < 1 მმ) და ნოტიო პერიოდების (ნალექი ≥ 1 მმ) მაქსიმალურ ხანგრძლივობას აღნიშნავენ. პირველი მათგანი წყლის რესურსების მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციაა, განსაკუთრებით იმ ტერიტორაზე სადაც სასმელი ან სარწყავი წყლის სიმცირეა. ამ ინდექსის გახანგრძლივება გვალვასთანაა კავშირში. მეორე ინდექსი კი, 5 დღეში მოსულ ნალექების ჯამთან ერთად, წყალდიდობის საფრთხეს უკავშირდება. ამ ინდექსებისათვის, როგორც წესი, მხოლოდ წლიური მნიშვნელობები გამოითვლება.

განხილული სადგურების უმეტესობაზე მშრალი პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 2041-2071 წლების საპროგნოზო პერიოდისთვის შემცირებულია კახეთში (2.1 დღიდან 5.6 დღემდე ფარგლებში) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (0.1 დღიდან 2.5 დღემდე), ასევე თბილისში 4.8 დღით. აღნიშნულ ტერიტორიებზე ეს სიდიდე მცირდება თვეებისა და სეზონების მიხედვითაც, განსაკუთრებით კი ზაფხულის პერიოდში. სხვა ტერიტორიებზე ადგილი აქვს

უნაღვეო პერიოდის გახანგრძლივებას საშუალოდ 1 დღით. 2071-2100 წლების საპროგნოზო პერიოდისათვის უნაღვეო პერიოდის ხანგრძლივობა ისევე იცვლება, როგორც წინა საპროგნოზო პერიოდში. სადგურებზე სადაც ეს პარამეტრი მცირდებოდა უნაღვეო პერიოდი ნაკლებ ინტენსიურად მცირდება – არ აღემატება 5 დღეს, ხოლო იმ სადგურებზე, სადაც ეს პარამეტრი იზრდებოდა, პროცესი უფრო ინტენსიური გახდება და გახანგრძლივდება 2 დღით (ახალციხეში).

ნაღვეიანი პერიოდების ხანგრძლივობა კი იზრდება ორივე საპროგნოზო პერიოდში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მატება კახეთსა და ზემო სვანეთში (5 და 3 დღით პირველსა და მეორე საპროგნოზო პერიოდებში). გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მაღალმთიანი სადგური – ლენტეხი, გუდაური, მთასაბუეთი, სადაც მოსალოდნელია ნაღვეიანი პერიოდების 1 დღით შემცირება.

ნაღვეების წლიური რაოდენობა, რომელიც იმ დღეებში გამოიყოფა (R95p), როცა დღიური ნაღვეი 95%-იან ზღურბლს აჭარბებს და ნაღვეების წლიურ ჯამში ასეთ დღეთა პროცენტული წილი (R95pTOT), ეს ინდიკატორები ნაღვეის ინტენსივობასა და მის წლიურ განაწილებაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან. ორივე ეს პარამეტრი ძირითადად მცირდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, პირველ პერიოდში ამ უხვნაღვეიან დღეებში გამოიყოფა უფრო ნაკლები ნაღვეი (1-დან 241 მმ), რაც 1.4-23%-იანი კლებაა, გამონაკლისს წარმოადგენს სამი სადგური: გოდერძის უღელტეხილი, ფოთი და ზუგდიდი, სადაც ასეთ დღეებში მოსული ნაღვეი 24-287 მმ-დე იმატებს, რაც პროცენტულად 1.4-11%-ია. 2071-2100 წწ. პერიოდში ყველა სადგურზე იგივე ტენდენცია ნარჩუნდება, კლება ხდება 2-დან -263 მმ-მდე, რაც მაქსიმუმ 16%-ს შეადგენს. ხოლო აღნიშნულ სამ სადგურზე მატება ამ პერიოდში უფრო ნაკლებია (121 მმ, 8%).

R95p და R99pTOT ინდექსები, როდესაც ნაღვეის რაოდენობა ექსტრემალურად ნაღვეიან დღეებში (როცა დღიური ნაღვეი 99 % ზღურბლს აჭარბებს) მოდის, დაახლოებით ისევე იცვლება, როგორც წინა ორი ინდექსი, ოღონდ მათი შემთხვევათა რაოდენობა უფრო ნაკლებია და, შესაბამისად, რაოდენობრივი და პროცენტული ცვილებები უფრო ნაკლებად ცვალებადია.

დაკვირვების მონაცემებით საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1971–2000 წლებში დაიკვირვებოდა თბილისში (67%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (86%) მთა საბუეთში იყო დაფიქსირებული.

მომავალში, ორივე საპროგნოზო პერიოდში, ყველაზე დაბალი ფარდობითი ტენიანობა ქვემო ქართლში (საშუალოდ 70%) და საგარეჯოშია (68%) მოსალოდნელი. 2071-2100 პერიოდშიც ფარდობითი სინოტივე ყველაზე მაღალი კვლავ მთა-საბუეთშია, ხოლო 2041-2070 წლების პერიოდში მაქსიმალურ მნიშვნელობას (88%) ქობულეთში აღწევს. ისევე, როგორც დაკვირვების

პერიოდში, ფარდობითი ტენიანობა 2041-2070 წლებისათვის სადგურების უმრავლესობაზე მატებას განაგრძობს 1-5%-ის ფარგლებში. გამოკლისის სახით 1-2%-იანი კლება ამ პერიოდში ხაშურსა და ფარავანშია მოსალოდნელი. დანართის ცხრილ B3-ში მოყვანილია 2071-2100 წლებში ფარდობითი ტენიანობის საშუალო თვიური, სეზონური და წლიური რაოდენობები და 1971-2000 წლების საშუალოების მიმართ ცვლილება რეგიონებისა და სადგურების მიხედვით.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) – 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა 1971-2000 პერიოდში, დასავლეთ საქართველოში კი – 0.2 (ლენტეხი) – 5.5მ/წმ (ქუთაისი).

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ± 0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის არც გეოგრაფიული მდებარეობის, არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება.

მონოგრაფია „ამინდი, კლიმატი და მათი ცვლილების კანონზომიერებანი საქართველოს პირობებში” არის სამი ორგანიზაციის: საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს და ამ დარგში მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ.ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტების ერთობლივი პროდუქტი, რომელშიც კომპლექსურადაა შესწავლილი ამინდის წამოქმნის, ცვალებადობისა და კლიმატის ცვლილების საკითხები, რაც მის ღირებულებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს.

ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მასში წარმოდგენილია საქართველოში პირველად კომპლექსურად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახლებურად შესწავლილი ამინდის ცვლილების კანონზომიერებები და კლიმატის მიმდინარე ცვლილების ტენდენციები მრავალწლიური მონაცემების დამუშავების საფუძველზე. დედამიწის სადამკვირვებლო მისიის (Earth Observing Mission) თანამგზავრული დაკვირვების მონაცემების გამოყენებით გამოვლენილია ამინდის ცვლილების მაპროვოცირებელი ფაქტორები. ამინდის შესწავლისთვის შემოტანილია ახალი ინდექსები, როგორცაა გეომაგნიტური ინდექსები, სრული ელექტრონების შემცველობა, თერმოსფეროს კლიმატური ინდექსი. თანამგზავრული დაკვირვების მონაცემები საშუალებას იძლევა ატმოსფეროში მიმდინარე პროცესები უფრო დეტალურად და ახლებურად შეფასდეს. ატმოსფეროში მიმდინარე ნაწილაკების დაჯახებისთვის შექმნილია ტალღური მოდელი რეზონანსული გაცვლითი ფოტონის გათვალისწინებით. ატმოსფერული კლასტერებისთვის მიღებულია მაკრონაწილაკებს შორის ვან-დერ-ვაალსის ძალისთვის ურთიერთქმედების პოტენციალის გამოსახულება. ატმოსფერო წარმოიდგინება, როგორც სხვადასხვა დონეზე მყოფი კლასტერების ერთობლიობა, რომლებიც ენერგიების შთანთქმა-გამოსხივებით ურთიერთქმედებენ. დედამიწის გარემომცველი გარემო განახლებადი ენერჯის ერთ-ერთი შესაძლო წყაროა, რომლის გამოყენებაც ახალ ენერგომატარებლებზე გადასვლის შესაძლებლობაა.

დადგენილია ცალკეული კლიმატური პარამეტრების ცვლილებათა ტენდენციები დროსა და სივრცეში საქართველოს რეგიონების მიხედვით მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად. განსაზღვრულია პირველად საქართველოს პირობებში სხვადასხვა კომპლექსური კლიმატური პარამეტრის განაწილებათა სივრცულ-დროითი კანონზომიერებანი, როგორცაა ჰაერის ეფექტური ტემპერატურის სხვადასხვა ტიპი (ტემპერატურის, ჰაერის ფარდობითი ტენიანობის და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქარის სიჩქარის კომბინაცია), ტურიზმის

კლიმატური ინდექსი (შვიდი მეტეოროლოგიური პარამეტრის კომბინაცია: ჰაერის საშუალო და მაქსიმალური ტემპერატურა, საშუალო და მინიმალური ფარდობითი ტენიანობა, ატმოსფერული ნალექი, მზის ხანგრძლივობა, ქარის სიჩქარე), **დასვენების კლიმატური ინდექსი** (ხუთი კლიმატური ცვლადის კომბინაცია: ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა, საშუალო ფარდობითი ტენიანობა, ღრუბლის საფარი, ნალექი და ქარი). მონოგრაფია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო მსგავსი პროფილის უნივერსიტეტების ფაკულტეტებზე. სასურველია ეს იყოს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამის გაფართოების წინაპირობა.

წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში თავმოყრილია ავტორების მიერ შესრულებული კვლევის მასალა ამინდის, კლიმატის ფორმირებასა და ცვალებადობაზე. მსგავსი ერთობლივი ნაშრომი საქართველოში ჯერ არ შექმნილა და ის იქნება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი. კვლევისთვის გამოყენებულია დაკვირვების მინისპირა, თანამგზავრული და მოდელური მონაცემები. გამოთვლები შესრულებულია თანამედროვე პროგრამული პაკეტების გამოყენებით, კვლევაში გამოყენებულია ახლად შექმნილი ამინდისა და კლიმატის მახასიათებელი ინდექსები, მოყვანილია ამინდის თანამედროვე საპროგნოზო მოდელების თვლის შედეგები საქართველოს ტერიტორიისათვის. განხილულია დედამიწის მაგნიტური ველის მოდელი და მისი დანყვილების პერსპექტივა ამინდის პროგნოზირებაში.

1 თავში „კლიმატი და მისი წარმოქმნელი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები“ განხილულია ძირითადი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს კლიმატის ფორმირებას და ცვლილებას საქართველოში, რომელსაც აქვს რთული რელიეფი და ატმოსფეროს აეროზოლური და გაზით დაბინძურების უკიდურესად ჰეტეროგენური წყაროები. საქართველოს ტერიტორიაზე მზის რადიაციის გავრცელების მნიშვნელოვანმა ჰეტეროგენობამ, ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურამ, ატმოსფერულმა ცირკულაციამ, ნალექის რეჟიმმა, სხვადასხვა ატმოსფერულმა ფენომენმა და ა.შ. განაპირობა 11 კლიმატური ზონის არსებობა.

მე-2 თავში „კლიმატის ძირითადი ელემენტების (ტემპერატურა, ნალექი, ქარი, მზის რადიაცია, სინოტივე) ცვლილებების კანონზომიერებანი“ განხილულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის ფორმირების ისეთი ძირითადი ფაქტორების ხანგრძლივი ცვალებადობის თავისებურებები, როგორცაა ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ქარის სიჩქარე, მზის რადიაცია და ნალექი. კერძოდ, მოცემულია მონაცემები თბილისში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურისა და ნალექების ცვალებადობის შესახებ 1844 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში; თბილისში 1880 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში ჰაერის გლობალური და ზონალური ტემპერატურისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის შესახებ მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით.

ნაჩვენებია, რომ თბილისში კლიმატის დათბობა პრაქტიკულად ემთხვევა ჰაერის ტემპერატურის ზონალურ ზრდას 24°N - 64°N განედებზე; მოცემულია მონაცემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნალექების ყოველთვიური ჯამური ცვალებადობის შესახებ 1936 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში; შესწავლილ იქნა ქარის რეჟიმის ცვალებადობა 1956 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში და ა.შ.

მე-3 თავში „კომპლექსური კლიმატური პარამეტრების ცვლილებები“ მოცემულია ისეთი რთული კლიმატური პარამეტრების საშუალო გრძელვადიანი მნიშვნელობები და ცვალებადობა, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოზე, როგორცაა ჰაერის ეფექტური ტემპერატურის სხვადასხვა ტიპი (ტემპერატურის, ჰაერის ფარდობითი ტენიანობის და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქარის სიჩქარის კომბინაცია), KIT ტურიზმი. კლიმატის ინდექსი (შვიდი მეტეოროლოგიური პარამეტრის კომბინაცია: ჰაერის საშუალო და მაქსიმალური ტემპერატურა, საშუალო და მინიმალური ფარდობითი ტენიანობა, ნალექი, მზის ხანგრძლივობა, ქარის სიჩქარე), კლიმატური დასვენების ინდექსი KIO (ხუთი კლიმატური ცვლადის კომბინაცია: ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა, საშუალო ფარდობითი ტენიანობა, ღრუბლის საფარი, ნალექი და ქარი), ტყის ხანძრის ინდექსი ანგსტრომის მიხედვით (ტემპერატურისა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის კომბინაცია). კერძოდ, შესწავლილი იყო კორელაციები მითითებულ ინდექსებს შორის; შესწავლილ იქნა KIT და KIO მნიშვნელობების წლიური განაწილების ბუნება ტერიტორიის სიმაღლიდან გამომდინარე; შესწავლილ იქნა KIT და KIO საშუალო თვიური მნიშვნელობების ვერტიკალური განაწილება; შეფასდა კლიმატის ცვლილების გავლენა KIT-ის, KIO-ს, ჰაერის სხვადასხვა ტიპის ეფექტური ტემპერატურის მნიშვნელობებზე და ანგსტრომის ტყის ხანძრის საშიშროების ინდექსზე; შეფასდა KPI მნიშვნელობების ცვალებადობა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ცალკეულ წერტილებზე.

მე-4 თავში „სტიქიური ატმოსფერული მოვლენები“ განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიური მოვლენები. კერძოდ: სეტყვა, თავსხმა წვიმა, ჭექა-ქუხილი, ექსტრემალური ქარი, ტემპერატურა. მოსალოდნელია, რომ ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეები, როგორცაა ძლიერი წყალდიდობა, ქარიშხალი, მენყერი, ზვავი, სეტყვა, ქარიშხალი, გვალვა და ა.შ. უფრო ხშირი და მძიმე გახდება კლიმატის ცვლილების, ეკოსისტემის დეგრადაციის, მოსახლეობის ზრდისა და ურბანიზაციის გამო.

მსოფლიოში ეკონომიკური და სხვა ზარალი სტიქიური უბედურებების შედეგად იზრდება. კატასტროფების საერთაშორისო მონაცემთა ბაზის (EM-DAT) მიხედვით, ბოლო 70 წლის განმავლობაში ჰიდრომეტეოროლოგიურმა კატასტროფებმა აჩვენა ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ნებისმიერი ტიპის სტიქიურ უბედურებებთან შედარებით. საქართველოში სტიქიური უბედურებები სახელმწიფოს მდგრადი განვითარების მუდმივ უარყოფით ფაქტორად უნდა

განიხილებოდეს. ჩამოთვლილი საფრთხეებიდან გამომდინარე პრობლემების მნიშვნელობა ასტიმულირებს მათში მიმდინარე გამომწვევი მიზეზებისა და ფიზიკური პროცესების აქტიურ შესწავლას.

შესწავლილია ჭექა-ქუხილით და სეტყვით დღეების რაოდენობის სტატისტიკური სტრუქტურა და სივრცითი და დროითი მახასიათებლები, კავშირი ჭექა-ქუხილის ხანგრძლივობისა და ჭექა-ქუხილის დღეების რაოდენობას შორის, ტერიტორიაზე სეტყვის პროცესების ინტენსივობის გრძელვადიანი დინამიკის მახასიათებლები, სეტყვის პროცესების კავშირი ჭექა-ქუხილთან, ჭექა-ქუხილის აქტივობის თავისებურებები კახეთში, ჭექა-ქუხილის ელექტრულ და რადარულ პარამეტრებს შორის კავშირი. ამ კავშირებისა და კონვექციური ღრუბლების სარადარო პარამეტრების მონაცემების გათვალისწინებით, აშენდა კახეთისთვის მიწისზედა ელვის განაწილების რუკა. წარმოდგენილია სეტყვის განაწილების მოდელირების შედეგები კახეთის ტერიტორიაზე საშუალო მაქსიმალური დიამეტრის მიხედვით ატმოსფეროში გაყინვის დონის მონაცემებისა და ღრუბლებში სეტყვის მაქსიმალური ზომების სარადარო გამოძვების გამოყენებით.

შესწავლილ იქნა ატმოსფერული ნალექების, ჭექა-ქუხილის და სეტყვის პროცესების კავშირი ატმოსფეროს ანთროპოგენურ დაბინძურებასთან აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში. შემუშავებულია ჭექა-ქუხილის აქტივობისა და ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურების ურთიერთკავშირის სტატისტიკური მოდელები. კერძოდ, დადგინდა, რომ ჭექა-ქუხილის და სეტყვის პროცესების ინტენსივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ატმოსფეროს აეროზოლურ დაბინძურებაზე (რადიოაქტიურის ჩათვლით), თუმცა ეს დამოკიდებულება საკმაოდ რთულია. ზოგადად, ატმოსფეროს არარადიოაქტიური აეროზოლური დაბინძურების ზრდამ გამოიწვია სეტყვის დაზიანების ინტენსივობის ზრდა და, შესაბამისად, სეტყვის საწინააღმდეგო ოპერაციების ეფექტურობის შემცირება.

